


მერაბ კაკულია ნოდარ კახანაძე

# საშუალო კლასი საქართველოში: როდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი

ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა





GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES



მერაბ კაკულია ნოდარ კაპანაძე

**საშუალო კლასი საქართველოში:  
რაოდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი**

**ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა**

თბილისი  
2018

კვლევა განახორციელა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა (რონდელის ფონდი) ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

კვლევის ხელმძღვანელი: პროფესორი მერაბ კაკულია

წამყვანი მკვლევარი: ნოდარ კაპანაძე

პროექტის ასისტენტი: ლალი ქურხული

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2018

ISBN 978-9941-8-0766-4

შესავალი .....	5
1. საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება .....	7
1.1. არსებული მიდგომები .....	7
1.2. ჩვენი მიდგომა .....	13
1.3. ინფორმაციის წყაროები .....	14
2. კრიტერიუმების შერჩევა .....	16
3. პარამეტრების შეფასება .....	23
3.1. დასაქმება .....	23
3.2. განათლება .....	24
3.3. შემოსავლები .....	25
3.4. საცხოვრისი .....	27
3.4.1. საკუთრების ფორმა .....	27
3.4.2. საცხოვრებელი ფართობი .....	28
3.4.3. ოთახების რაოდენობა .....	29
3.4.4. აბაზანით უზრუნველყოფა .....	30
3.4.5. სამზარეულოთი უზრუნველყოფა .....	32
3.4.6. საცხოვრისის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება .....	33
3.5. კომუნალური სისტემების წვდომა .....	34
3.5.1. ელექტროენერგიით მომარაგება .....	34
3.5.2. ცხელი წყლით მომარაგება .....	35
3.5.3. ბუნებრივი და თხევადი აირით მომარაგება .....	36
3.5.4. გათბობა .....	37
3.5.5. ინტერნეტის წვდომა .....	38
3.6. ხანგრძლივი მოხმარების ნივთების ფლომა .....	39
3.6.1. მაცივარი .....	39
3.6.2. სარეცხი მანქანა .....	40
3.6.3. ტელევიზორი .....	41
3.6.4. მსუბუქი ავტომობილი .....	42
3.6.5. კომპიუტერი .....	43
3.6.6. მობილური ტელეფონი .....	44
3.7. მოხმარება .....	45
3.8. სუბიექტური შეფასება .....	46
3.8.1. შემოსავლების სუბიექტური შეფასება .....	46
3.8.2. ქონებრივი მდგომარეობის სუბიექტური შეფასება .....	47
3.9. მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა შეფასებაც ვერ მოხერხდა .....	48
3.9.1. ჯანმრთელობის დაცვა .....	48
3.9.2. დასვენება, გართობა, კულტურა .....	51
3.9.3. კრედიტის წვდომა .....	52
3.9.4. დანაზოგის შექმნა .....	53

4. საშუალო კლასი საქართველოში.....	55
4.1. საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება 9 კრიტერიუმით.....	56
4.2. საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება 8 კრიტერიუმით.....	58
5. საშუალო კლასის შინამეურნეობების პროფილი .....	61
5.1. საშუალო კლასის შინამეურნეობის ზომა, საშუალო ასაკი და განსახლება .....	61
5.2. საშუალო კლასის კეთილდღეობა .....	63
ძირითადი მიგნებები .....	73
დასკვნა .....	75
გამოყენებული ლიტერატურა .....	77
დანართი 1 .....	79
დანართი 2 .....	80
დანართი 3 .....	83

## შესავალი

საშუალო კლასი ნებისმიერი ქვეყნის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჯერ კიდევ არისტოტელე ანიშნავდა, რომ რაც უფრო დიდია საშუალო კლასი, ანუ მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული სოციალური ფენა, მით უფრო სტაბილურია საზოგადოება.<sup>1</sup> ამ დებულების ჭეშმარიტება განსაკუთრებით ნათლად ვლინდება თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც საშუალო კლასი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ, ჯერ ერთი, საშუალო კლასი მისწრაფის ადამიანური კაპიტალის და დანაზოგების დაგროვებისკენ; მეორე, იგი წარმოშობს კრეატიულ ადამიანებს, რომლებიც აჩქარებენ ინოვაციებს და აძვივებენ ეკონომიკურ აქტივობას; მესამე, საშუალო კლასის სამომხმარებლო შესაძლებლობები ხელს უწყობს ბაზრების დივერსიფიკაციას და გაფართოებას, რაც, თავის მხრივ, მასშტაბის ეკონომიის გამოყენების საშუალებას იძლევა;<sup>2</sup> და მეოთხე, საშუალო კლასს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მმართველობის გაუმჯობესებაში: ღარიბებთან შედარებით, მას შესწევს ძალა და უნარი მოითხოვოს უკეთესი სახელმწიფო მომსახურება, საჯარო მთხელეთა უფრო მეტი ანგარიშვალდებულება და მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ პოლიტიკას.<sup>3</sup>

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მწელია გადაჭარბებით შეაფასო საშუალო კლასის რაოდენობრივი განზომილებისა და მისი განვითარების ტენდენციების შესწავლის მნიშვნელობა, განსაკუთრებით, საქართველოს მსგავს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებმაც არცთუ ისე დიდი ხანია მოიპოვეს სუვერენიტეტი და დაადგინეს საზარო ეკონომიკის განვითარების გზას.

საქართველოში საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება მოცემულია მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის ექსპერტების მიერ მომზადებულ კვლევებში. პირველ კვლევაში საშუალო კლასის იდენტიფიკაციის კრიტერიუმებად გამოიყენება შინამეურნეობათა დღიური სულობრივი შემოსავლის, ხოლო მეორეში - დღიური სულობრივი სამომხმარებლო ხარჯების სხვადასხვა ზღვარი.<sup>4</sup>

წინამდებარე კვლევაში მოცემული შეფასებების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ეს შეფასებები არ ეყრდნობა მხოლოდ შინამეურნეობების შემოსავლების/სამომხმარებლო ხარჯების რაოდენობრივ ზღვრებს და მთელ რიგ სხვა კრიტერიუმებსაც ითვალისწინებს.

შესაბამისად, კვლევა მიზნად ისახავს:

- განსაზღვროს საშუალო კლასის იდენტიფიკაციის კრიტერიუმები;
- განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე შეაფასოს საშუალო კლასის სიდიდე საქართველოში;
- დაადგინოს საშუალო კლასის სტრუქტურა;
- გააანალიზოს საშუალო კლასის დინამიკა 2009-2017 წლებში;
- შეაფასოს საშუალო კლასის მიკუთვნებული ოჯახების ზომა და მათი წევრების საშუალო ასაკი;
- შეისწავლოს საშუალო კლასის გაადგილება;
- გაარკვიოს საშუალო კლასის შინამეურნეობათა კეთილდღეობის სტანდარტები;
- ჩამოაყალიბოს დასკვნა პოლიტიკური დღის წესრიგისათვის.

კვლევა ჩაატარა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა (რონდელის ფონდის) ფრიდრიხ ებერტის ფონდთან ერთად, რომელთანაც რონდელის ფონდი ნაყოფიერად თანამშრომლობს, სხვა სფეროებთან ერთად სოციო-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების კვლევის სფეროშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი პროექტი - უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში (2016) და ქრონოლოგიური სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში (2017).

<sup>1</sup> არისტოტელე. 1995. პოლიტიკა. ნაწილი პირველი. თამარ კუკავას თარგმანი. თბილისი. გვ. 117-118.

<sup>2</sup> Chun, Natalie, Rana Hasan, and Mehmet Ulubasoglu. 2011. The Role of the Middle Class in Economic Development. ADB Working Paper # 245. Asian Development Bank. P. 1. <https://www.adb.org/sites/default/files/publication/28751/economics-wp245.pdf>

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ob.: De la Torre Augusto, Jamele Rigolini. 2010. MIC Forum: The Rise of the Middle Class. The World Bank. <http://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/document/MIC-Forum-Rise-of-the-Middle-Class-SM13.pdf>. Asian Development Bank (ADB). 2010. The rise of Asia's Middle Class. <https://www.adb.org/sites/default/files/publication/27726/special-chapter-02.pdf>

წინამდებარე კვლევა, როგორც ზემოთ დასახელებული ორი კვლევა, განახორციელებს რონდელის ფონდის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორმა მერაბ კაკულიამ და წამყვანმა მკვლევარმა ნოდარ კაპანაძემ. მონაცემთა დამუშავებაში მათ ტექნიკური დახმარება გაუწია სტატისტიკოსმა ლალი ქურხულმა.

კვლევას არ აქვს საქართველოში საშუალო კლასის - ამ ურთულესი ფენომენის - განვითარების სრულყოფილი ანალიზის პრეტენზია. ეს არის ჩვენს ქვეყანაში ამ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის ეკონომიკურ-სტატისტიკური შეფასების ერთ-ერთი პირველი ცდა და, ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული ნაკლოვანებებისგან. ამდენად, ავტორებისთვის საინტერესო იქნება მკითხველთა ნებისმიერი შენიშვნა თუ წინადადება.

# 1. საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება


## 1.1. არსებული მიდგომები

საშუალო კლასის იდენტიფიკაციისთვის ძირითადად სამომხმარებლო ხარჯების ან შემოსავლების აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებს იყენებენ.

**საშუალო კლასის იდენტიფიკაციის აბსოლუტური მაჩვენებელი** ასახავს მოსახლეობის წილს, რომლის დღიური სულობრივი სამომხმარებლო ხარჯები გარკვეულ რაოდენობრივ საზღვრებშია მოქცეული. უკანასკნელი ე.წ. საერთაშორისო აშშ დოლარშია გამოხატული, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP) გათვალისწინებით.<sup>5</sup>

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით საერთაშორისო აშშ დოლარის მიმართ ლარის კონვერსიის კურსი 1995-2017 წლებში მკვეთრად გამოხატულ ზრდის ტენდენციას ავლენდა: თუ 1995 წელს ერთი საერთაშორისო PPP აშშ დოლარი 0.3 ლარი იყო, 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი სამჯერ გაიზარდა და თითქმის ერთ PPP აშშ დოლარს გაუტოლდა (იხ.: დანართი 1).

**დიაგრამა #1: საშუალო კლასის იდენტიფიკაციის ზღვრები მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით (ლარი, დღეში ერთ სულზე)**



წყარო: World Bank და ავტორთა გაანგარიშებები

საშუალო კლასის სამომხმარებლო ხარჯების რაოდენობრივი საზღვრების შესახებ ეკონომიკურ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, რომლებიც ამ თუ იმ ემპირიულ არგუმენტს ეყრდნობა. მაგალითად, სიღარიბის და უთანაბრობის საკითხების ცნობილი მკვლევრები ს. ჩენი და მ. რავალიონი განვითარებულ ქვეყნებში საშუალო კლასის სულობრივი სამომხმარებლო ხარჯების პარამეტრებს დღიურად 2-13 აშშ დოლარის ფარგლებში განსაზღვრავენ (იგულისხმება 2005 წლის PPP აშშ დოლარი), სადაც 2 აშშ დოლარი 70 განვითარებადი ქვეყნის სიღარიბის საშუალო ეროვნულ ზღვარს ასახავს, ხოლო 13 აშშ დოლარი – სიღარიბის ზღვარს აშშ-ში.<sup>6</sup> იმავე პრინციპით, აზიის განვითარების ბანკის (ADB)

<sup>5</sup> საერთაშორისო კვლევებში როგორც საშუალო კლასის, ისე სიღარიბის რაოდენობრივი შეფასებისათვის გამოიყენება ე.წ. საერთაშორისო აშშ დოლარი მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, რომლის ეროვნულ ვალუტებში კონვერსიისათვის გამოიყენება საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის გაანგარიშებები. იხ.: International Monetary Fund. Implied PPP conversion rate. National Currency per international dollar. <http://www.imf.org/external/datamapper/PPPEX@WEO/OEMDC/ADVEC/WEOORLD> The World Bank. PPP conversion factor, GDP (LCU per international \$). <https://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.PPP>

<sup>6</sup> Chen, S., and M. Ravallion. 2010. The Developing World is Poorer Than We Thought, But No Less Successful in the Fight Against Poverty. *Quarterly Journal of Economics* 125(4):1577–625. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო კლასის იდენტიფიკაციის რაოდენობრივი კრიტერიუმები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში მკვეთრად განსხვავდება.




მკვლევარები საშუალო კლასის სულობრივ სამომხმარებლო ხარჯებს განვითარებად ქვეყნებში დღიურად 2-10 PPP აშშ დოლარის შუალედში მოიაზრებენ.<sup>7</sup>

ზემოთ, პირველ დიაგრამაში, მოცემულია საშუალო კლასის იდენტიფიკაციის დღიური სულობრივი სამომხმარებლო ხარჯების ზემოთ აღნიშნული ზღვრები ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

თუკი დავეყრდნობით განვითარებად ქვეყნებში საშუალო კლასის სულობრივი სამომხმარებლო ხარჯების ს. ჩენის და მ. რავალიონის მიერ მოცემულ პარამეტრებს (დღიურად 2-13 PPP აშშ დოლარის ფარგლებში), საქართველოში შემდეგი სურათი იკვეთება: შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებით, ოჯახების 80 პროცენტის სამომხმარებლო ხარჯები 2017 წელს ერთ სულზე დღეში 2-13 PPP აშშ დოლარის დიაპაზონში იყო (იხ.: დიაგრამა #2). ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლებში უმნიშვნელოდ შემცირდა, რაც 13 PPP აშშ დოლარზე მეტი სულობრივი მოხმარების მქონე შინამეურნეობების წილის ზრდის ხარჯზე მოხდა.

**დიაგრამა #2: შინამეურნეობების განაწილება საქართველოში ერთ სულზე დღეში 2-13 PPP აშშ დოლარის მოხმარების ზღვრების მიხედვით**




წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

ამრიგად, მოცემული კრიტერიუმებით, საქართველოში საშუალო კლასს შინამეურნეობათა თითქმის 80 პროცენტი განეკუთვნება, რაც წარმოუდგენლად მაღალი მაჩვენებელია და ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ფენომენის იდენტიფიკაციის აღნიშნული რაოდენობრივი ზღვრების ნაკლებად რელევანტურობაზე მიუთითებს.

რამდენადმე განსხვავებულია საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება აზიის განვითარების ბანკის (ADB) ექსპერტების მიერ შემოთავაზებული ზღვრების მიხედვით (დღიურად 2-10 PPP აშშ დოლარი) (იხ.: დიაგრამა #3): საშუალო კლასი საქართველოში, ამ შემთხვევაში, შინამეურნეობათა თითქმის 70 პროცენტს მოიცავს, რაც ასევე მაღალი მაჩვენებელია და ვერ ასახავს ქართული საზოგადოების რეალურ სოციალურ სტრატეფიკაციას.


<sup>7</sup> Chun, Natalie, Rana Hasan, and Mehmet Ulubasoglu. 2011. The Role of the Middle Class in Economic Development. ADB Working Paper # 245.

**დიაგრამა #3: შინამეურნეობების განაწილება საქართველოში ერთ სულზე დღეში 2-10 PPP აშშ დოლარის მოხმარების ზღვრების მიხედვით**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო კლასის იდენტიფიკაციის რაოდენობრივი ზღვრების ქვედა ნიშნული არ შეიძლება ემთხვეოდეს განვითარებადი ქვეყნების სიღარიბის საშუალო ზღვარს. ეკონომიკურ ლიტერატურაში სამართლიანად არის ხაზგასმული, რომ საშუალო კლასის შემოსავლის ქვედა ზღვარი ბევრად უფრო მაღალი უნდა იყოს სიღარიბის ზღვართან შედარებით, რათა საშუალო კლასიდან გამოირიცხოს ის სოციალური ჯგუფები, რომელთა მდგომარეობა არამდგრადია და არსებობს მათი სიღარიბეში დაბრუნების დიდი ალბათობა.<sup>8</sup>

**დიაგრამა #4: საშუალო კლასის იდენტიფიკაციის ზღვრები მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით (ლარი, დღეში ერთ სულზე)**




წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ  
<sup>8</sup>Pressman, S. 2015. Defining and Measuring the Middle Class. Working Paper 007. American Institute for economic Research. <https://www.aier.org/sites/default/files/Files/Documents/Standard/WP007-Middle%20Class.pdf>

ავტორთა მესამე ჯგუფი საშუალო კლასის სამომხმარებლო ხარჯებს დღიურად 10-20 PPP აშშ დოლარის დიაპაზონში განიხილავს, რომლის საზღვრები, შესაბამისად, დაახლოებით ბრაზილიისა და იტალიის საშუალო დღიური სულობრივი შემოსავლების ეკვივალენტურია.<sup>9</sup> არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საშუალო კლასის წარმომადგენელთა საშუალო დღიური სულობრივი შემოსავალი 10-100 PPP აშშ დოლარის ფარგლებშია. ქვედა ნიშნული ამ შემთხვევაში იტალიისა და პორტუგალიის სიღარიბის საშუალო ზღვარს ასახავს, ზედა კი - ლუქსემბურგის, როგორც უმდიდრესი ქვეყნის, მედიანური შემოსავლის ორჯერად ოდენობას.<sup>10</sup> ამგვარი მიდგომა, მისი ინიციატორების აზრით, შეიძლება გამოდგეს ყველა, მათ შორის, განვითარებული ქვეყნისთვის.

#4 დიაგრამაში მოცემულია საშუალო კლასის იდენტიფიკაციის დღიური სულობრივი სამომხმარებლო ხარჯების ზემოთ აღნიშნული ზღვრები ეროვნულ ვალუტაში - ლარში. თუ შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯებს დღიურად 10-20 PPP აშშ დოლარის ფარგლებში განვიხილავთ, საშუალო კლასს მიკუთვნებული ოჯახების ხვედრითი წონა საქართველოში 2017 წელს 19.2 პროცენტი იყო, რაც, ერთი შეხედვით, უფრო ახლოსაა საზოგადოებაში გავრცელებულ აღქმასთან. მოცემულ განაწილებაში ყურადღებას იქცევს 20 PPP აშშ დოლარზე მეტი მოხმარების მქონე შინამეურნეობების დაახლოებით 5-პროცენტიანი წილი, რომელიც ამ კრიტერიუმის მიხედვით „მდიდრების“ კლასში მოიაზრება.

**დიაგრამა #5: შინამეურნეობების განაწილება საქართველოში ერთ სულზე დღეში 10-20 PPP აშშ დოლარის მოხმარების ზღვრების მიხედვით**




წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

დღეში ერთ სულზე 100 PPP აშშ დოლარის ეკვივალენტური შემოსავალი საქართველოსათვის მაღიან მაღალი ზღვარია, რაც დაადასტურა კიდევ გაანგარიშებებმა: 50 PPP აშშ დოლარზე მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების ხვედრითი წონა სტატისტიკური ცდომილების ფარგლებშია, ანუ ეს მაჩვენებელი არ იზომება. აქედან გამომდინარე, გამოვიყენეთ 10-50 აშშ დოლარამდე დიაპაზონი, რომლის მიხედვითაც, საშუალო კლასის წილი 2017 წელს 31 პროცენტი იყო, რაც 2009-2017 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2009 წელს ამ კრიტერიუმით საშუალო კლასი დაახლოებით 14 პროცენტი იყო. „მდიდართა“ წილი კი 1 პროცენტზე დაბალია, ანუ ეს მოვლენა არ იზომება.

<sup>9</sup> Milanovic, B., and S. Yitzhaki. 2002. Decomposing World Income Distribution: Does the World Have a Middle-Class? Review of Income and Wealth 48(2):155-78.

<sup>10</sup> Kharas, H. 2017. The Unpredicted Expansion of the Global Middle Class. An Update. Global Economy & Development Working Paper 100. Global Economy and development in Brookings.

**დიაგრამა #6: შინამეურნეობების განაწილება ერთ სულზე დღეში 10-50 PPP აშშ დოლარი შემოსავლის ზღვრების მიხედვით ქვეყანაში, სულ**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**საშუალო კლასის იდენტიფიკაციის შეფარდებითი მაჩვენებელი** ასახავს შინამეურნეობებს, რომელთა შემოსავლები შინამეურნეობათა შემოსავლების განაწილების (სპექტრის) გარკვეულ სეგმენტს განეკუთვნება. ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნული მაჩვენებლის ორი სახესხვაობა გვხვდება:

1. შინამეურნეობათა შემოსავლების განაწილების შუა კვინტილური ჯგუფების მიხედვით, ანუ იმ შინამეურნეობების წილი მთლიან შემოსავლებში, რომელთა სულობრივი შემოსავლები შემოსავლების მიხედვით შინამეურნეობათა სპექტრის შუა - 60 პროცენტს (კიდურა კვინტილური ჯგუფების გამოკლებით) განეკუთვნება.<sup>11</sup>


ეს მეთოდი საკმაოდ მარტივია და ადვილად აღიქმება. მასზე დაყრდნობით განსაზღვრავდა საშუალო კლასს ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში რობერტ სოლოუ, როგორც შემოსავლის მიმდებარე საშუალო 60 პროცენტს.<sup>12</sup> მიუხედავად ამისა, მოცემულ მიდგომას ერთი დიდი ნაკლი აქვს: ფაქტობრივად, იგი მხოლოდ საშუალო კლასის შემოსავლების წილს აფიქსირებს მთლიან შემოსავლებში, მაშინ როდესაც თვით საშუალო კლასი მუდმივად შინამეურნეობათა 60 პროცენტს შეადგენს (მეორე, მესამე და მეოთხე კვინტილური ჯგუფების ჯამს).

საქართველოში ასეთი მიდგომით გაანგარიშებული მაჩვენებელი 2017 წელს 35.3 პროცენტია, ანუ ერთ სულზე შემოსავლების კვინტილური განაწილების შუა სამი კვინტილური ჯგუფის (შინამეურნეობების 60 პროცენტი) შემოსავლების წილი მთლიანი შემოსავლების 35.3 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლებში ზრდის ტენდენციას აჩვენებს. ზრდის ტემპი რამდენადმე შენედა 2014-2016 წლებში, თუმცა მატების ტენდენცია სრულად აღდგა 2016-2017 წლის მონაკვეთში.

<sup>11</sup> Easterly, W. 2001. Middle-Class Consensus and Economic Development. Journal of Economic Growth 6(4):317-35.

<sup>12</sup> Pressman, S. 2015. Defining and Measuring the Middle Class. Working Paper 007. American Institute for economic Research.


**დიაგრამა #7: შუა კვინტილური ჯგუფების შემოსავლების წილი მთლიანი შემოსავლებიდან ერთ სულზე შემოსავლების მიხედვით კვინტილურ განაწილებაში**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

2. მედიანური შემოსავლებიდან გადახრის კრიტერიუმით, ანუ იმ შინამეურნეობათა წილი, რომელთა სულობრივი შემოსავლები შინამეურნეობათა მედიანური სულობრივი შემოსავლების 75-125 პროცენტის ფარგლებშია.<sup>13</sup>

**დიაგრამა #8: შინამეურნეობების განაწილება ერთ სულზე შემოსავლის მედიანის 75-125% ზღვრების მიხედვით**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

წინასაგან განსხვავებით, ეს მეთოდი უფრო ზუსტად ასახავს შემოსავლების განაწილების სპექტრის შუაში მყოფი შინამეურნეობების ხვედრით წონას, მაგრამ დროითი მწკრივების

<sup>13</sup> Birdsall, N., C. Graham, and S. Pettinato. 2000. Stuck in a Tunnel: Is Globalization Muddling the Middle? Working Paper 14. Brookings Institution Center. Washington, DC.

ანალიზისათვის ნაკლებად გამოსადეგია, რასაც ადასტურებს კიდევ ამ მიდგომით საქართველოსთვის გაანგარიშებული მაჩვენებლები. 2017 წლის მონაცემებით, მედიანის 75-125-პროცენტთან დიაპაზონში შინამეურნეობების 30.6 პროცენტი იყო. პროპორცია დაახლოებით ასეთივეა 2009-2016 წლებშიც და ასეთივე იქნება მომავალშიც, მიუხედავად იმისა, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება თუ გაუარესდება. მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება მედიანის მნიშვნელობაც და ამ გაზრდილი მედიანის 75-125-პროცენტთან დიაპაზონში დაახლოებით იმდენივე შინამეურნეობა იქნება, რამდენიც მანამდე იყო. ზუსტად ასეთივე პროპორცია იქნება შენარჩუნებული შემცირების შემთხვევაშიც.

საშუალო კლასის შეფასების დროს მედიანური მოხმარების პროპორციის გამოყენება შეიძლება საინტერესო იყოს დროის რაღაც ფიქსირებული მონაკვეთის გაანალიზებისათვის, მაგრამ ეს მიდგომა სრულად გამოუსადეგარაა დროითი მწკრივების ანალიზისათვის ისე, როგორც სიღრმის დონის მაჩვენებლების გაანგარიშების შემთხვევაში.

საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებებისას დროითი მწკრივების ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ იგი აჩვენებს, თუ როგორ იცვლება მდგომარეობა, უმჯობესდება თუ უარესდება.

## 1.2. ჩვენი მიდგომა

საშუალო კლასის იდენტიფიკაციის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად, შინამეურნეობების შემოსავლების/სამომხმარებლო ხარჯების კრიტერიუმებს ეფუძნება, რაც საკმარისი არ არის საზოგადოების ამ მნიშვნელოვანი ფენის სრულყოფილი რაოდენობრივი შეფასებისა და მისი სოციო-ეკონომიკური პროფილის ანალიზისათვის. შემოსავლის ან გაწეული ხარჯების მოცულობის მიხედვით, შინამეურნეობა შესაძლოა რომელიმე ზომით აღნიშნულ შუალედში მოექცეს, მაგრამ ეს სრულეობითაც არ ნიშნავს იმას, რომ მიცემული შინამეურნეობა თავისი თვისებრივი მახასიათებლებით საშუალო კლასის განეკუთვნება. შემოსავლებთან/ხარჯებთან ერთად საჭიროა საშუალო კლასის იდენტიფიკაციის სხვა სოციო-ეკონომიკური კრიტერიუმების გამოყენება, ხოლო შემდეგ მათი სტატისტიკური თანაკვეთის განსაზღვრა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საზოგადოების ამ კლასის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების უფრო საფუძვლიანი შეფასება.

საშუალო კლასის იდენტიფიკაციის სხვა კრიტერიუმებიდან პირველ რიგში უნდა დასახელდეს **დასაქმების პროფილი**, რაც შინამეურნეობათა შემოსავლების/ხარჯების სტატისტიკის განმსაზღვრელი ფაქტორია.<sup>14</sup> უკანასკნელის დეკომპოზირება შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როგორია შინამეურნეობის წევრის დასაქმების სტატუსი (დაქირავებით დასაქმებულია თუ თვითდასაქმებული), თანამდებობა (მენეჯერული პოზიცია უკავია თუ აღმასრულებელი), პროფესიითაა დასაქმებული თუ არა და ა. შ. ამ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახის რამდენი წევრია დასაქმებული და როგორ?

საშუალო კლასის კეთილდღეობის დონე ბევრადაა დამოკიდებული მის წარმომადგენელთა **განათლების დონეზე**. ამიტომაც ითვლება იგი საშუალო კლასის დეტერმინანტად. უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი შინამეურნეობის საშუალო კლასისათვის კუთვნილებას მხოლოდ იმით საზღვრავს, აქვს თუ არა მის ერთ წევრს მაინც საშუალოზე მაღალი განათლება, რაც მაქსიმუმ ბაკალავრის ხარისხს გულისხმობს.<sup>15</sup> ჩვენი აზრით, მხოლოდ განათლების ცენზით საშუალო კლასის იდენტიფიცირება გაუმართლებელია. მაგალითად, საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს აქვს უმაღლესი განათლების დიპლომი, მაგრამ უმუშევართა და, შესაბამისად, დარბობთა კატეგორიას განეკუთვნება.<sup>16</sup> ამდენად, უმაღლესი განათლება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს საშუალო კლასისათვის კუთვნილების დეტერმინანტი, როდესაც იგი უზრუნველყოფს პროფესიით მდგრად დასაქმებას და შესაბამისი ოდენობის შემოსავლების გენერირებას.

საშუალო კლასის იდენტიფიკაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად მიიჩნევა **შინამეურნეობათა ქონება** (Household Wealth), რომელშიც იგულისხმება უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა/სახლი და აგარაკი), არასაპენსიო დანაზოგები (საბანკო დეპოზიტები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და სხვა), საპენსიო დანაზოგები, წილები და ფასიანი ქაღალდები

<sup>14</sup> Chun, Natalie, Rana Hasan, and Mehmet Ulubasoglu. 2011. The Role of the Middle Class in Economic Development. ADB Working Paper # 245. Asian Development Bank. P. 5. <https://www.adb.org/sites/default/files/publication/28751/economics-wp245.pdf>

<sup>15</sup> Pressman, S. 2015. Defining and Measuring the Middle Class. Working Paper 007. American Institute for Economic Research.

<sup>16</sup> ვაკულია მ., კაპანაძე ნ., ქუჩუაძე ლ., ლომჯარია ვ. 2016. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში, რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

(აქციები და ობლიგაციები), სხვადასხვა ტიპის აქტივები (ოქრო, საიუველირო ნაკეთობები, ანტიკვარიატი და ა.შ.) და სხვა.<sup>17</sup> ჩამოთვლილი აქტივები საშუალო კლასის შინამეურნეობათა შემოსავლის წყარო და სოციალური უსაფრთხოების ფაქტორია.

საშუალო კლასის შინამეურნეობებს მოხმარების ტიპური სტრუქტურა ახასიათებთ, რომელიც ქვეყნების მიხედვით არსებითად განსხვავდება. მიუხედავად ამისა, არსებობს **ხანგრძლივი მოხმარების საგნების** ჩამონათვალი, რომელთა ქონაც შეიძლება განვიხილოთ საშუალო კლასის დეტერმინანტად. მათ შორისაა: ავტომობილი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, მაცივარი, კონდიციონერი, სარეცხის მანქანა და სხვა.

იგივე შეიძლება ითქვას **კომუნალური მომსახურების საბაზისო სახეობების წვდომაზეც**. პირველ რიგში, აქ იგულისხმება ელექტროენერჯის, წყლის, ბუნებრივი აირისა და ინტერნეტის წვდომა.

საშუალო კლასის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია აგრეთვე ხარისხიანი **სამედიცინო მომსახურების წვდომა**.<sup>18</sup> მხედველობაში გვაქვს არა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მოქმედებს და ძირითადად დაბალშემოსავლიან ფენებზეა ორიენტირებული, არამედ კერძო სამედიცინო დაზღვევის პაკეტები.

საშუალო კლასის ერთ-ერთი მაპროფილენელი მახასიათებელია **დასვენების შესაძლებლობა**. მიიჩნევა, რომ საშუალო კლასის შინამეურნეობას წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეეძლოს დასვენება ორგანიზებული ტურიზმის ფორმით. განსაკუთრებით საყურადღებოა რეგულარულად დასვენება საზღვარგარეთ, რაც შეიძლება ჩავთვალოთ საშუალო კლასისათვის მიკუთვნების ნიშნად.

დაბოლოს, საშუალო კლასის იდენტიფიკაციისათვის ერთობ მნიშვნელოვანია **შინამეურნეობათა თვითაღქმა** - ანუ როგორ აღიქვამს და აფასებს საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას შინამეურნეობა და რომელ კლასს მიაკუთვნებს საკუთარ თავს. ეს საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, როგორ აღიქვამს მოსახლეობა საშუალო კლასის რაოდენობრივ და თვისებრივ პარამეტრებს.

ხაზი უნდა გაეკვას იმ გარემოებას, რომ საშუალო კლასი არაერთგვაროვანია: ჩვეულებრივ, განასხვავებენ ქვედა საშუალო კლასს, შუა და მაღალ საშუალო კლასს, თუმცა ამგვარი კლასიფიკირება, როგორც წესი, შემოსავლების/მოხმარების მიხედვით ხდება. ჩვენი აზრით, შინამეურნეობათა საშუალო კლასის აღნიშნული ფენებისათვის მიკუთვნება უნდა მოხდეს ზემოთ დასახელებული ცხრავე კრიტერიუმით, რისთვისაც საჭიროა ამ კრიტერიუმების მიხედვით გარკვეული საზღვრების დადგენა.

ზემოთ განხილული მიდგომებით, საშუალო კლასისათვის კუთვნილებას მხოლოდ შემოსავლების ან სამომხმარებლო ხარჯების მოცულობა განსაზღვრავს. ასეთი შეფასება შეიძლება საინტერესო იყოს სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების შედარებისათვის, თუმცა, ჩვენი აზრით, ერთობ ტრივიალურია ისეთი რთული ფენომენის აღწერისას, როგორც საშუალო კლასი.

### 1.3. ინფორმაციის წყაროები

დასახელებული 9 კრიტერიუმის/პარამეტრის (შემოსავლების/მოხმარების ჩათვლით) მიხედვით შინამეურნეობათა კვლევისათვის საკმარის ინფორმაციას იძლევა შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევა, რომელიც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატის - ვებგვერდზეა განთავსებული.<sup>19</sup> მისი შედეგების დამუშავება აღნიშნული კრიტერიუმებით დაჯგუფებული შინამეურნეობების შესახებ მონაცემთა შეჯგუფებისა და მათი სტატისტიკური კვების საზღვრების დადგენის შესაძლებლობას გვაძლევს.

რაც უფრო მრავალფეროვანია ერთი და იმავე შინამეურნეობის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, მით უფრო სრულფასოვანია შეფასების ხარისხი. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შერჩევის ბაზად გამოყენებულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მისამართების ბაზა. დაკვირვების ობიექტები ის შინამეურნეობები არიან, რომლებიც

<sup>17</sup> Wolff, Edward N. 2012. The Asset Price Meltdown and the Wealth of the Middle Class. New York University.

<sup>18</sup> Banerjee, A., and E. Duflo. 2008. What is Middle-Class About the Middle-Classes Around the World? Journal of Economic Perspectives 22(2):3-28. P.20.

<sup>19</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზები. <http://www.geostat.ge>

შერჩევაში მოხვედრილ მისამართებზე ცხოვრობენ. გამოკვლევის შერჩევის ზომა დაახლოებით 3350 შინამეურნეობაა, რომლებთანაც დაახლოებით 2800 ინტერვიუ ტარდება.

შერჩევის პროცედურის პირველ საფეხურზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოთავსებული 11000 სააღწერო უბნიდან შეირჩევა 336 სააღწერო უბანი, მეორე საფეხურზე კი ამ უბნებიდან სისტემატური შერჩევის წესით 3350 შინამეურნეობა ამოიკრიფება.

შერჩეული უბნები ყოველი რეგიონისთვის სტრატეგის დონეზე თანაბრად დაყოფილი 12 საროტაციო ჯგუფად, რათა თითოეულ თვეში შესაბამისი საროტაციო ჯგუფის მისამართები ახალი მისამართებით ჩანაცვლდეს. ამრიგად, ყოველთვიურად ხდება მთელი შერჩევის 8.3 პროცენტით განახლება. ერთი წლის მანძილზე კი მთელი შერჩევა ახლდება.<sup>20</sup>

---

<sup>20</sup> შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის აღწერა უფრო დეტალურად მოცემულია 2017 წელს ჩვენს მომზადებულ კვლევაში: კაკულია, მ., კაპანაძე ნ., ქურბული ლ. 2017. ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა. რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი.




## 2. კრიტერიუმების შერჩევა

ჩვენი მიდგომით, საშუალო კლასის იდენტიფიცირებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი პარამეტრები:

- 1. დასაქმება:** ამ კრიტერიუმის შეფასება საკმაოდ პრობლემურია სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის ფორმატში გატარებული ცვლილებების გამო; კერძოდ, 2002-2016 წლებში სამუშაო ძალის ინტეგრირებული გამოკვლევის ფარგლებში შესაძლებელი იყო დასაქმების დეტალური ანალიზი. 2017 წელს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სამუშაო ძალის გამოკვლევის კომპონენტი ცალკე გამოყო და იგი შინამეურნეობების ძირითად გამოკვლევასთან ერთად აღარ ტარდება. ამდენად, საშუალო კლასის შეფასებისათვის დასაქმების კრიტერიუმის მრავალმხრივი გამოყენება 2017 წელს და შემდგომ უკვე შეუძლებელია.
- 2. განათლების დონე:** ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების მისაწვდომობა, თუმცა, სამწუხაროდ, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შესაბამისი მოდული 2012 წლიდან გაუქმებულია და განათლების მისაწვდომობის შეფასება არსებული ინსტრუმენტებით შეუძლებელია. 2009-2017 წლებში უწყვეტი დროითი მწკრივის გენერირება შესაძლებელია მხოლოდ შინამეურნეობის წევრების განათლების ცნხის მონაცემებით, რომელთა საფუძველზეც წინამდებარე კვლევაში გამოვიყენებთ დიქტომიას, სადაც: 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობის ერთ წევრს მაინც აქვს უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლება, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობის არც ერთ წევრს არ გააჩნია უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლება. რაც შეეხება განათლების მისაწვდომობის შეფასებას, იგი გაცილებით უფრო რთულ ანალიზს საჭიროებს და ქვემოთ ცალკე იქნება განხილული.
- 3. შემოსავლები:** შემოსავლების კრიტერიუმის ზღვრების დასადგენად წინამდებარე ანალიზში გამოყენებული მიდგომა განსხვავებულია ზემოთ განხილული მაგალითებისაგან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ 2-10, 20-13, 10-20 და 10-50 PPP აშშ დოლარის ან ნებისმიერი სხვა ინტერვალის აპრიორად შერჩევა ერთობ ფორმალურია და სრულყოფილად ვერ ასახავს საშუალო კლასის სოციო-ეკონომიკურ შინაარსს. ამიტომაც შემოსავლების, როგორც კრიტერიუმის, განსაზღვრისათვის, პირველ რიგში, შევეცადეთ დაგვედგინა შემოსავლის ის დიაპაზონი, ანუ ზედა და ქვედა ზღვარი, რომელთა შორისაც შეიძლება იყოს განთავსებული პოტენციურად საშუალო კლასში მოხვედრის კანდიდატი შინამეურნეობის შემოსავალი. ამისათვის გამოვიყენეთ 2017 წელს ჩვენი მომზადებული კვლევის<sup>21</sup> დროს გენერირებული მასივები; კერძოდ, პანელური შინამეურნეობებიდან (ანუ შინამეურნეობებიდან, რომლებიც გამოიკითხნენ 4-ჯერ) გამოვყავით შინამეურნეობები, რომლებიც არც ერთხელ არ მოხვედრილან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (4 გამოკითხვიდან შინამეურნეობები არც ერთხელ არ ყოფილან სიღარიბეში). თითოეული პანელისათვის მოვამზადეთ კუმულატიური განაწილება და 5 და 95 პროცენტის ზღვარზე მყოფი შინამეურნეობების შემოსავლები ერთ სულზე გადავიანგარიშეთ, როგორც საშუალო კლასში მოხვედრის შესაძლებლობის ქვედა და ზედა ზღვარი. მიღებული შედეგები ასახულია #9 დიაგრამაში.

<sup>21</sup> კაკულია, მ., კაპანაძე ნ., ქურხული ლ. 2017. ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა. ონდელის ფონდი და ფრიდრიხ ჰებერტის ფონდი.

**დიაგრამა #9: ერთ სულზე შემოსავლების კვედა და ზედა ზღვრები (ლარი, თვეში)**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტოთა მიერ

4. **საცხოვრისი:** შინამეურნეობათა ქონებიდან, როგორც მათი საშუალო კლასისათვის კუთვნილების კრიტერიუმიდან, შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა მხოლოდ მათი საცხოვრისის შესახებ იძლევა მეტ-ნაკლებად სრულყოფილ ინფორმაციას. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია შინამეურნეობის საცხოვრისის შემდეგი მაჩასიათებლები:
  - 4.1. საკუთარი საცხოვრისი: საშუალო კლასს მიკუთვნილებული ოჯახი, როგორც წესი, უნდა ცხოვრობდეს საკუთარ საცხოვრისში, რაშიც იგულისხმება იპოთეკით დატვირთული საცხოვრისიც. ეს პარამეტრი ფასდება შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე, სადაც არის კითხვა შინამეურნეობის საცხოვრისის საკუთრების ფორმის შესახებ. ანალიზისათვის აქვს გამოიყენება დიქტომიური მაჩვენებელი, როდესაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობა ცხოვრობს საკუთარ საცხოვრისში, ხოლო 0 ნიშნავს, რომ საცხოვრისის საკუთრების ფორმა განსხვავებულია (მაქირავები, გირაო, სარგებლობაში და ა. შ.).
  - 4.2. საცხოვრისის მთლიანი ფართობი: შინამეურნეობის ერთ წევრზე უნდა მოდიოდეს არანაკლებ 12 კვადრატული მეტრი მთლიანი ფართობისა.<sup>22</sup> ანალიზისათვის კვლავ გამოიყენება დიქტომიური მაჩვენებელი, როდესაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობის ერთ სულზე მოდის 12 ან მეტი კვადრატული მეტრი ფართობი, ხოლო 0 ნიშნავს, რომ ერთ სულზე საცხოვრისის მთლიანი ფართობი 12 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. აღნიშნული პარამეტრიც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე ფასდება, სადაც არის კითხვა შინამეურნეობის საცხოვრისის მთლიანი ფართობის შესახებ.
  - 4.3. საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა: შინამეურნეობის ერთ წევრზე უნდა მოდიოდეს არანაკლებ 0.5 საცხოვრებელი ოთახი. ეს მაჩვენებელიც საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე დგინდება, ხოლო ანალიზისათვის გამოიყენება დიქტომიური პარამეტრი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობის ერთ სულზე მოდის 0.5 ან მეტი საცხოვრებელი ოთახი, ხოლო 0 ნიშნავს, რომ ერთ სულზე საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა 0.5-ზე ნაკლებია. ანალიზისთვის ასევე გვინდოდა ერთ სულზე საძინებელი ოთახების რაოდენობის მაჩვენებლის გამოყენებაც, მაგრამ მონაცემთა ბაზის პირველადმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ მონაცემების მწკრივი არასრულია.

<sup>22</sup> ეს ნორმა აღებულია საბჭოთა სტანდარტებიდან, სხვა ნორმის მოძიება ვერ მოხერხდა.

4.4. აბაზანა: საშუალო კლასის შინამეურნეობას უნდა ჰქონდეს საკუთარი აბაზანა. ეს პარამეტრიც საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე ფასდება, ანალიზისათვის კი გამოიყენება დიქტომიური მაჩვენებელი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას აქვს საკუთარი აბაზანა, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას საკუთარი აბაზანა არ გააჩნია.

4.5. სამზარეულო: საშუალო კლასის შინამეურნეობას უნდა ჰქონდეს საკუთარი სამზარეულო. ეს მაჩვენებელიც საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე გამოითვლება, ხოლო ანალიზისათვის გამოიყენება დიქტომიური პარამეტრი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას აქვს საკუთარი სამზარეულო, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას საკუთარი სამზარეულო არ გააჩნია. ანალიზისთვის ასევე გვიწოდდა გამოგვეყენებინა საკანალიზაციო სისტემაზე მიერთებული საკუთარი ჩასარეცი ტუალეტის ფლობის დიქტომიური მაჩვენებელიც, მაგრამ საბოლოო ჯამში მასზე უარი ვთქვით, რამდენადაც საკანალიზაციო სისტემა საქართველოში ფაქტობრივად მხოლოდ ქალაქებისთვისაა დამახასიათებელი და ამ პარამეტრის გამოყენება ავტომატურად ნიშნავდა სოფლის მოსახლეობის მოკვეთას საშუალო კლასიდან.

4.6. საცხოვრისის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება: საშუალო კლასისთვის მიკუთვნების მნიშვნელოვანი პირობაა ის, რომ შინამეურნეობის საცხოვრებელი უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზებში არსებული საკუთარი საცხოვრისის სუბიექტური შეფასების მონაცემები, რომელიც 2009-2011 წლებში შედიოდა გამოკვლევის კითხვარ "შინდა 09"-ში, ხოლო 2012-2017 წლებში - კითხვარ "შინდა 01"-ში და მოიცავდა შინამეურნეობის მიერ საკუთარი საცხოვრისის მდგომარეობის შეფასების ხუთ კატეგორიას:

1. კარგადაა გარემონტებული;
2. ჯერჯერობით რემონტს არ საჭიროებს;
3. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს;
4. საჭიროებს კაპიტალურ რემონტს;
5. თუ სასწრაფოდ არ გარემონტდა, შეიძლება დაინგრეს.

წინამდებარე ანალიზისათვის გამოყენებულია დიქტომიური მაჩვენებელი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობის საცხოვრისი ან კარგადაა გარემონტებული, ან ჯერჯერობით რემონტს არ საჭიროებს, ან მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი ესაჭიროება, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობის საცხოვრისი საჭიროებს კაპიტალურ ან გადაუდებელ რემონტს.

5. **დანაზოგი:** ეს საშუალო კლასს მიკუთვნებულ შინამეურნეობათა ქონების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სამწუხაროდ, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შესაბამისი მოდული 2012 წლიდან გაუქმებულია და ამ პარამეტრის შეფასება არსებული ინსტრუმენტებით არარეალურია. ამდენად, მოცემულ კვლევაში იგი, როგორც საშუალო კლასის იდენტიფიკაციის კრიტერიუმში, ვერ გამოვიყენეთ, თუმცა ვცადეთ ამ პარამეტრის დიქტომიური შეფასება: 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობამ გაზარდა თავისი დანაზოგი, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას დანაზოგი არ გაუკეთებია. დანაზოგის შექმნა, გარდა შემოსავლებისა, სამომხმარებლო ქვების მრავალ სხვა ასპექტზეა დამოკიდებული და მისი მხოლოდ ერთი პარამეტრით შეფასება არაკორექტულია, მაგრამ შესაბამისი ინფორმაციული რესურსის არარსებობის გამო იძულებული ვართ მხოლოდ ამით შემოვიფარგლოთ.

6. **მისაწვდომობა საბაზისო კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე:** ეს საშუალო კლასის მნიშვნელოვანი ყოფითი მახასიათებელია: ერთია შინამეურნეობის საცხოვრისი, ხოლო მეორე - რამდენადაა იგი უზრუნველყოფილი აუცილებელი კომუნალური სერვისებით, როგორცაა:

6.1. ელექტრომომარაგება: ეს მახასიათებელიც საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე ფასდება, ანალიზისათვის კი გამოიყენება დიქტომიური მაჩვენებელი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას აქვს ელექტრომომარაგება, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ელექტრომომარაგება არ გააჩნია.


- 6.2. ცხელი წყლით მომარაგება: საშუალო კლასის შინამეურნეობა მიერთებული უნდა იყოს ცხელი წყლით მომარაგების ცენტრალურ სისტემაზე ან უნდა ჰქონდეს ცხელი წყლით მომარაგების ინდივიდუალური სისტემა. 90-იან წლებში ცხელი წყლით მომარაგების ცენტრალური სისტემები საქართველოში თითქმის მთლიანად მოიშალა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცხელი წყლის წყარო ბუნებრივი იყო). შინამეურნეობებმა დაიწყეს ცხელი წყლით მომარაგების ინდივიდუალური სისტემების დაყენება. ეს მაჩვენებელიც საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე გამოითვლება, ხოლო ანალიზისათვის გამოყენებულია დიქტომიური პარამეტრი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას აქვს ცხელი წყლით ცენტრალური ან ინდივიდუალური მომარაგება, ხოლო 0 ნიშნავს, რომ არ აქვს.
- 6.3. გაზმომარაგება: საშუალო კლასის შინამეურნეობა მიერთებული უნდა იყოს ბუნებრივი აირით მომარაგების ცენტრალურ სისტემაზე ან უნდა ჰქონდეს თხევადი გაზით მომარაგების ინდივიდუალური სისტემა. საქართველოს სოფლების ნაწილი უზრუნველყოფილია ცენტრალური გაზმომარაგებით, ნაწილი კი - არა. ამდენად, ამ პარამეტრზეც შეიძლება უარი გვეთქვა ისე, როგორც საკანალიზაციო სისტემის შემთხვევაში, მაგრამ შინამეურნეობები გ აზომომარაგების ცენტრალური სისტემის არარსებობის კომპენსირებას თხევადი გაზით მომარაგების გაზით ახერხებენ, რაც ყველა შინამეურნეობას შეუძლია. ეს პარამეტრიც საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე ვსადავებ, ანალიზისათვის კი გამოყენებულია დიქტომიური მაჩვენებელი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას აქვს ბუნებრივი ან თხევადი გაზით მომარაგება, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ბუნებრივი ან თხევადი გაზით მომარაგება არ გააჩნია;
- 6.4. გათბობა: საშუალო კლასის შინამეურნეობა მიერთებული უნდა იყოს გათბობის ცენტრალურ სისტემაზე ან უნდა ჰქონდეს გათბობის ინდივიდუალური სისტემა. ეს მაჩვენებელიც საცხოვრისის აღწერის კითხვარ "შინდა 01"-ის საფუძველზე გამოითვლება, ხოლო ანალიზისათვის გამოყენებულია დიქტომიური პარამეტრი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას აქვს ცენტრალური ან ინდივიდუალური გათბობა, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ცენტრალური ან ინდივიდუალური გათბობა არ აქვს;
- 6.5. ინტერნეტზე წვდომა: აქ პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს 2011 წლამდე შინამეურნეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის მონაცემები. გამოკვლევის კითხვარში ინტერნეტით უზრუნველყოფის კითხვა 2010 წლის შემდეგ დაემატა. ამდენად, ამ პარამეტრის ანალიზში ჩართვით 2009-2017 წლების დროით მჭვრიცს ორი წლით შევამცირებთ, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისია ტენდენციების ანალიზისათვის. თუმცა ქვემოთ, პარამეტრების აღწერაში, ინტერნეტით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მაინც არის გაანალიზებული.
7. **ხანგრძლივი მოხმარების ნივთების ფლობა:** ეს საშუალო კლასის შეფასების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია, ვინაიდან იგი სამომხმარებლო ხარჯების ერთ-ერთი ძირითადი არეალია, სადაც შინამეურნეობების შემოსავლები იღუქება და რაც მის ცხოვრებას უფრო კომფორტულს ხდის. ხანგრძლივი მოხმარების საგნების ჩამონათვლი ძალიან ვრცელია, მაგრამ წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ის საგნები, რომელთა შესახებაც 2009-2017 წლებში უწყვეტი დროითი მჭვრიცი გვქვს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შინამეურნეობების გამოკვლევის ინსტრუმენტებში 2007 წელს შეტანილი გაუმართლებელი ცვლილების გამო, 2007-2008 წლის მონაცემები ამ მიმართულებით ანალიზისათვის პრაქტიკულად გამოუსადეგარია, თუმცა 2008 წლის დასაწყისიდან ეს ცვლილება გაუქმდა და მისი ნეგატიური ზეგავლენა 2009 წლის მონაცემთა ბაზის უმეტეს ნაწილში თითქმის ნივლირებულია.
- 7.1. მაცივარი: იგულისხმება მუშა მდგომარეობაში მყოფი დანადგარი. ეს მაჩვენებელი შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარ "შინდა 01"-ში შემავალი ხანგრძლივი მოხმარების ნივთებით უზრუნველყოფის ბლოკის საფუძველზე გამოითვლება, ანალიზისათვის კი გამოყენებულია დიქტომიური პარამეტრი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ერთი მაცივარი მაინც აქვს მუშა მდგომარეობაში, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას მუშა მდგომარეობაში მყოფი მაცივარი არ გააჩნია;

- 7.2. სარეცი მანქანა: იგულისხმება მუშა მდგომარეობაში მყოფი დანადგარი. ეს პარამეტრიც კითხვარ "შინდა 01"-ში შემავალი ხანგრძლივი მოხმარების ნივთებით უზრუნველყოფის ბლოკის საფუძველზე ფასდება, ხოლო ანალიზისათვის გამოყენებულია დიქტომიური მაჩვენებელი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ერთი სარეცი მანქანა მაინც აქვს მუშა მდგომარეობაში, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას მუშა მდგომარეობაში მყოფი სარეცი მანქანა არ გააჩნია;
- 7.3. ტელევიზორი: იგულისხმება მუშა მდგომარეობაში მყოფი ტელევიზორი. ეს მაჩვენებელიც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარ "შინდა 01"-ში შემავალი ხანგრძლივი მოხმარების ნივთებით უზრუნველყოფის ბლოკის საფუძველზე დგინდება, ანალიზისათვის კი გამოყენებულია დიქტომიური პარამეტრი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ერთი ტელევიზორი მაინც აქვს მუშა მდგომარეობაში, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას მუშა მდგომარეობაში მყოფი ტელევიზორი არ გააჩნია;
- 7.4. მსუბუქი ავტომობილი: საშუალო კლასის შინამეურნეობას უნდა მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი მსუბუქი ავტომობილი მაინც. ეს პარამეტრიც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარ "შინდა 01"-ში შემავალი ხანგრძლივი მოხმარების ნივთებით უზრუნველყოფის ბლოკის საფუძველზე ფასდება, ხოლო ანალიზისათვის გამოყენებულია დიქტომიური მაჩვენებელი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ერთი მსუბუქი ავტომობილი მაინც აქვს მუშა მდგომარეობაში, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ასეთი მსუბუქი ავტომობილი არ გააჩნია;
- 7.5. კომპიუტერი: საშუალო კლასის შინამეურნეობას უნდა ჰქონდეს მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერი. ეს მაჩვენებელიც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარ "შინდა 01"-ში შემავალი ხანგრძლივი მოხმარების ნივთებით უზრუნველყოფის ბლოკის საფუძველზე გამოითვლება, ხოლო ანალიზისათვის გამოყენებულია დიქტომიური პარამეტრი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას ერთი კომპიუტერი მაინც აქვს მუშა მდგომარეობაში, 0 კი ნიშნავს, რომ შინამეურნეობას მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერი არ აქვს;

ამავე ჩამონათვალში ალბათ კარგი იქნებოდა მობილური ტელეფონის ჩართვაც, მაგრამ მობილური ტელეფონი ხანგრძლივი მოხმარების ნივთების ჩამონათვალში 2011 წლიდანაა და ამდენად 2009-2017 წლებში უწყვეტი დროითი მწკრივი არ გვაქვს. აქედან გამომდინარე, მობილური ტელეფონების ფლობა განხილული იქნება პარამეტრების ჩამონათვალში, თუმცა საშუალო კლასის ანალიზში მობილური ტელეფონი კრიტერიუმად არ იქნება გამოყენებული.

8. **მოხმარება:** მოხმარების (შინამეურნეობების მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების) პარამეტრის ზღვრების დასადგენადაც ისეთივე მიდგომა გამოიყენეთ, როგორც შემოსავლების შემთხვევაში. პირველ რიგში შევეცადეთ დაგვედგინა შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების დიაპაზონი, ანუ ზედა და ქვედა ზღვარი, რომელთა შორისაც შეიძლება იყოს პოტენციურად საშუალო კლასში მოხვედრის კანდიდატი შინამეურნეობის მოხმარება. ამისათვის გამოვიყენეთ ქრონიკული სიღარიბის და შემოსავლების უთანაბრობის შესახებ 2017 წელს ჩვენი მომზადებული კვლევის დროს გენერირებული მასივები; კერძოდ, პანელური შინამეურნეობებიდან (ანუ შინამეურნეობები, რომლებიც 4-ჯერ გამოიკითხნენ) გამოვიყავით შინამეურნეობები, რომლებიც არც ერთხელ არ მოხვედრილან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (4 გამოკითხვიდან შინამეურნეობები არც ერთხელ არ ყოფილან სიღარიბეში). თითოეული პანელისათვის მოვაშადათ კუმულატიური განაწილება და 5 და 95 პროცენტის ზღვარზე მყოფი შინამეურნეობების მოხმარება ერთ სულზე გადავიანგარიშეთ, როგორც საშუალო კლასში მოხვედრის შესაძლებლობის ქვედა და ზედა ზღვარი. მიღებული შედეგები ასახულია #10 დიაგრამაში.

**დიაგრამა #10: ერთ სულზე მთლიანი მოხმარების ქვედა და ზედა ზღვრები (ლარი, თვეში)**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტონთა მიერ

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2017 წლიდან შეცვალა შინამეურნეობების შერჩევის დიზაინის საროტაციო სქემა, რის გამოც 2017 წლის პანელური შეფასებების გენერირება უზრაოდ შეუძლებელია. ამის გამო 2009-2016 წლების შეფასებები გაავარძელეთ 2017 წლის მონაცემების პროპორციულად, რაც სავსებით მისაღებია ასეთ შემთხვევებში.

**9. სუბიექტური შეფასება:** ეს პარამეტრი ორ კომპონენტს მოიცავს, რომლებიც შინამეურნეობის საშუალო კლასისთვის მიკუთვნების მნიშვნელოვანი პირობებია:

9.1. შინამეურნეობების მიერ საკუთარი მდგომარეობის სუბიექტური შეფასება შემოსავლების მიხედვით: წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზებში არსებული მონაცემები, რომლებიც 2009-2011 წლებში შედიოდა გამოკვლევის კითხვარ „შინდა 09“-ში, ხოლო 2012-2017 წლებში კითხვარ „შინდა 01“-ში და მოიცავდა შინამეურნეობის მიერ საკუთარი მდგომარეობის შეფასების ხუთ კატეგორიას:

1. კარგი - ფულის ხარჯვა შეგვიძლია თავისუფლად;
2. საშუალო - ადვილად ვიკმაყოფილებთ ყოველდღიურ მატერიალურ მოთხოვნებს;
3. დამაკმაყოფილებელი - მეტ-ნაკლებად ვახერხებთ ყოველდღიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
4. ცუდი - შემოსავალი (მოწეული მოსავალი) მხოლოდ კვებაზე გვყოფნის;
5. ძალიან ცუდი - საკმარის კვებასაც კი ვერ უზრუნველვყოფთ.

მოცემულ კვლევაში გამოყენებულია დიქტომიური პარამეტრი, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობა თავის მდგომარეობას შემოსავლების მიხედვით აფასებს, როგორც კარგს, საშუალოს ან დამაკმაყოფილებელს, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობა თავის მდგომარეობას შემოსავლების მიხედვით აფასებს, როგორც ცუდს ან ძალიან ცუდს.

9.2. ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით საკუთარი მდგომარეობის სუბიექტური შეფასება: ამ კვლევაში გამოყენებულია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზებში საკუთარი მდგომარეობის სუბიექტური შეფასების მონაცემები, რომლებიც 2009-2011 წლებში შედიოდა გამოკვლევის კითხვარ „შინდა 09“-ში, ხოლო 2012-2017 წლებში კითხვარ „შინდა 01“-ში და მოიცავდა შინამეურნეობის მიერ საკუთარი მდგომარეობის შეფასების ხუთ კატეგორიას:



1. მდიდარი;
2. შეძლებული;
3. საშუალო შეძლების;
4. ღარიბი;
5. უკიდურესად ღარიბი (ლატაკი).

წინამდებარე ანალიზისათვის გამოყენებულია დიქტომიური შეფასება, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობა საკუთარ თავს აფასებს, როგორც მდიდარს, შეძლებულს ან საშუალო შეძლების, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით საკუთარ თავს აფასებს, როგორც ღარიბს ან უკიდურესად ღარიბს.


10. **ჯანმრთელობის დაცვა:** ეს მაღზე მნიშვნელოვანი პარამეტრია საშუალო კლასის შეფასებისათვის და აქაც ზუსტად ისე, როგორც განათლების მისაწვდომობის შემთხვევაში, შესაძლებელია მხოლოდ 2009-2011 წლების მონაცემების ანალიზი. ამდენად, წინამდებარე კვლევაში ვერც ეს კრიტერიუმი გამოვიყენეთ საშუალო კლასის იდენტიფიცირებისთვის, მაგრამ აქაც ვცადეთ ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანმრთელობის დაზღვევის დიქტომიური შეფასება, რომლის თანახმადაც: 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობამ გასწია ხარჯები ჯანდაცვის პრევენციაზე ან ჯანმრთელობის დაზღვევაზე, ანუ შინამეურნეობის ყველა წევრს ან ნაწილს მაინც ჰქონდა დაზღვევა (აქ არ შედის საყოველთაო დაზღვევა), ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას არ გაუწევია შესაბამისი ხარჯები. ჯანდაცვის მისაწვდომობის ასპექტი ქვემოთ ცალკეა განხილული, საიდანაც ჩანს, თუ რამდენად შედეგიანი იყო ჩვენი მცდელობა.
11. **დასვენება:** ამ კრიტერიუმის სრულყოფილი შეფასებისთვის, ისე, როგორც ჯანმრთელობის დაცვის შემთხვევაში, მხოლოდ 2009-2011 წლების მონაცემები არსებობს. ამიტომ ვერც მოცემული პარამეტრის გამოყენება მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ვისარგებლეთ შინამეურნეობების ხარჯების მონაცემებით, რომლის საფუძველზეც გავიანგარიშეთ დიქტომიური მაჩვენებელი: 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობამ გასწია ხარჯები დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობის დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე ხარჯები არ გაუწევია.
12. **კრედიტის მისაწვდომობა:** საშუალო კლასის ერთ-ერთი მახასიათებელია მისთვის კრედიტის მიღების შესაძლებლობა. ეს უფრო დეტალურად იმავე კითხვარ „მინდა 09“-ში შედიოდა, რომელიც 2012 წლის შემდეგ გაუქმდა. ჯანმრთელობის დაცვის მისაწვდომობის შემთხვევის მსგავსად, ამ პარამეტრის სიღრმისეული ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ 2009-2011 წლების მონაცემებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ კრიტერიუმის გამოყენება წინამდებარე კვლევაში ვერ შევძელით, ვცადეთ შინამეურნეობებისთვის კრედიტის მისაწვდომობის, როგორც ასეთის, დიქტომიური შეფასება, სადაც 1 ნიშნავს, რომ შინამეურნეობამ აიღო კრედიტი კერძო პირისგან ან საბანკო დაწესებულებიდან, ანუ ვუშვებთ, რომ ასეთი შინამეურნეობა კრედიტუნარიანია, ხოლო 0 ნიშნავს, რომ შინამეურნეობას კრედიტი არ აუღია.

### 3. პარამეტრების შეფასება

#### 3.1. დასაქმება

დასაქმება საშუალო კლასის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია. საშუალო კლასს შეიძლება განეკუთვნებოდნენ ძირითადად მაღალი კვალიფიკაციით დასაქმებული ადამიანები. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ, პარამეტრების შერჩევისას, აღენიშნეთ, ამ პარამეტრის შეფასება 2017 წლიდან ვერ ხერხდება, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით შესაძლებელია 2009-2016 წლებში მისი დინამიკის ანალიზი.

**დიაგრამა #11: შინამეურნეობების წილი, რომელთა ერთი წევრი მაინც მაღალი კვალიფიკაციით არის დასაქმებული**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

2016 წელს შინამეურნეობების 29 პროცენტში ერთი წევრი მაინც დასაქმებული იყო უმაღლესი ან საშუალო კვალიფიკაციით, ანუ დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის – ISCO-ს 1-ლი, მე-2 ან მე-3 ჯგუფების შესაბამისად.<sup>23</sup> 2009-2016 წლებში ასეთი ოჯახების წილი თითქმის ოთხი პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

**ცხრილი #1: შინამეურნეობების წილი, რომელთა ერთი წევრი მაინც მაღალი კვალიფიკაციით არის დასაქმებული, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
კახეთი	15.5	18.0	15.6	18.0	17.4	16.6	20.0	16.9
თბილისი	43.5	41.9	40.8	42.7	44.5	47.0	49.0	48.7
შიდა ქართლი	16.6	16.4	15.1	15.0	20.5	18.3	23.9	19.7
ქვემო ქართლი	17.1	18.7	17.5	22.7	23.0	21.2	19.4	21.2
სამცხე-ჯავახეთი	15.8	19.3	18.1	17.0	14.2	19.5	19.6	16.3
აჭარა	29.9	26.8	32.5	32.3	31.9	31.9	33.4	31.8
გურია	16.0	18.3	17.7	19.5	17.7	20.3	23.1	20.2
სამეგრელო	18.4	18.5	17.1	16.7	21.5	25.0	24.0	24.0
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	19.0	19.8	21.4	20.3	20.4	20.7	20.3	22.6
მცხეთა-მთიანეთი	17.9	19.5	19.6	21.9	21.4	24.7	23.5	20.1
ქვეყანაში, სულ	25.4	25.6	25.4	26.3	27.5	28.5	29.6	29.1

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

<sup>23</sup> ISCO-ს 1-ლ ჯგუფს განეკუთვნება ხელისუფლების ყველა დონის მართვის ორგანოების, აგრეთვე დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები; მე-2 ჯგუფში შედიან უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები, ხოლო მე-3-ში - ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.



აღნიშნული შინამეურნეობების ხვედრითი წონა ქალაქში თითქმის 2.5-ჯერ მაღალია სოფლად ანალოგიურ მაჩვენებელზე, თუმცა ეს განსხვავება 2016 წელს, 2009 წელთან შედარებით, უმნიშვნელოდ შემცირდა. ამასთან, დასაქმების ცენზის ზრდის ტემპი სოფლად ოდნავ აღემატება ქალაქის შესაბამის მაჩვენებელს.

რეგიონებიდან იმ ოჯახების ხვედრითი წონით, რომელთა ერთი წევრი მაინც მაღალი კვალიფიკაციით იყო დასაქმებული, გამოირჩევა თბილისი (თითქმის 50 პროცენტი); მეორე ადგილზეა აჭარა (თითქმის 32 პროცენტი). ასეთი შინამეურნეობების წილი ყველაზე ნაკლებია სამცხე-ჯავახეთსა (16.3 პროცენტი) და კახეთში (თითქმის 17 პროცენტი).


### 3.2. განათლება

ამ კრიტერიუმით, არსებული მონაცემებით, სრული დროითი მწკრივის შესადგენად შესაძლებელია მხოლოდ განათლების მიღწეული დონის მაჩვენებლის ანალიზი.

2017 წელს შინამეურნეობების 47 პროცენტის ერთ წევრს მაინც ჰქონდა უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლება. ამგვარი შინამეურნეობების ხვედრითი წონა ქალაქში ორჯერ უფრო მაღალია სოფლად იმავე მაჩვენებელზე.

საერთო ჯამში, იმ შინამეურნეობების ხვედრითი წონა, რომელთა ერთ წევრს მაინც აქვს უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლება, 2009-2017 წლებში სუსტად გამოხატული ზრდის ტენდენციას ავლენდა. აღსანიშნავია ამ მაჩვენებლის შემცირება ქალაქში და ზრდის ტენდენციის შეჩერება სოფლად 2017 წელს, 2009-2010 წლების ჩავარდნის მსგავსად, განათლების მიღწეული დონის კლასიფიკატორის ცვლილებასთან იყო დაკავშირებული.

**დიაგრამა #12: შინამეურნეობების წილი, რომელთა ერთ წევრს მაინც აქვს უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლება**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

იმ შინამეურნეობების წილი, რომელთა ერთ წევრს მაინც აქვს უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლება, გამორჩეულად მაღალია თბილისში (თითქმის 60 პროცენტი), რაც განსაზღვრავს კიდევ ასეთი შინამეურნეობების მაღალ ხვედრით წონას მთლიანად ქვეყანაში.

დანარჩენი რეგიონებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეგრელო და აჭარა, სადაც ამგვარი შინამეურნეობების ხვედრითი წონა 43 პროცენტს აჭარბებს. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია აგრეთვე ქვემო ქართლში და იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გამსხვილებულ რეგიონში. ყველაზე დაბალი იმ შინამეურნეობების წილი, რომელთა ერთ წევრს მაინც აქვს უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლება, კახეთსა და გურიაშია, დაახლოებით 32-32 პროცენტზე.

**ცხრილი #2: შინამეურნეობების წილი, რომელთა ერთ წევრს მაინც აქვს უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლება, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	33.1	27.0	29.4	29.7	32.4	32.0	29.6	32.9	31.9
თბილისი	68.3	56.2	67.3	68.2	72.4	70.5	72.7	74.3	67.4
შიდა ქართლი	32.6	27.8	28.4	30.0	33.9	32.1	35.9	38.3	34.7
ქვემო ქართლი	28.2	22.5	30.7	36.8	33.6	34.3	35.3	33.9	39.5
სამცხე-ჯავახეთი	24.2	20.3	23.6	23.5	19.7	27.6	30.1	31.3	36.3
აჭარა	43.7	33.1	48.3	46.8	47.0	45.6	51.2	47.6	43.9
გურია	31.2	24.9	32.2	33.6	29.9	33.3	34.0	31.1	32.4
სამეგრელო	33.8	24.7	30.4	32.7	34.4	41.5	43.2	44.6	43.2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	35.6	27.5	36.4	35.7	30.7	32.1	33.0	37.5	38.5
მცხეთა-მთიანეთი	32.4	23.4	29.3	31.1	21.9	32.2	29.8	33.9	36.8
ქვეყანაში, სულ	43.0	34.5	42.4	43.3	43.4	44.3	46.0	47.5	47.2

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

განათლებაზე მისაწვდომობის პარამეტრის შეფასება, როგორც აღნიშნეთ, არსებული მონაცემებით მხოლოდ 2009-2011 წლებისთვის შეიძლება.

სკოლამდელი განათლების საჭიროებას ამ პერიოდში მოსახლეობის დაახლოებით 7 პროცენტი განიცდიდა. აქედან თითქმის 80 პროცენტს ჰქონდა სკოლამდელი განათლების მისაწვდომობა. ამასთან, ბოლო სამი წლის განმავლობაში აღნიშნულ მაჩვენებელს ჰქონდა ზრდის ტენდენცია.

საბაზო განათლების მისაწვდომობის საჭიროება 2011 წელს მოსახლეობის 11 პროცენტს ჰქონდა. საყურადღებოა, რომ ეს მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. მათგან, იმავე 2011 წლის მდგომარეობით, 90 პროცენტს, ანუ მთელი მოსახლეობის 10 პროცენტს საბაზო განათლების კარგი მისაწვდომობა ჰქონდა.

საბაზოს შემდგომი საფეხურის განათლების მიღების საჭიროება 2009-2011 წლებში მოსახლეობის 13-14 პროცენტს წინაშე იდგა, საიდანაც 40 პროცენტს ამ საფეხურის განათლებაზე კარგი მისაწვდომობა ჰქონდა, ხოლო 60 პროცენტს - ცუდი.

კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების შესახებ 2011 წელს მოსახლეობის 8 პროცენტმა განაცხადა. აქედან მხოლოდ 14 პროცენტს ჰქონდა კარგი მისაწვდომობა. აბსოლუტურ უმეტესობას (86 პროცენტი) კვალიფიკაციის ამაღლებაზე ხელი არ მიუწვდებოდა ან ცუდი მისაწვდომობა ჰქონდა. კვალიფიკაციის ამაღლების მსურველთა რაოდენობა 2009-2011 წლებში იყო მზარდი.


საერთო ჯამში, საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისათვის განათლების კრიტერიუმად შინამეურნეობაში უმაღლესი ან შემდგომი საფეხურის განათლების მქონე სულ ცოტა ერთი წევრის არსებობა გამოვიყენეთ, რაც პირდაპირ არ უკავშირდება განათლების მისაწვდომობას, თუმცა მისი უშუალო შედეგია.

**3.3. შემოსავლები**

2017 წელს შინამეურნეობების თითქმის 73 პროცენტის შემოსავლები, ერთ სულზე გადაანგარიშებით, საშუალო კლასის კრიტერიუმების შერჩევის დროს განსაზღვრული შემოსავლების ზღვრებს შორის იყო. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში საშუალო კლასი 73 პროცენტია. როგორც უკვე ითქვა, შემოსავალი არის საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასების ერთ-ერთი და არა ერთადერთი კრიტერიუმი.


აღნიშნულ ზღვრებს შორის მყოფი შინამეურნეობების წილი 2017 წელს, 2009 წელთან შედარებით, უმნიშვნელოდ გაიზარდა, თუმცა ტენდენცია არ არის სტაბილური. უნდა აღინიშნოს, რომ ქვედა ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების ხვედრითი წილი 2017 წელს გაიზარდა, რაც საკმაოდ დამაფიქრებელი გარემოებაა.

**დიაგრამა #13: შინამეურნეობების განაწილება ერთ სულზე შემოსავლის ქვედა და ზედა ზღვრების მიხედვით**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ შემოსავლის დადგენილ ზღვრებს შორის მყოფი შინამეურნეობების წილი 2009-2014 წლებში ქალაქსა და სოფელში თითქმის იდენტური იყო, 2015-2017 წლებში კი გამოიკვეთა ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების ზრდის ტენდენცია. საერთო ჯამში, 2017 წელს 2009 წელთან შედარებით, ქალაქში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა, სოფლად კი - შემცირდა.

**დიაგრამა #14: ერთ სულზე საშუალო კლასის კრიტერიუმის შესაბამისი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ ერთ სულზე შემოსავლების საშუალო კლასის კრიტერიუმის შესაბამისი შინამეურნეობების, ანუ იმ შინამეურნეობების წილი, რომელთა შემოსავალიც ზედა და ქვედა ზღვრებს შორისაა,

რეგიონებში განსხვავდება, თუმცა ეს განსხვავება დრამატული არ არის. ტენდენციებიდან აღსანიშნავია 2009-2017 წლებში შესაბამისი შინამეურნეობების წილის მკვეთრი - 13 პროცენტული პუნქტით - ზრდა აჭარაში.

**ცხრილი #3: ერთ სულზე საშუალო კლასის კრიტერიუმის შესაბამისი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	68.9	65.1	63.4	64.9	67.9	68.5	65.0	68.4	63.8
თბილისი	72.1	72.2	71.7	73.8	77.5	79.1	82.5	79.3	78.6
შიდა ქართლი	69.5	68.5	75.2	70.4	74.5	73.2	73.1	72.3	68.5
ქვემო ქართლი	66.3	64.2	61.6	60.8	66.2	68.8	64.7	63.7	67.8
სამცხე-ჯავახეთი	74.1	75.8	80.4	75.2	77.5	79.6	72.2	76.1	74.2
აჭარა	55.9	58.5	59.3	56.9	73.0	68.9	70.5	67.9	68.6
გურია	74.4	72.8	65.8	66.1	70.1	69.6	73.2	73.0	69.4
სამეგრელო	76.6	75.2	72.4	73.4	77.1	77.5	80.7	79.5	71.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	77.3	77.8	80.3	74.3	81.8	80.3	80.1	77.6	75.4
მცხეთა-მთიანეთი	66.2	68.7	68.6	70.7	72.0	70.9	63.7	70.0	65.4
ქვეყანაში, სულ	71.2	70.8	71.0	69.9	75.3	75.4	75.6	74.5	72.7

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

ამ შინამეურნეობების ყველაზე მაღალი ხვედრითი წონა ტრადიციულად თბილისში აღინიშნება (დაახლოებით 80 პროცენტი), სადაც, 2009 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი არსებითად გაიზარდა. მეორე ადგილზე იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთის გამსხვილებული რეგიონია (75.4 პროცენტი), ხოლო მესამეზე - სამცხე-ჯავახეთი (74.2 პროცენტი). ყველაზე დაბალი მაჩვენებელია კახეთსა (დაახლოებით 64 პროცენტი) და მცხეთა-მთიანეთში (65.4 პროცენტი). თანაც კახეთში ერთ სულზე შემოსავლების საშუალო კლასის კრიტერიუმის შესაბამისი შინამეურნეობების წილი, 2009 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა.

**3.4. საცხოვრისი**


**3.4.1. საკუთრების ფორმა**

2017 წელს საქართველოს შინამეურნეობების 92 პროცენტი საკუთარ საცხოვრისში ცხოვრობდა. ეს მაჩვენებელი თითქმის უცვლელია 2009-2017 წლებში. ამასთან, მსგავსი შინამეურნეობების ხვედრითი წონა სოფლად უფრო მაღალია ქალაქთან შედარებით, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ნაქირავებ, ნაგირავებ ან სხვა ფორმით არასაკუთარ საცხოვრისში ცხოვრება უფრო მეტად ქალაქისთვისაა დამახასიათებელი.

გავრცელების მასშტაბიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საცხოვრისის საკუთრების პარამეტრი დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენს საშუალო კლასის აგრეგირებულ შეფასებაზე, თუმცა იგი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესში, რადგანაც საკუთარი საცხოვრისი საშუალო კლასისათვის შინამეურნეობის კუთვნილების ერთ-ერთი ბაზისური კრიტერიუმია.

რეგიონების მიხედვით, საკუთარ საცხოვრისში მცხოვრები შინამეურნეობების ხვედრითი წონა ყველაზე დაბალია თბილისში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დედაქალაქი საქართველოს ერთადერთი მეგაპოლისია, სადაც დამახასიათებელია ადამიანების არასაკუთარ საცხოვრისში განთავსება. სწორედ დედაქალაქის მაჩვენებელი ახდენს ზეგავლენას ზოგადად ქალაქის მაჩვენებელზე.

**დიაგრამა #15: საკუთარი საცხოვრისის მქონე შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

სხვა რეგიონებში საკუთარ საცხოვრისში მცხოვრები შინამეურნეობების ხვედრითი წილი 91 პროცენტზე ნაკლები არ არის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და გურიის რეგიონები, სადაც შინამეურნეობების 97 პროცენტზე მეტი საკუთარ სახლში ცხოვრობს.

**ცხრილი #4: საკუთარი საცხოვრისის შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	98.2	98.0	98.0	98.1	98.1	99.7	99.0	98.5	95.7
თბილისი	84.8	84.5	85.6	86.0	86.6	87.4	87.2	89.2	85.5
შიდა ქართლი	94.1	91.7	92.4	92.1	96.4	96.8	98.6	96.3	97.1
ქვემო ქართლი	90.0	87.0	86.2	89.1	89.7	91.5	91.0	94.4	91.5
სამცხე-ჯავახეთი	94.2	91.6	95.0	93.8	93.6	96.0	96.6	96.9	96.2
აჭარა	95.6	94.3	93.7	95.5	95.5	94.1	93.8	95.9	94.5
გურია	95.5	94.8	99.0	97.8	97.2	96.5	98.8	99.6	97.4
სამეგრელო	93.2	90.2	89.0	90.4	97.2	94.6	93.1	95.8	93.5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი -სვანეთი	94.5	95.2	97.4	96.9	97.6	97.4	95.4	96.0	95.0
მცხეთა-მთიანეთი	97.9	96.9	92.5	90.7	93.8	95.6	94.1	97.5	97.5
ქვეყანაში, სულ	91.8	90.8	91.5	92.0	93.4	93.7	93.1	94.4	92.0


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

### 3.4.2. საცხოვრებელი ფართობი

ერთ სულზე 12 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი 2017 წელს შინამეურნეობების 92 პროცენტს ჰქონდა, რაც ერთობ მაღალი მაჩვენებელია, რომელიც 2009 წელთან შედარებით საგრძნობლად არის გაზარდილი.

აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების ხვედრითი წონა, რომლებიც ამ პარამეტრს აკმაყოფილებენ სოფლად, როგორც წესი, მეტია, ვიდრე ქალაქში, რაც საკვებით ბუნებრივია, რადგან მრავალბინიან სახლებში ცხოვრება ქალაქისთვისაა დამახასიათებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ სულზე 12 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე შინამეურნეობების წილი ქალაქში მზარდია, სოფელში კი ეს მაჩვენებელი უცვლელია.

**დიაგრამა #16: ერთ სულზე 12 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ რეგიონებს შორის განსხვავებაში ძირითადად მათი ურბანიზაციის ხარისხითაა განპირობებული: შინამეურნეობების წილი, რომლის ერთ სულზე საცხოვრებელი ფართობი 12 კვადრატულ მეტრზე მეტია, ყველაზე დაბალი თბილისშია, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში კი ასეთი შინამეურნეობები 97 პროცენტს აჭარბებს.

**ცხრილი #5: ერთ სულზე 12 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	98.2	98.0	98.0	98.1	98.1	99.7	99.0	98.5	95.7
თბილისი	84.8	84.5	85.6	86.0	86.6	87.4	87.2	89.2	85.5
შიდა ქართლი	94.1	91.7	92.4	92.1	96.4	96.8	98.6	96.3	97.1
ქვემო ქართლი	90.0	87.0	86.2	89.1	89.7	91.5	91.0	94.4	91.5
სამცხე-ჯავახეთი	94.2	91.6	95.0	93.8	93.6	96.0	96.6	96.9	96.2
აჭარა	95.6	94.3	93.7	95.5	95.5	94.1	93.8	95.9	94.5
გურია	95.5	94.8	99.0	97.8	97.2	96.5	98.8	99.6	97.4
სამეგრელო	93.2	90.2	89.0	90.4	97.2	94.6	93.1	95.8	93.5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	94.5	95.2	97.4	96.9	97.6	97.4	95.4	96.0	95.0
მცხეთა-მთიანეთი	97.9	96.9	92.5	90.7	93.8	95.6	94.1	97.5	97.5
ქვეყანაში, სულ	91.8	90.8	91.5	92.0	93.4	93.7	93.1	94.4	92.0

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ


### 3.4.3. ოთახების რაოდენობა

საშუალო კლასისათვის კუთვნილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრად ერთ სულზე საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა განისაზღვრა. უფრო სწორი იქნებოდა პარამეტრად საძინებელი ოთახების რაოდენობის აღება, მაგრამ მონაცემთა ბაზაში, გაურკვეველი მიზეზებით, 2010-2011 წლებში ამ მონაცემების დროითი მწკრივის წყვეტაა. ამის გამო დროითი მწკრივი 2 წლით შემცირდებოდა, რაც არსებითად გააუარესებდა წინამდებარე კვლევის გამოყენებით ღირებულებას.

2017 წელს ერთ სულზე 0.5-ზე მეტი საცხოვრებელი ოთახი ჰქონდა შინამეურნეობების თითქმის 92 პროცენტს. ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლების განმავლობაში არსებითად არ შეცვლილა.

ერთ სულზე 0.5-ზე მეტი ოთახის მქონე შინამეურნეობების წილი სოფლად რამდენადმე აღემატება ქალაქში ასეთი შინამეურნეობების ხვედრით წონას, რაც იმითაა განპირობებული, რომ ქალაქში ძირითადად მრავალბინიან კორპუსებში მდებარე საცხოვრისია გავრცელებული. სოფლად ოჯახის საშუალო ზომა შედარებით დიდია, მაგრამ როგორც საცხოვრისის ოთახების რაოდენობა, ისე ფართობი რამდენადმე მეტია ქალაქისაზე.

**დიაგრამა #17: ერთ სულზე 0.5-ზე მეტი ოთახის მქონე შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

რეგიონების მიხედვით ერთ სულზე 0.5-ზე მეტი ოთახის მქონე შინამეურნეობების ხვედრითი წონის მაჩვენებელი თითქმის ერთნაირია. განსხვავება მხოლოდ რეგიონების ურბანიზაციის ხარისხზეა დამოკიდებული.

**ცხრილი #6: ერთ სულზე 0.5-ზე მეტი ოთახის მქონე შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	95.6	95.6	96.8	96.1	95.9	97.1	96.4	98.3	95.8
თბილისი	83.0	84.6	83.5	83.2	84.5	84.4	84.7	86.6	86.7
შიდა ქართლი	90.9	91.3	90.7	91.9	93.1	92.8	92.8	91.5	95.5
ქვემო ქართლი	89.7	89.3	86.7	90.5	87.8	91.6	91.6	91.1	89.6
სამცხე-ჯავახეთი	93.4	93.6	93.3	95.0	94.3	96.4	95.3	92.7	97.4
აჭარა	91.6	90.2	92.8	95.1	95.3	95.9	93.9	94.7	92.1
გურია	96.8	96.5	97.5	98.2	98.2	99.0	99.4	99.9	99.1
სამეგრელო	93.6	94.0	95.2	95.4	98.1	97.3	97.4	95.8	97.8
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	93.5	94.2	95.7	95.9	96.0	94.6	95.0	94.6	93.2
მცხეთა-მთიანეთი	91.3	88.2	90.3	89.3	89.9	92.9	93.2	92.7	94.6
ქვეყანაში, სულ	90.2	90.6	90.8	91.5	91.9	92.3	92.2	92.4	91.9


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

### 3.4.4. აბაზანით უზრუნველყოფა

საკუთარი აბაზანა ღირსეული ცხოვრების ერთ-ერთი ატრიბუტია, ხოლო საშუალო კლასი საზოგადოების იმ ფენას წარმოადგენს, რომელსაც ღირსეული ცხოვრების დონე უკვე მიღწეული აქვს. შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემებით, საქართველოს შინამეურნეობების 57 პროცენტს 2017 წელს ჰქონდა საკუთარი აბაზანა. ამ პარამეტრის მიხედვით, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება არსებითია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის სააბაზანოთი უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენციას 30

ავლენს: ბოლო 9 წლის მანძილზე იგი გაორმაგდა. სააბაზანოთი უზრუნველყოფილი ოჯახების ხვედრითი წონა ზრდადია ქალაქშიც, მაგრამ ზრდის ტემპი აქ გაცილებით დაბალია, რაც სრულიად ბუნებრივია. სოფლად ზრდის საბაზისო წერტილი, ქალაქთან შედარებით, გაცილებით დაბალ დონეზე იყო.

**დიაგრამა #18: საკუთარი აბაზანის მქონე შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ  
 სოფლად მცხოვრები ოჯახები მიზანმიმართულად აუმჯობესებენ საკუთარი ცხოვრების პირობებს. სააბაზანო საოჯახო ინფრასტრუქტურის ის ელემენტია, რომლის მოწყობაც არ აღემატება ერთი შინამეურნეობების შესაძლებლობებს და, ამდენად, მოსახლეობა ამ პრობლემას დამოუკიდებლად უმკლავდება.

**ცხრილი #7: საკუთარი აბაზანის მქონე შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	40.2	36.0	34.1	36.9	43.6	49.8	57.3	56.1	64.8
თბილისი	88.5	90.9	91.4	90.7	94.3	95.0	95.8	96.2	94.5
შიდა ქართლი	40.1	39.1	43.0	45.1	46.6	50.1	52.5	62.9	62.0
ქვემო ქართლი	44.1	41.7	47.6	53.0	59.5	64.4	64.7	64.8	79.9
სამცხე-ჯავახეთი	24.5	28.1	31.2	35.0	36.1	37.2	46.7	52.0	56.7
აჭარა	74.0	81.4	82.6	84.2	82.9	81.8	87.8	88.0	85.7
გურია	35.6	33.0	43.0	45.3	50.1	57.1	70.7	74.2	68.7
სამეგრელო	33.6	31.9	40.6	43.0	47.6	51.2	51.7	57.9	66.1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	43.4	44.7	46.6	47.2	50.6	54.1	61.9	63.1	69.5
მცხეთა-მთიანეთი	30.7	43.1	48.5	51.5	41.9	40.7	41.2	48.0	58.0
ქვეყანაში, სულ	55.1	56.2	58.8	60.2	63.5	66.1	70.3	72.4	77.4


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ  
 აბაზანით უზრუნველყოფის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით არსებითად განსხვავებულია, რაც მხოლოდ ურბანიზაციის ხარისხით არ არის განპირობებული. ყველაზე უფრო ნაკლებად საკუთარი სააბაზანო სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში მცხოვრებ შინამეურნეობებს აქვთ (შესაბამისად, 57, 58, 62 პროცენტი), ხოლო ყველაზე მეტად საოჯახო ინფრასტრუქტურის ეს ელემენტი თბილისშია გავრცელებული (94 პროცენტზე მეტი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბაზანის მქონე ოჯახების წილი მზარდია, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ეს ინფრასტრუქტურა ნაკლებად იყო გავრცელებული.



### 3.4.5. სამზარეულოთი უზრუნველყოფა

საშუალო კლასის შინამეურნეობის ერთ-ერთი აუცილებელი მახასიათებელია საკუთარი სამზარეულო, რომელსაც ქალაქში თითქმის 100-პროცენტაანი გავრცელება აქვს, ხოლო სოფელში - 90 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ, 2009 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაიზარდა როგორც ქალაქში, ისე სოფლად. ნიშანდობლივია, რომ სოფლად ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით სწრაფად 2013-2017 წლებში გაიზარდა, მაშინ, როდესაც ქალაქში იგი ამ პერიოდში პრაქტიკულად უცვლელი იყო.

**დიაგრამა #19: საკუთარი სამზარეულოს მქონე შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**ცხრილი #8: საკუთარი სამზარეულოს მქონე შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	72.3	70.6	71.3	67.3	67.9	74.8	80.0	79.6	88.1
თბილისი	93.4	95.1	94.9	94.8	96.6	96.7	97.3	97.0	96.7
შიდა ქართლი	69.7	66.3	66.0	66.2	78.4	81.7	83.0	87.0	86.1
ქვემო ქართლი	82.5	80.4	76.0	73.9	80.7	80.8	80.0	76.1	90.2
სამცხე-ჯავახეთი	69.0	64.0	76.4	81.8	86.7	91.7	92.3	85.9	88.5
აჭარა	96.8	97.4	97.4	95.0	99.0	97.8	99.1	98.2	98.0
გურია	98.4	98.1	98.6	97.6	97.0	98.7	99.8	99.3	99.8
სამეგრელო	95.5	97.2	98.0	98.9	99.0	99.0	100.0	99.3	99.9
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი--სვანეთი	83.9	84.4	86.4	89.0	89.9	96.6	98.0	96.5	97.1
მცხეთა-მთიანეთი	73.7	82.5	78.6	74.4	75.2	75.8	67.1	76.3	86.9
ქვეყანაში, სულ	85.9	86.0	86.5	86.4	89.2	91.6	92.6	91.9	94.5

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ


საკუთარი სამზარეულოს ქონის პარამეტრით რეგიონებს შორის სამეგრელო და გურია გამოირჩევა (თითქმის 100-100 პროცენტი). მათ აჭარა და იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთის გამსხვილებული რეგიონი მოსდევს. შედარებით დაბალია სამზარეულოს გავრცელება შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთში.

### 3.4.6. საცხოვრისის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება

როგორც კრიტერიუმების შერჩევის დროს აღვნიშნეთ, საცხოვრისის მდგომარეობა მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლითაც საშუალო კლასი უნდა გამოირჩეოდეს დანარჩენი მოსახლეობისგან. საშუალო კლასის შინამეურნეობის საცხოვრისი, ცხადია, არ შეიძლება იყოს ავარიულ მდგომარეობაში.

2017 წლის მონაცემებით, შინამეურნეობების ნახევარი საკუთარი საცხოვრისის მდგომარეობას აფასებდა, როგორც „დამაკმაყოფილებელს“ ან როგორც „უკეთესს“. ანუ შინამეურნეობების დაახლოებით 50 პროცენტის შეფასებით, მათი საცხოვრისი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს ან სასწრაფოდ გასარემონტებელია. ამ უკანასკნელთა საშუალო კლასისთვის მიკუთვნება არასწორი იქნებოდა.

#### დიაგრამა #20: შინამეურნეობების წილი, რომლებიც საკუთარი საცხოვრისის მდგომარეობას აფასებენ, როგორც „დამაკმაყოფილებელს“ ან „კარგს“



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

საკუთარი საცხოვრისის „დამაკმაყოფილებლად“ ან „უკეთესად“ შემფასებელ შინამეურნეობათა წილი ქალაქში, როგორც წესი, მეტია სოფლად ასეთი შინამეურნეობების წილზე.

საინტერესოა, რომ 2009-2016 წლებში საცხოვრისის მდგომარეობის დადებითად შემფასებელი შინამეურნეობების წილი ზრდის ტენდენციას ატარებდა, რაც 2017 წელს კლებით შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ სოფლად კლების ტენდენცია ერთი წლით ადრე დაიწყო. ეს შეიძლება უფრო განწყობების ცვლილების შედეგი იყოს, ვიდრე საცხოვრისების მდგომარეობის რეალურად გაუარესების შედეგი.

საკუთარი საცხოვრისის დადებითი შეფასებით 2017 წელს გამოირჩევა ქვემო ქართლის, აჭარისა და თბილისის შინამეურნეობები, რომლებიც საკუთარ საცხოვრისის შედარებით უფრო ხშირად აფასებენ, როგორც „დამაკმაყოფილებელს“ ან „კარგს“. საპირისპირო ნიშნით გამოირჩევა გურია, სადაც შინამეურნეობები ყველაზე იშვიათად აფასებენ საკუთარი საცხოვრისის მდგომარეობას, როგორც „დამაკმაყოფილებელს“ ან „კარგს“.

**ცხრილი #9: შინამეურნეობების წილი, რომლებიც საკუთარი საცხოვრისის მდგომარეობას აფასებენ, როგორც „დამაკმაყოფილებელს“ ან „არა“, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	34.9	36.6	35.2	37.4	34.9	39.6	46.1	44.6	43.5
თბილისი	55.4	52.6	49.6	54.5	56.6	56.2	56.8	62.9	54.8
შიდა ქართლი	32.9	34.4	28.9	22.8	30.9	41.3	41.3	41.2	44.8
ქვემო ქართლი	63.0	64.5	62.1	58.4	50.4	57.9	56.4	59.9	59.1
სამცხე-ჯავახეთი	55.5	56.0	45.8	53.5	59.6	58.0	61.0	48.0	48.2
აჭარა	55.0	53.3	54.2	55.7	54.5	57.4	59.6	68.0	59.9
გურია	39.9	43.9	44.8	42.1	44.1	37.8	40.2	46.2	38.5
სამეგრელო	32.7	33.0	38.3	37.4	40.8	43.9	43.3	43.6	49.6
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი	42.4	44.4	41.0	43.4	47.3	50.7	54.0	51.8	43.9
მცხეთა-მთიანეთი	26.5	30.0	37.3	35.5	40.0	44.2	53.1	44.0	45.7
ქვეყანაში, სულ	46.6	46.8	45.0	46.4	47.9	50.7	52.5	54.0	50.7


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.5. კომუნალური სისტემების წვდომა**

**3.5.1. ელექტროენერჯით მომარაგება**

ელექტროენერჯით მომარაგება საქართველოში შინამეურნეობათა 100-პროცენტია და ფარავს პარამეტრია, რომელიც შეიძლება არც უნდა იყოს საშუალო კლასის რაოდენობრივ შეფასების პარამეტრი, თუმცა ეს არ იქნებოდა გამართლებული. ის, რომ ელექტროენერჯით მომარაგება საქართველოს მთელ მოსახლეობას აქვს, ნიშნავს, რომ საშუალო კლასის ეს პარამეტრი 100 პროცენტითაა მიღწეული.

**დაიგრამა #21: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ ელექტროენერჯით მომარაგება**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ ანალოგიური მდგომარეობა რეგიონების მიხედვით.

**ცხრილი #10: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ ელექტროენერგიით მომარაგება, რეგიონების მიხედვით (%)**


	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	99.3	99.3	99.7	99.6	99.9	100.0	99.8	99.9	100.0
თბილისი	99.6	99.8	99.9	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
შიდა ქართლი	99.8	99.5	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
ქვემო ქართლი	99.3	99.7	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
სამცხე-ჯავახეთი	99.4	99.6	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
აჭარა	99.0	99.4	99.9	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
გურია	99.9	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
სამეგრელო	99.3	99.9	99.9	100.0	100.0	100.0	99.9	99.8	100.0
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	99.2	99.1	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
მცხეთა-მთიანეთი	99.4	99.5	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
ქვეყანაში, სულ	99.4	99.6	99.9	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.5.2. ცხელი წყლით მომარაგება**

ცხელი წყლით მომარაგება, ცენტრალური თუ ინდივიდუალური სისტემით, 2017 წელს შინამეურნეობების 55 პროცენტს ჰქონდა. ცხელი წყლით მომარაგების გავრცელება ქალაქში მცხოვრებ შინამეურნეობებში, სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებთან შედარებით, თითქმის 3.5-ჯერ უფრო ხშირია. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი მკვეთრად ჩამოყალიბებულ ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს, როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

**დიაგრამა #22: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ ცხელი წყლით მომარაგების ცენტრალური ან ინდივიდუალური სისტემა**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

ცხელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფით, ბუნებრივია, თბილისი გამოირჩევა (თითქმის 90 პროცენტი). სხვა რეგიონებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობაა აჭარაში. ხოლო ყველაზე უარესი მდგომარეობა - გურიასა და მცხეთა-მთიანეთში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა რეგიონში ერთმნიშვნელოვნად შეინიშნება ზრდის ტენდენცია.

**ცხრილი #11: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ ცხელი წყლით მომარაგების ცენტრალური ან ინდივიდუალური სისტემა, რეგიონების მიხედვით (%)**


	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	4.0	5.4	6.8	10.1	16.2	19.5	26.7	28.9	38.7
თბილისი	50.7	51.5	55.1	63.1	72.5	76.8	80.7	84.5	87.8
შიდა ქართლი	6.5	9.6	10.4	12.2	18.3	25.3	28.7	33.1	43.9
ქვემო ქართლი	9.7	13.8	15.8	22.7	24.0	27.8	30.8	31.9	46.3
სამცხე-ჯავახეთი	2.4	5.0	5.9	7.2	10.3	13.3	29.1	37.8	37.9
აჭარა	38.6	42.6	30.4	21.1	4.8	11.1	23.5	20.7	52.2
გურია	2.6	2.7	6.8	7.6	6.6	11.7	22.1	33.1	26.2
სამეგრელო	1.1	2.7	4.9	5.1	11.9	23.2	24.8	23.4	39.5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	5.3	4.9	6.1	6.4	9.5	11.8	15.9	17.5	36.7
მცხეთა-მთიანეთი	9.3	11.3	12.9	15.7	19.8	19.2	21.9	23.7	30.6
ქვეყანაში, სულ	20.0	21.7	22.7	25.2	29.1	33.6	39.0	41.5	55.1

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.5.3. ბუნებრივი და თხევადი აირით მომარაგება**

ბუნებრივი ან თხევადი აირით (გაზით) მომარაგება, 2017 წლის მდგომარეობით, თითქმის 100-პროცენტის ვაკრეციების მქონე პარამეტრია, რაც არ იყო 2009 წელს, როდესაც სოფლად ბუნებრივი თუ თხევადი გაზით მომარაგებით უზრუნველყოფის დონე 60 პროცენტზე დაბალი იყო და არსებითად ჩამორჩებოდა ქალაქის მაჩვენებელს. 2016-2017 წლებში ქალაქსა და სოფელს შორის მდგომარეობა თითქმის გათანაბრდა.

**დიაგრამა #23: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ ბუნებრივი ან თხევადი აირით მომარაგება**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

გაზით მომარაგების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისშია. სხვა რეგიონებიდან აღსანიშნავია კახეთი, შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. ბუნებრივი ან თხევადი აირით (გაზით) მომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესების ტემპი 2009-2017 წლებში ყველაზე მკვეთრი იყო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის გამსხვილებული რეგიონში. გაზით მომარაგების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონშია, სადაც იგი 90 პროცენტზე დაბალია.

**ცხრილი #12: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ ბუნებრივი ან თხევადი აირით მომარაგება, რეგიონების მიხედვით (%)**


	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	79.0	83.3	81.5	90.0	94.0	97.0	95.9	97.7	97.8
თბილისი	91.0	93.1	95.7	96.5	98.3	99.3	99.8	99.8	98.6
შიდა ქართლი	74.1	73.2	85.7	87.6	88.5	94.6	98.5	97.9	97.3
ქვემო ქართლი	81.5	84.7	77.3	83.6	89.5	95.1	97.5	96.1	95.4
სამცხე-ჯავახეთი	71.3	82.4	90.2	94.3	94.5	97.0	98.3	98.8	97.5
აჭარა	79.5	85.1	97.3	99.0	98.5	98.5	96.6	96.6	96.9
გურია	64.0	78.8	80.5	91.1	90.3	90.4	98.2	98.8	95.8
სამეგრელო	60.6	60.3	66.4	82.1	89.3	95.0	97.5	97.5	93.2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი	47.4	58.5	60.5	70.9	77.0	79.5	90.5	94.7	95.3
მცხეთა-მთიანეთი	50.5	54.4	62.8	73.7	68.9	72.5	81.1	88.6	85.3
ქვეყანაში, სულ	72.9	77.8	81.0	87.1	90.3	93.0	96.3	97.3	96.4

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.5.4. გათბობა**

საქართველოს შინამეურნეობების დაახლოებით ნახევარს 2017 წელს ჰქონდა გათბობის ცენტრალური ან ინდივიდუალური გათბობა. გათბობით უზრუნველყოფის დონე ქალაქში თითქმის ოთხჯერ მაღალია სოფელთან შედარებით. აღსანიშნავია ისიც, რომ 2011 წლის შემდეგ შეინიშნება ამ მაჩვენებლის სწრაფი ზრდა როგორც ქალაქში, ისე სოფლად. მთლიანობაში, 2009-2017 წლებში გათბობით უზრუნველყოფილი ოჯახების ხვედრითი წონა ქვეყანაში თითქმის გასამმაგდა.

**დიაგრამა #24: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ გათბობის ცენტრალური ან ინდივიდუალური სისტემა**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

გათბობის ცენტრალური ან ინდივიდუალური სისტემით უზრუნველყოფის მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა თბილისშია (84 პროცენტი). სხვა რეგიონების მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავდება. შედარებით მაღალია ეს მაჩვენებელი ქვემო ქართლში, აჭარასა და შიდა ქართლში (47-50 პროცენტი). ცუდი მდგომარეობაა გურიასა და სამეგრელოში, თუმცა ბოლო წლებში ამ რეგიონებშიც შეინიშნება სერიოზული გაუმჯობესება.

**ცხრილი #13: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ გათბობის ცენტრალური ან ინდივიდუალური სისტემა, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	4.5	3.3	0.9	0.9	3.0	3.7	15.4	19.8	26.9
თბილისი	42.2	44.8	46.1	52.4	57.2	64.9	72.5	79.0	83.9
შიდა ქართლი	5.6	6.4	2.8	3.0	6.9	13.0	17.6	27.0	46.6
ქვემო ქართლი	8.7	13.0	10.1	17.8	22.8	23.4	29.8	38.2	51.4
სამცხე-ჯავახეთი	2.0	5.3	1.7	3.8	5.3	11.3	19.3	26.0	28.6
აჭარა	58.6	49.9	7.7	1.6	9.9	15.9	27.9	36.0	49.4
გურია	5.9	3.4	1.1	2.2	2.0	7.5	9.3	12.2	18.7
სამეგრელო	2.0	7.0	0.2	0.0	0.4	1.1	8.7	9.3	19.1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	4.8	6.5	5.2	9.2	14.2	22.9	25.4	29.6	35.5
მცხეთა-მთიანეთი	7.4	5.0	3.2	3.8	6.3	6.7	19.0	25.2	26.0
ქვეყანაში, სულ	19.2	20.5	15.6	18.2	22.2	27.4	34.4	40.1	50.6


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.5.5. ინტერნეტის წვდომა**

წინამდებარე ანალიზში ინტერნეტის წვდომას, როგორც კრიტერიუმს, საანალიზო პერიოდში არასაკმარისი მონაცემების გამო, არ განვიხილავთ. შესაბამისი მონაცემები მხოლოდ 2011 წლიდან გვაქვს, რაც მოწმობს ინტერნეტის წვდომის მაჩვენებლის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას: 2011-2017 წლებში ქვეყანაში ინტერნეტის წვდომა 2.6-ჯერ გაიზარდა.

ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება არსებითია: ქალაქის შინამეურნეობებში ინტერნეტის წვდომა 2.7-ჯერ მეტია, ვიდრე სოფლად, მაგრამ გაუმჯობესების ტენდენცია ორივეგან აღინიშნა, განსაკუთრებით, სოფლად. 2011-2017 წლებში სოფლის შინამეურნეობებში ინტერნეტის წვდომა 11-ჯერ გაიზარდა.

**დიაგრამა #25: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ ინტერნეტი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

ინტერნეტის წვდომის გაუმჯობესების ტენდენცია შეუქცევადია ყველა რეგიონში, თუმცა მიღწეული დონეები არსებითად განსხვავდება. დედაქალაქში ის უკვე თითქმის 80 პროცენტს აღწევს. მეორე ადგილზეა აჭარა (თითქმის 54 პროცენტი), შემდეგ - ქვემოქართლი (52 პროცენტი), ხოლო ყველაზე მძიმე მდგომარეობა გურიაში (23.5 პროცენტი)

**ცხრილი #14: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ ინტერნეტი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	3.6	6.5	13.5	18.5	23.9	27.3	29.7
თბილისი	49.1	56.8	68.2	72.9	76.3	78.8	79.6
შიდა ქართლი	9.3	10.2	17.4	24.8	27.1	33.1	43.9
ქვემო ქართლი	10.8	21.5	27.2	35.2	40.2	42.3	52.4
სამცხე-ჯავახეთი	8.7	12.6	17.5	27.5	31.0	33.9	43.5
აჭარა	24.7	26.9	31.4	37.9	52.2	49.8	53.7
გურია	2.5	3.0	4.4	15.5	22.8	23.9	23.5
სამეგრელო	7.7	11.9	18.9	27.7	29.6	31.4	38.9
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	9.8	16.7	21.3	27.8	32.0	35.9	40.5
მცხეთა-მთიანეთი	8.2	11.8	10.1	19.4	25.0	22.0	33.1
ქვეყანაში, სულ	20.5	25.9	32.9	39.5	44.3	46.8	53.3


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.6. ხანგრძლივი მოხმარების ნივთების ფლობა**

**3.6.1. მაცივარი**

2017 წელს საქართველოს შინამეურნეობების 90 პროცენტზე მეტს ჰქონდა მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი მაცივარი მაინც. ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება 2017 წელს მინიმალური იყო, რასაც ვერ ვიტყვივით 2009-2010 წლებზე, როდესაც შინამეურნეობების მხოლოდ 54 პროცენტს ჰქონდა ერთი მაცივარი მაინც. ასეთი შინამეურნეობების წილი სოფლად მხოლოდ 38 პროცენტი იყო. მაცივრით უზრუნველყოფის ხარისხი ქვეყანაში 2009-2017 წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა.

**დიაგრამა #26: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი მაცივარი მაინც**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

2017 წელს რეგიონებს შორის განსხვავება არსებითი არ ყოფილა. განსაკუთრებით გამოირჩევა აჭარა, სადაც იმ შინამეურნეობების წილი, რომლებსაც მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი მაცივარი მაინც აქვთ, 95 პროცენტს აჭარბებს, რაც რამდენადმე აღემატებოდა დედაქალაქის ანალოგიურ მაჩვენებელს.



**ცხრილი #15: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი მაცივარი მაინც აქვთ, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	46.4	54.3	55.3	58.3	68.6	74.7	81.6	84.1	85.9
თბილისი	76.7	86.6	87.0	89.1	91.5	91.0	94.5	96.1	92.2
შიდა ქართლი	39.2	44.3	44.8	56.4	61.3	64.9	70.4	76.2	83.6
ქვემო ქართლი	54.6	65.9	62.7	72.9	81.5	83.9	85.4	89.2	91.9
სამცხე-ჯავახეთი	41.8	50.7	59.1	67.8	78.6	79.4	87.2	82.1	86.3
აჭარა	59.4	71.9	79.5	84.5	91.5	93.2	96.5	96.0	95.4
გურია	35.6	38.1	43.0	57.6	56.5	74.3	87.6	90.6	88.4
სამეგრელო	33.0	38.2	44.8	57.6	61.0	75.0	83.3	86.5	89.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	45.2	53.1	58.9	66.6	74.5	79.4	85.5	88.9	88.9
მცხეთა-მთიანეთი	40.8	54.1	49.4	55.7	59.1	68.5	62.5	74.4	82.6
ქვეყანაში, სულ	53.6	62.4	65.0	71.7	77.4	81.6	86.7	89.2	89.9


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

მაცივრის ქონის მხრივ 2009-2017 წლებში მდგომარეობა ყველა რეგიონში გაუმჯობესდა. გაუმჯობესების ძალიან მაღალი ტემპი აღინიშნა გურიასა და სამეგრელოში. 2009-2010 წლებში ამ რეგიონებში მდგომარეობა, ყველა სხვა რეგიონთან შედარებით, მძიმე იყო.

**3.6.2. სარეცხი მანქანა**

2017 წელს მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი სარეცხი მანქანა მაინც ჰქონდა საქართველოს შინამეურნეობების 67 პროცენტს. ხანგრძლივი მოხმარების ამ ნივთის გავრცელების მაჩვენებელი 2009-2017 წლებში ზრდის მკვეთრად გამოხატულ ტენდენციას აჩვენებდა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი მკვეთრად ზრდადია ქალაქშიც და სოფელშიც, თან სოფლად ზრდის ტემპი რამდენადმე მაღალია ქალაქთან შედარებით.

**დიაგრამა #27: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი სარეცხი მანქანა მაინც**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

რეგიონებს შორის განსხვავება არსებითია, თუმცა ზრდის ტემპი ყველაგან ცალსახაა. ამდენად, დიდი ალბათობით, სარეცხი მანქანაც მალე ასპროცენტაინი გავრცელების ხანგრძლივი მოხმარების ნივთი გახდება.

**ცხრილი #16: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი სარეცხი მანქანა მაინც, რეგიონების მიხედვით (%)**


	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	20.7	26.6	31.7	37.1	45.7	54.8	62.2	70.6	72.6
თბილისი	52.3	63.1	65.6	70.9	80.7	79.7	82.7	86.5	85.1
შიდა ქართლი	20.1	30.0	34.1	37.9	45.6	50.3	58.7	66.8	69.0
ქვემო ქართლი	24.5	29.6	31.6	45.0	58.0	63.1	67.7	71.5	79.6
სამცხე-ჯავახეთი	21.3	27.9	40.0	50.5	54.8	61.2	75.5	73.6	80.1
აჭარა	31.5	39.1	48.2	54.7	63.8	72.8	84.0	80.5	89.6
გურია	17.5	19.3	26.6	38.2	39.3	51.1	63.7	71.7	70.2
სამეგრელო	18.3	21.6	28.0	31.8	34.6	49.5	62.9	65.5	65.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	24.8	30.7	33.4	38.8	44.7	51.8	58.1	65.5	71.4
მცხეთა-მთიანეთი	19.0	31.0	29.8	35.6	37.2	41.6	43.6	53.6	61.7
ქვეყანაში, სულ	30.8	38.3	42.4	48.7	56.3	62.0	69.2	73.8	77.3

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.6.3. ტელევიზორი**

ტელევიზორი ყველაზე ფართო გავრცელების ხანგრძლივი მოხმარების საგანია, რომელიც პრაქტიკულად ყველა შინამეურნეობას აქვს, ერთი მაინც. ქალაქსა და სოფელს შორის ამ ნივთის ქონის თვალსაზრისით განსხვავება ნულია.

**დიაგრამა #28: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი ტელევიზორი მაინც**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ  
ანალოგიურია განსხვავება რეგიონული ნიშნითაც.

**ცხრილი #17: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი ტელევიზორის მაინც, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	82.3	91.9	91.1	91.2	94.9	97.3	97.0	96.6	97.4
თბილისი	88.5	97.1	96.7	97.4	98.4	97.8	97.7	98.1	96.5
შიდა ქართლი	83.9	91.8	90.5	91.9	95.4	97.5	96.6	98.1	97.7
ქვემო ქართლი	81.5	90.8	94.0	93.7	95.2	97.2	96.7	97.8	97.2
სამცხე-ჯავახეთი	89.5	95.6	96.4	98.3	98.8	99.4	98.9	97.4	99.3
აჭარა	88.0	96.0	98.3	99.2	99.6	100.0	99.8	99.1	98.9
გურია	81.5	93.4	94.6	95.7	95.8	98.8	99.2	98.5	98.0
სამეგრელო	84.7	94.2	92.8	96.1	96.7	98.3	98.3	97.9	97.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	82.6	90.7	92.2	95.5	96.1	97.0	97.6	98.0	97.9
მცხეთა-მთიანეთი	76.6	89.3	86.5	93.5	95.9	92.8	95.0	98.9	98.2
ქვეყანაში, სულ	84.9	93.7	94.0	95.6	96.9	97.7	97.7	98.0	97.5


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.6.4. მსუბუქი ავტომობილი**

მუშა მდგომარეობაში მყოფ ერთ მსუბუქ ავტომობილს მაინც 2017 წელს საქართველოს შინამეურნეობების დაახლოებით 36 პროცენტი ფლობდა, რაც ორჯერ აღემატება 2009 წლის მაჩვენებელს.

მსუბუქი ავტომობილის მფლობელი შინამეურნეობების წილი სოფლად, როგორც წესი, დაბალია ქალაქთან შედარებით. 2009-2017 წლებში ასეთი ოჯახების ხვედრითი წონა ქალაქში 74 პროცენტით გაიზარდა, სოფლად კი - ორჯერ და უფრო მეტად.

**დიაგრამა #29: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი მსუბუქი ავტომობილი მაინც**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

ავტომობილის მფლობელი შინამეურნეობების წილი ყველაზე მაღალი არის კახეთის რეგიონში. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ კახეთში თბილისზე მეტი ავტომობილია, რადგან ეს მაჩვენებელი ასახავს, სულ ცოტა, ერთი ავტომობილის მფლობელი შინამეურნეობების ხვედრით წონას და არა შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული ავტომობილების რაოდენობას, რომლის მიხედვითაც, დედაქალაქი უდავოდ ლიდერობს. აღსანიშნავია, რომ 2009-2017 წლებში ამგვარი შინამეურნეობების წილის ზრდის ტემპში ყველა რეგიონში მიწინააღმდეგარა, მაშინ, როცა თბილისში მხოლოდ 74 პროცენტი შეადგინა.

**ცხრილი #18: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი მსუბუქი ავტომობილი მაინც, რეგიონების მიხედვით (%)**


	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	22.9	23.1	23.8	26.6	32.0	37.2	37.5	39.9	40.0
თბილისი	23.9	30.1	27.1	31.3	32.0	35.2	42.8	39.9	38.2
შიდა ქართლი	13.6	15.0	12.7	20.2	19.4	18.9	25.2	26.9	27.9
ქვემო ქართლი	18.4	21.1	24.6	24.1	25.4	27.3	29.3	34.7	36.9
სამცხე-ჯავახეთი	18.6	20.4	27.0	29.7	25.1	28.5	35.5	30.8	38.9
აჭარა	16.9	19.8	24.9	32.0	31.9	28.8	33.4	34.4	36.1
გურია	14.6	13.6	16.6	17.8	21.0	24.8	34.1	36.0	28.7
სამეგრელო	16.3	16.8	18.0	20.8	24.9	29.4	32.2	33.2	35.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	15.6	17.9	19.7	21.6	23.6	26.8	26.6	29.2	32.6
მცხეთა-მთიანეთი	13.2	19.3	23.5	19.7	15.8	18.4	18.5	21.2	29.0
ქვეყანაში, სულ	18.9	21.9	22.6	25.7	27.1	29.7	33.7	34.4	35.6

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.6.5. კომპიუტერი**

2017 წელს საქართველოს შინამეურნეობების თითქმის 58 პროცენტს ჰქონდა მუშა მდგომარეობაში მყოფი ერთი კომპიუტერი მაინც. 2009 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა. ქალაქში ყოველი ოთხი შინამეურნეობიდან სამს ერთი კომპიუტერი მაინც აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2009 წელს სოფლად შინამეურნეობების მხოლოდ 2 პროცენტს ჰქონდა კომპიუტერი, 2017 წელს კი ეს მაჩვენებელი თითქმის 17-ჯერ გაიზარდა და 33 პროცენტი შეადგინა, თუმცა ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან დიდია.

**დიაგრამა #30: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც ერთი კომპიუტერი მაინც აქვთ მუშა მდგომარეობაში**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

შინამეურნეობებში კომპიუტერის ფლობის თვალსაზრისით რეგიონებს შორის არსებითი განსხვავებაა: კომპიუტერი ყველაზე ხშირად დედაქალაქის შინამეურნეობებში აქვთ (81 პროცენტი), მეორე ადგილზეა აჭარის რეგიონი (დაახლოებით 63 პროცენტი), ხოლო მესამეზე - ქვემო ქართლი (თითქმის 57 პროცენტი). აუტსაიდერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გურია (29 პროცენტი).

**ცხრილი #19: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც ერთი კომპიუტერი მაინც აქვთ მუშა მდგომარეობაში, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	3.7	6.3	9.0	13.4	20.8	25.3	29.6	34.9	35.8
თბილისი	32.3	44.0	55.9	63.7	72.3	76.2	78.4	80.6	81.3
შიდა ქართლი	3.5	7.6	12.3	18.2	24.9	36.5	41.0	43.1	47.3
ქვემო ქართლი	6.9	12.5	16.6	29.0	33.9	39.8	43.0	44.6	56.7
სამცხე-ჯავახეთი	2.6	4.7	16.3	21.8	26.3	35.5	40.6	45.3	52.2
აჭარა	11.2	16.1	28.7	34.4	41.7	48.4	58.4	56.0	62.5
გურია	1.8	1.4	6.2	9.5	14.0	25.2	33.0	32.7	28.8
სამეგრელო	4.5	4.2	10.5	15.5	24.4	36.4	42.4	42.0	45.0
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	5.4	7.8	13.6	22.4	27.9	32.6	34.1	39.8	44.7
მცხეთა-მთიანეთი	6.8	8.9	14.2	21.7	25.1	30.0	29.1	29.3	39.6
ქვეყანაში, სულ	12.6	18.0	25.6	32.7	39.6	45.8	49.7	52.2	57.7


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

2009-2017 წლებში შინამეურნეობების ხვედრითი წონა, რომლებსაც ერთი კომპიუტერი მაინც აქვს მუშა მდგომარეობაში, ყველა რეგიონში, თბილისის გარდა, მკვეთრად გაიზარდა.

**3.6.6. მობილური ტელეფონი**

წინამდებარე კვლევაში მობილური ტელეფონის ქონას, როგორც საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასების ფაქტორს, არ განვიხილავთ არასაკმარისი მონაცემების გამო. შესაბამისი მონაცემები მხოლოდ 2011 წლიდან გვაქვს, რომელიც აჩვენებს მობილური ტელეფონის თითქმის ასპროცენტულ გაზრდას ქვეყანაში.

**დაიგრამა #31: შინამეურნეობების წილი, რომლებსაც ერთი მობილური ტელეფონი მაინც აქვთ მუშა მდგომარეობაში**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება 2017 წელს არსებითი აღარაა. 2011 წლიდან გაუმჯობესების ტენდენცია ორივეგან ცალსახაა.

მობილური ტელეფონის გავრცელება ყველა რეგიონში ერთნაირად მაღალია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარა, სადაც ეს მაჩვენებელი თბილისზე უფრო მაღალია.

**ცხრილი #20 შინამეურნეობების წილი, რომლებსაც ერთი მობილური ტელეფონი მაინც აქვთ მუშა მდგომარეობაში, რეგიონების მიხედვით (%)**


	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	68.2	75.8	79.6	82.3	87.9	90.1	92.7
თბილისი	83.4	91.3	95.3	94.9	96.4	98.0	97.6
შიდა ქართლი	69.4	80.4	87.3	87.8	89.7	91.2	92.6
ქვემო ქართლი	66.5	69.9	79.3	85.2	92.4	93.8	95.6
სამცხე-ჯავახეთი	79.1	80.2	78.9	88.6	92.3	91.2	93.9
აჭარა	88.0	90.7	93.8	97.4	98.2	98.7	98.5
გურია	65.9	79.2	89.5	90.0	93.9	96.3	94.4
სამეგრელო	67.3	81.1	85.0	89.8	93.4	93.4	96.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	69.5	79.2	83.1	85.3	88.1	90.4	93.5
მცხეთა-მთიანეთი	69.0	71.7	79.6	84.3	84.9	88.5	92.8
ქვეყანაში, სულ	74.4	82.2	86.9	89.4	92.5	93.9	95.5

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**3.7. მოხმარება**

2017 წელს შინამეურნეობების 65 პროცენტის მოხმარება (სამომხმარებლო ხარჯები), ერთ სულზე გადაანგარიშებით, საშუალო კლასის კრიტერიუმების შერჩევის დროს განსაზღვრულ ზღვრებს შორის იყო. ჩვენი აზრით, შინამეურნეობების მოხმარება, ისე, როგორც მათი შემოსავალი საშუალო კლასის ერთ-ერთი და არა ერთადერთი კრიტერიუმია. ამ ზღვრებს შორის მოქცეული შინამეურნეობების წილი ზრდადია ქვედა ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების წილის შემცირების ფონზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შინამეურნეობების წილი 2017 წელს გაიზარდა, რაც საკმაოდ დამაფიქრებელი გარემოებაა.


**დიაგრამა #32: შინამეურნეობების განაწილება ერთ სულზე მოხმარების ქვედა და ზედა ზღვრების მიხედვით**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

საშუალო კლასის კრიტერიუმების შერჩევის დროს განსაზღვრულ ზღვარებს შორის მყოფი შინამეურნეობების წილი სოფლად, როგორც წესი, ნაკლებია ქალაქთან შედარებით. 2017 წელს შემცირება ორივეგან დაფიქსირდა, მაგრამ კლების ტემპი სოფლად უფრო მაღალი იყო.

**დიაგრამა #33: ერთ სულზე საშუალო კლასის კრიტერიუმის შესაბამისი მოხმარების მქონე შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

რეგიონებს შორის განსხვავება საკმაოდ არსებითია. თბილისის შემდეგ ამ მხრივ სამცხე-ჯავახეთი გამოირჩევა (72 პროცენტი). მესამე ადგილს სამეგრელო და იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის გამსხვილებული რეგიონი ინაწილებენ (დაახლოებით 65-65 პროცენტი). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მცხეთა-მთიანეთში გამოვლინდა (49 პროცენტი).

**ცხრილი #21: ერთ სულზე საშუალო კლასის კრიტერიუმის შესაბამისი მოხმარების მქონე შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	47.1	46.1	53.7	55.9	62.0	67.2	63.5	66.3	59.3
თბილისი	64.4	62.7	64.8	67.8	73.2	73.7	76.5	75.2	73.2
შიდა ქართლი	51.7	52.3	54.9	50.8	55.8	55.8	59.1	56.7	61.9
ქვემო ქართლი	50.5	50.0	44.9	45.2	58.7	56.8	56.9	56.8	58.0
სამცხე-ჯავახეთი	53.2	62.3	71.1	72.4	77.8	83.2	78.6	82.6	72.2
აჭარა	53.8	53.0	55.9	55.5	67.2	63.7	66.8	59.4	59.3
გურია	59.0	57.0	57.0	59.1	63.0	60.7	71.0	66.7	60.7
სამეგრელო	63.9	57.2	58.1	60.9	65.4	68.7	70.6	72.0	64.5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	67.2	58.7	63.2	62.1	67.6	69.7	68.2	71.1	64.4
მცხეთა-მთიანეთი	49.7	50.7	49.7	53.6	55.6	47.0	52.7	54.2	48.7
ქვეყანაში, სულ	59.1	56.6	59.1	60.1	66.6	67.4	68.5	68.4	65.2

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

2009-2017 წლებში აღნიშნული პარამეტრის შესაბამისი შინამეურნეობების წილი მთლიანად ქვეყანაში 6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მაჩვენებლის 19 პროცენტული პუნქტით ზრდა სამცხე-ჯავახეთში, 12 პროცენტული პუნქტით - კახეთში და 10 პროცენტული პუნქტით - შიდა ქართლში.


**3.8. სუბიექტური შეფასება**

**3.8.1. შემოსავლების სუბიექტური შეფასება**

შემოსავლების მიხედვით საკუთარ მდგომარეობას, როგორც „კარგს“, „საშუალოს“ ან „დამაკმაყოფილებელს“ 2017 წელს შინამეურნეობების თითქმის 58 პროცენტი აფასებდა. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებელს 2009-2016 წლებში ზრდის ტენდენცია ჰქონდა, 2017 წელს

კი მკვეთრად შემცირდა. კლება ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობების თვითშეფასების გაუარესების ხარჯზე მოხდა.

**დიაგრამა #34: შინამეურნეობების წილი, რომლებიც შემოსავლების მიხედვით საკუთარ მდგომარეობას აფასებენ, როგორც „კარგს“, „საშუალოს“ ან „დამაკმაყოფილებელს“**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ რეგიონებიდან ყველაზე უფრო ცუდად საკუთარ შემოსავალს კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, ხოლო ყველაზე უკეთ აჭარაში მცხოვრები შინამეურნეობები აფასებდნენ. 2017 წელს, 2009 წელთან შედარებით, ყველა რეგიონში გაუმჯობესდა შემოსავლების თვითშეფასება, თუმცა საყურადღებოა, რომ 10-დან 4 რეგიონში, მათ შორის დედაქალაქშიც, 2017 წელს ეს მაჩვენებელი გაუარესდა.

**ცხრილი #22: შინამეურნეობების წილი, რომლებიც შემოსავლების მიხედვით საკუთარ მდგომარეობას აფასებენ, როგორც „კარგს“, „საშუალოს“ ან „დამაკმაყოფილებელს“, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	38.9	36.6	39.0	43.1	44.6	50.5	48.3	52.6	48.5
თბილისი	52.5	56.0	56.7	54.2	59.2	59.4	62.0	62.3	56.0
შიდა ქართლი	37.7	42.5	39.8	41.5	41.1	38.9	36.3	43.0	51.2
ქვემო ქართლი	54.1	51.3	45.1	48.1	50.5	51.7	50.1	50.9	57.8
სამცხე-ჯავახეთი	52.5	53.1	58.0	64.9	61.1	65.9	69.0	64.4	65.6
აჭარა	47.3	47.7	55.1	60.7	72.3	69.3	72.5	69.7	71.9
გურია	40.5	41.5	47.7	52.9	54.0	48.6	58.8	65.3	59.0
სამეგრელო	41.9	38.9	42.2	45.3	52.4	58.6	60.3	64.1	59.0
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	47.6	48.6	49.8	54.4	55.4	57.6	59.2	60.6	59.2
მცხეთა-მთიანეთი	32.6	30.3	33.3	31.7	29.9	36.5	36.0	35.4	48.1
ქვეყანაში, სულ	47.0	47.8	49.0	51.2	54.5	56.0	57.4	58.8	57.5

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ


### 3.8.2. ქონებრივი მდგომარეობის სუბიექტური შეფასება

ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით საკუთარ თავს, როგორც „მდიდარს“, „შემძლებულს“ ან „საშუალო შემძლებლს“, 2017 წელს საქართველოს შინამეურნეობების თითქმის ნახევარი აფასებდა. ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლებში ზრდის ტენდენციას ავლენდა.



საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის დადებითად შეფასების მხრივ ქალაქისა და სოფლის მაჩვენებლები 2017 წელს დიდად არ განსხვავდებოდა, თუმცა 2009 წელს ეს განსხვავება არსებითი იყო და 10 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა.

**დიაგრამა #35: შინამეურნეობების წილი, რომლებიც ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით საკუთარ თავს აფასებენ, როგორც „მიდიარს“, „შემძლებულს“ ან „საშუალო შემძლებლისას“**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

რეგიონებიდან ყველაზე უფრო ცუდად საკუთარ ქონებრივ მდგომარეობას აქაც კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, ხოლო ყველაზე უკეთ აჭარაში მცხოვრები შინამეურნეობები აფასებდნენ. უკანასკნელზე მნიშვნელოვნა დ ნაკლებია დედაქალაქის ანალოგიური მაჩვენებელი.

2017 წელს, 2009 წელთან შედარებით, საკუთარი მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონში გაუმჯობესდა.

**ცხრილი #23: შინამეურნეობების წილი, რომლებიც ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით საკუთარ თავს აფასებენ, როგორც „მიდიარს“, „შემძლებულს“ ან „საშუალო შემძლებლისას“, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	28.9	28.5	28.9	31.2	32.5	38.5	35.9	39.3	41.0
თბილისი	46.4	47.3	43.3	42.4	48.1	48.5	53.0	51.5	48.4
შიდა ქართლი	30.9	36.7	28.9	30.6	30.1	31.5	28.1	31.8	45.9
ქვემო ქართლი	45.4	46.8	41.8	43.2	47.1	48.4	49.6	52.0	55.2
სამცხე-ჯავახეთი	45.0	46.8	44.7	53.1	44.3	47.9	53.8	48.7	60.4
აჭარა	48.1	46.7	51.2	58.8	66.6	63.4	66.2	63.9	66.8
გურია	37.8	43.7	50.6	55.4	56.9	51.5	64.4	66.3	59.4
სამეგრელო	36.8	27.5	29.4	32.0	34.6	40.6	41.6	43.3	44.4
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	35.7	41.3	41.8	41.7	41.1	44.9	45.8	41.6	48.0
მცხეთა-მთიანეთი	24.3	25.3	25.9	26.0	26.8	35.7	28.0	30.1	39.6
ქვეყანაში, სულ	39.8	40.9	39.5	41.2	43.6	45.8	47.6	47.1	49.9

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

### 3.9. მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა შეფასებაც ვერ მოხერხდა

#### 3.9.1. ჯანმრთელობის დაცვა


საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისათვის, განათლების მისაწვდომობასთან ერთად, ერთობ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვის მისაწვდომობა, მაგრამ ასეთი პარამეტრის გენერირება აქაც მხოლოდ 2009-2011 წლებისთვისაა შესაძლებელი. სრული დროითი მწკრივის ასაგებად მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული დანახარჯების ანალიზი ხერხდება.

კვლევის მიზნით ავიღეთ შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვის პრევენციასა და დაზღვევაზე გაწეული დანახარჯები. 2017 წელს შინამეურნეობების მხოლოდ 13 პროცენტს ჰქონდა გაწეული რაღაც დანახარჯი პროფილაქტიკური გამოკვლევის ჩატარებაზე ან დაზღვევაზე. ასეთი შინამეურნეობების წილი ქალაქში იყო 15 პროცენტი, ხოლო სოფლად - 11 პროცენტი.

2009 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი ქვეყანაში 2.5-ჯერ გაიზარდა. საყურადღებოა, რომ სოფლად მისი ზრდის ტემპი რამდენადმე უფრო მაღალი იყო ქალაქთან შედარებით.

2009-2011 წლების მეტ-ნაკლებად წრფივი ტენდენცია 2012 წლიდან მკვეთრი ზრდით შეიცვალა, რაც 2014 წლამდე გაგრძელდა. 2014-2015 წლებში აღნიშნული ხარჯები საკმაოდ არსებითად შემცირდა, რაც 2016-2017 წლებში ისევ ზრდით შეიცვალა.

**დიაგრამა #36: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც გასწიეს ხარჯი ჯანდაცვის პროფილაქტიკურ გამოკვლევაზე ან ჯანმრთელობის დაზღვევაზე**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

რეგიონებს შორის განსხვავება შეიძლება ითქვას, რომ დრამატულია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სამცხე-ჯავახეთი, სადაც შინამეურნეობების 50 პროცენტს რაღაც დანახარჯი ჰქონდა გაწეული პროფილაქტიკურ გამოკვლევაზე ან დაზღვევაზე. საინტერესო ისაა, რომ ამ მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში დაინტერესდა საკუთარი ჯანმრთელობით. მსგავსი ნახტომისებური ცვლილება მოხდა აჭარაშიც 2010-2012 წლებში და შიდა ქართლში 2011-2015 წლებში. ამგვარი დინამიკა დამატებით შესწავლას საჭიროებს.

**ცხრილი #24: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც გასწიეს ხარჯი ჯანდაცვის პროფილაქტიკურ გამოკვლევაზე ან ჯანმრთელობის დაზღვევაზე, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	4.3	6.1	14.3	18.4	17.9	14.5	15.4	12.6	13.8
თბილისი	6.5	4.4	4.0	11.2	12.4	13.2	12.2	13.3	16.3
შიდა ქართლი	2.8	9.3	17.1	19.2	22.2	23.8	20.4	16.8	12.1
ქვემო ქართლი	4.1	1.8	1.4	1.6	1.8	1.8	0.9	1.3	6.5
სამცხე-ჯავახეთი	3.1	3.6	9.2	6.9	6.0	1.1	4.5	31.3	50.2
აჭარა	6.7	14.9	12.9	17.5	12.8	10.0	5.3	9.9	9.5
გურია	2.6	2.6	4.4	6.8	8.7	8.7	9.2	11.8	6.6
სამეგრელო	5.8	3.8	3.6	4.4	7.3	7.6	6.1	6.0	5.4
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	5.4	3.5	4.3	5.6	4.4	5.4	2.3	3.9	8.2
მცხეთა-მთიანეთი	4.3	9.4	12.4	14.2	11.3	9.9	10.8	10.5	17.6
ქვეყანაში, სულ	5.2	5.3	6.9	10.0	10.2	9.9	8.5	10.3	13.1

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მისაწვდომობა შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევის ფარგლებში შეიძლება მხოლოდ ზოგადი სახით იყოს წარმოდგენილი. არსებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა ფორმაზე მისაწვდომობის დიქტომიური ინდიკატორების გენერირება.

ქრონიკული დაავადების მკურნალობის საჭიროება 2011 წელს მთელი მოსახლეობის 14 პროცენტს ჰქონდა, აქედან 71 პროცენტის მისაწვდომობა მკურნალობაზე იყო კარგი. აღსანიშნავია, რომ 2009-2011 წლებში ეს მაჩვენებლები იყო ზრდადი.

სასწრაფო დახმარების საჭიროების შესახებ მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტმა განაცხადა, აქედან ნახევრისათვის ამ სახის სამედიცინო დახმარების მისაწვდომობა იყო კარგი.

ქირურგიული ჩარევის საჭიროება 2009-2011 წლებში მოსახლეობის დაახლოებით 1 პროცენტს ჰქონდა. ასეთი მცირე სიხშირის შემდგომი დეზაგრეგაცია ნაკლებად საიმედოა, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ ამგვარი საჭიროების მქონე მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტს მასზე კარგი მისაწვდომობა ჰქონდა.

მიმდინარე მკურნალობის საჭიროების შესახებ მოსახლეობის 9-10 პროცენტმა განაცხადა. აქედან 62 პროცენტს ასეთ მკურნალობაზე კარგი მისაწვდომობა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ როგორც საჭიროების, ისე კარგი მისაწვდომობის დინამიკა განხილული 3 წლის მანძილზე მზარდია.

პროფილაქტიკური გამოკვლევის მისაწვდომობის მაჩვენებლის მიხედვით, ასეთი სამედიცინო მომსახურების საჭიროება მოსახლეობის 57-59 პროცენტს ჰქონდა, საიდანაც მხოლოდ 10-15 პროცენტისთვის იყო ეს მისაწვდომობა კარგი. აღსანიშნავია, რომ საჭიროების დინამიკა მზარდია, ხოლო კარგი მისაწვდომობის - კლებადი.

სტომატოლოგითან მკურნალობის საჭიროება მოსახლეობის 44 პროცენტს ჰქონდა, საიდანაც კარგი მისაწვდომობა ამ მომსახურებაზე მხოლოდ 12 პროცენტს ჰქონდა. 2009-2011 წლების მონაცემები ამ საჭიროების მზარდ დინამიკას და კარგი მისაწვდომობის სტაბილურად დაბალ დონეს აჩვენებს. მნელი სათქმელია, თუ რა მდგომარეობა ამ მიმართულებით ახლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისათვის ნაკლებად გამოსადეგია.

საერთო ჯამში, საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისათვის ჯანმრთელობის დაცვის განხილული პარამეტრის გამოყენება რეკომენდებული არ არის, რადგან:


- ჯანმრთელობის დაცვისთვის ხარჯების გაწევა არ ნიშნავს ჯანმრთელობის დაცვაზე კარგ მისაწვდომობას, ხოლო ამ მომსახურებისთვის გაწეული დიდი დანახარჯი უფრო მიიმე ავადმყოფობის ნიშანია, ვიდრე კეთილდღეობის;
- დაზღვევასა და პროფილაქტიკურ გამოკვლევაზე მისაწვდომობის და ხარჯების გაწევის დინამიკა იმ სამი წლის განმავლობაში, როდესაც ორივე მაჩვენებელი გროვდებოდა საპირისპირო ნიშნისაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჯანმრთელობის დაცვაზე მისაწვდომობის მაჩვენებელი არ არის შინამეურნეობის (მიკრო) დონის ინდიკატორი,

ისევე, როგორც განათლების მისაწვდომობა. ეს უფრო დასახლების ან მუნიციპალური (მუზო) დონის ინდიკატორია, რომლის გაანგარიშებაც სისტემური ანალიზის შედეგად შეიძლება.

### 3.9.2. დასვენება, გართობა, კულტურა

დასვენების მისაწვდომობის პარამეტრი ისევე, როგორც განათლებისა და ჯანდაცვის შემთხვევაში, მხოლოდ 2009-2011 წლებისთვის შეიძლება გაანალიზდეს. ამდენად, სრული დროითი მწკრივის ასაგებად წინამდებარე კვლევაში შინამეურნეობების მიერ დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე გაწეული დანახარჯების გამოყენება ვცადეთ. 2017 წელს ამ მიზნით რაღაც ხარჯი შინამეურნეობების 18 პროცენტმა გასწია. არსებითია განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის. საინტერესოა, რომ ასეთი ოჯახების ხვედრითი წონა 2014-2017 წლებში შემცირების ტენდენციას ატარებს, რაც შინამეურნეობების ნომინალური ხარჯების ზრდის ფონზე საერთო სოციალური ფონის არცთუ სახარბიელო მიმართულებით ცვლილების ნიშანია.

**დიაგრამა #37: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც გასწიეს ხარჯი დასვენებაზე, კულტურასა და გართობაზე**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

**ცხრილი #25: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც გასწიეს ხარჯი დასვენებაზე, კულტურასა და გართობაზე, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	9.5	21.2	20.5	18.1	20.6	16.4	16.4	13.6	15.0
თბილისი	15.7	26.6	24.7	26.3	29.3	29.1	27.6	25.0	23.4
შიდა ქართლი	8.1	20.3	12.8	15.3	19.5	19.8	15.2	17.7	11.0
ქვემო ქართლი	5.0	15.1	11.8	15.1	20.9	17.0	14.5	13.7	19.6
სამცხე-ჯავახეთი	2.6	11.9	6.9	7.2	9.1	8.2	7.8	8.7	11.6
აჭარა	6.6	18.8	11.7	14.2	10.9	19.1	24.8	17.8	14.1
გურია	19.3	30.1	36.5	34.7	25.5	30.6	32.9	26.9	14.3
სამეგრელო	15.6	24.7	17.6	17.7	24.3	24.7	21.0	20.3	14.0
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	8.7	19.3	16.6	21.9	19.8	21.6	21.4	19.4	18.4
მცხეთა-მთიანეთი	5.8	21.9	25.7	22.7	14.6	9.5	10.0	9.0	9.3
ქვეყანაში, სულ	10.8	21.7	18.6	20.4	21.9	22.1	21.2	19.2	17.8

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

რეგიონებს შორის განსხვავება არსებითია და ტენდენციებიც განსხვავებულია. 2017 წლის მონაცემებით, დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე ხარჯების გამწევი ოჯახების წილი

ყველაზე მაღალი თბილისში იყო. ასევე მაღალი იყო ამგვარი შინამეურნეობების ხვედრითი წონა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გამსხვილებულ რეგიონსა და ქვემო ქართლში. ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა გურიასა და მცხეთა-მთიანეთში.

ისევე, როგორც განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის პარამეტრებისათვის, აქაც მნიშვნელოვანია დასვენების მისაწვდომობის შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ ამ მაჩვენებლების ანალიზი წინამდებარე კვლევის პერიოდიდან მხოლოდ 3 წლისათვისაა შესაძლებელი. ზემოაღნიშნული მოდულის საფუძველზე მოხდა დასვენების მისაწვდომობის დიქტომიური ინდიკატორის გენერირება.


მოსახლეობის 86-87 პროცენტმა განაცხადა, რომ საჭიროა დასვენება და მათგან მხოლოდ 14 პროცენტს ჰქონდა კარგი მისაწვდომობა დასვენებაზე. საყურადღებოა ამ მაჩვენებლის სტაბილური დინამიკა, რაც არსებითად განსხვავდება დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე ხარჯების გამწევი შინამეურნეობების პროცენტული წილის დინამიკისაგან.

საერთო ჯამში, დასვენების პარამეტრის შესავსებლად ამ მიმართულებით ხარჯების გაწევის ფაქტის გამოყენება გაუმართლებელია, ვინაიდან ის არსებითად განსხვავდება შესაბამისი პერიოდის დასვენების მისაწვდომობის მაჩვენებლისგან. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების გამწევი შინამეურნეობების ხვედრითი წონის დინამიკა საკმაოდ სტაბილურია, მისაწვდომობის პარამეტრი, რომელიც საშუალო კლასის შეფასებისათვის უფრო მნიშვნელოვანია, სულ სხვა პროპორციას აჩვენებს.

### 3.9.3. კრედიტის წვდომა

შინამეურნეობების 16 პროცენტმა 2017 წელს აიღო კრედიტი ბანკიდან ან კერძო პირისაგან. მწელი სათქმელია, რამდენად აღწერს ეს მაჩვენებელი კრედიტის წვდომას, რასაც ცალკე დეტალური გამოკვლევა სჭირდება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში სხვა მონაცემი არ გვაქვს. აღსანიშნავია, რომ ასეთი შინამეურნეობების წილი 2012 წლიდან შემცირების ტენდენციას ატარებს.

**დიაგრამა #38: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც აიღეს კრედიტი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

კრედიტის ამდები შინამეურნეობების განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაციით სამცხე-ჯავახეთი გამოირჩევა, სადაც 2017 წელს შინამეურნეობების 33 პროცენტმა აიღო კრედიტი. იგივე მაჩვენებელი 2-ჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო და თითქმის სამჯერ თბილისის ანალოგიურ მაჩვენებელს. მეორე ადგილზე ამ მხრივ კახეთია (25 პროცენტი), ხოლო მესამეზე - იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის გამსხვილებული რეგიონი (22 პროცენტი). კრედიტის ამდები შინამეურნეობების წილი ყველაზე დაბალია მცხეთა-მთიანეთში (11 პროცენტი).

**ცხრილი #26: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც აიღეს კრედიტი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	25.9	30.3	30.3	30.3	27.1	25.3	24.9	22.8	25.2
თბილისი	10.5	15.1	13.8	13.0	12.4	10.3	7.0	5.1	11.5
შიდა ქართლი	25.6	23.7	24.2	21.9	21.1	19.2	18.4	13.1	14.2
ქვემო ქართლი	8.8	13.8	15.8	13.8	13.7	11.8	10.3	11.3	12.8
სამცხე-ჯავახეთი	16.0	22.4	20.9	28.9	26.6	20.6	26.7	30.8	32.9
აჭარა	20.5	21.7	16.2	19.6	17.2	14.8	12.1	10.4	11.5
გურია	31.9	39.4	39.8	49.9	41.6	34.4	29.8	25.5	20.4
სამეგრელო	20.9	21.6	24.0	21.4	20.5	18.9	18.9	14.3	15.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	22.7	25.5	24.3	29.3	28.0	26.9	22.5	25.7	23.2
მცხეთა-მთიანეთი	21.4	24.9	29.7	26.8	26.3	26.5	17.2	16.7	10.8
ქვეყანაში, სულ	18.2	21.5	21.0	22.1	20.6	18.5	16.2	15.3	16.4


წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

საერთო ჯამში, კრედიტის აღების პარამეტრის გამოყენება საშუალო კლასის როდენობრივი შეფასებისათვის რეკომენდებული არ არის, ვინაიდან კრედიტის აღება ავტომატურად არ ნიშნავს კრედიტის კარგ წვდომას. გარდა ამისა, აღნიშნული მაჩვენებლის სიზშირეზე არსებით გავლენას ახდენს სხვადასხვა საკრედიტო ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებები, რაც საშუალო კლასის ფორმირებაზე ნაკლებად მოქმედებს.

**3.9.4. დანაზოგის შექმნა**

2017 წელს შინამეურნეობების 10-მა პროცენტმა შექმნა დანაზოგი. ასეთი შინამეურნეობების წილი სოფლად, ქალაქთან შედარებით, რამდენადმე ნაკლებია. 2009-2011 წლებში დანაზოგის შემქმნელი შინამეურნეობების წილი სტატისტიკური ცდომილების ფარგლებში იყო. 2012-2013 წლებში იგი მკვეთრად გაიზარდა, 2017 წელს კი - შემცირდა.

**დიაგრამა #39: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც შეძლეს დანაზოგის შექმნა**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

დანაზოგის შემქმნელი შინამეურნეობების წილი ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთშია (18.5 პროცენტი). ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია აჭარაში, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის გამსხვილებულ რეგიონსა და თბილისში. დანაზოგს ყველაზე იშვიათად გურიასა და შიდა ქართლში მცხოვრები ოჯახები ახერხებენ.

**ცხრილი #27: შინამეურნეობების წილი, რომლებმაც შეძლეს დანაზოგის შექმნა, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	2.8	3.3	2.8	6.0	11.5	11.2	13.4	13.6	10.6
თბილისი	4.7	3.2	3.3	7.0	10.1	11.5	13.6	15.1	13.8
შიდა ქართლი	6.0	4.0	2.5	3.3	3.4	6.8	6.4	7.8	4.5
ქვემო ქართლი	0.6	1.4	1.0	9.8	8.0	5.1	7.8	8.8	6.8
სამცხე-ჯავახეთი	4.8	4.1	2.8	22.7	58.5	35.9	27.9	17.4	18.5
აჭარა	3.9	2.6	2.2	2.1	18.1	11.1	16.3	24.3	16.4
გურია	1.5	0.8	0.3	7.2	8.8	10.5	7.6	8.5	4.4
სამეგრელო	4.1	1.9	2.9	3.1	2.5	8.5	10.3	11.2	10.9
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	3.0	2.0	1.5	8.5	13.5	15.4	17.8	16.5	13.2
მცხეთა-მთიანეთი	1.3	1.9	0.8	16.6	11.1	7.2	15.4	11.0	7.0
ქვეყანაში, სულ	3.6	2.6	2.3	7.4	12.2	11.8	13.6	14.2	11.6

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

დანაზოგის შექმნის პარამეტრის გამოყენება საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისათვის არ არის მიზანშეწონილი, რადგან მხოლოდ დანაზოგის შექმნის ფაქტის გარდა, მნიშვნელოვანია შინამეურნეობის დონეზე დაზოგვის განწყობათა შესწავლა. ამ მაჩვენებლის სიხშირეზე არსებით გავლენას ახდენს აგრეთვე საბანკო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებები. ანუ დანაზოგის შექმნის სიხშირე ძალზე დინამიკურია, ხოლო საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება უფრო მდგრად მაჩვენებლებს უნდა ეყრდნობოდეს.

## 4. საშუალო კლასის საქართველოში

საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმარისი არ არის კრიტერიუმებად მხოლოდ შინამეურნეობების შემოსავლების ან სამომხმარებლო ხარჯების გამოყენება. ამ რთული სოციო-ეკონომიკური ფენომენის შესწავლა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რაც ფაქტორების საკმაოდ დიდ ჯგუფს ეფუძნება. აღნიშნული კრიტერიუმები თავისი მნიშვნელობით არაერთგვაროვანია; მაგალითად, საშუალო კლასის იდენტიფიცირების კონტექსტში ერთ თანრიგში ვერ განვიხილავთ შინამეურნეობათა შემოსავლების და ხანგრძლივი მოხმარების საგნების (მაცივარი, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი, მსუბუქი ავტომობილი და ა.შ.) ფლობის პარამეტრებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოხდეს საშუალო კლასის შეფასების კრიტერიუმების რანჟირება, საშუალო კლასის ფორმირებაში მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისათვის მოცემული კვლევის წინა თავში განხილული 9 პარამეტრი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად, აღნიშნული სოციალური ფენის ფორმირებაში თითოეული მათგანის მნიშვნელობის მიხედვით, და შეფასების სამბალანსო სკალით შემდეგი რეიტინგები მიენიჭოს:

### 1. პირველი რიგის ფაქტორები - 3 ქულა:

- 1.3. განათლება;
- 1.4. დასაქმება;
- 1.5. შემოსავლები.

### 2. მეორე რიგის ფაქტორები - 2 ქულა:

- 2.1. საცხოვრისი;
- 2.2. საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის წვდომა;
- 2.3. ხანგრძლივი მოხმარების საგნების ფლობა;
- 2.4. მოხმარება.

### 3. მესამე რიგის ფაქტორები - 1 ქულა:

- 3.1. შემოსავლების სუბიექტური შეფასება;
- 3.2. ქონებრივი მდგომარეობის სუბიექტური შეფასება.

შეიძლება ითქვას, რომ საშუალო კლასის იდენტიფიკაციის კრიტერიუმების ზემოთ მოცემული დაჯგუფება რამდენადმე სუბიექტურია, თუმცა იგი გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება. სადავო არ უნდა იყოს, რომ განათლება, მის საფუძველზე სტაბილური დასაქმება, ხოლო ამ უკანასკნელის ბაზაზე სტაბილური შემოსავლების გენერირება საშუალო კლასის, როგორც სოციალური ფენის, ფორმირების განმსაზღვრელი ფაქტორებია. ამიტომაც მიენიჭა პარამეტრების ამ ჯგუფს უმაღლესი რეიტინგი. აღნიშნული ფაქტორები, თავის მხრივ, განაპირობებენ შინამეურნეობათა ქონებრივ მდგომარეობას (უწინარეს ყოვლისა, უმრავი ქონების და ხანგრძლივი მოხმარების საგნების ფლობას), აგრეთვე მათ მიერ თანამედროვე კომუნალური სერვისების წვდომას და მათი მოხმარების სტრუქტურას. აქედან გამომდინარე, ეს ჯგუფი შეფასდა, როგორც მეორე რიგის ფაქტორები, შედარებით ნაკლები რეიტინგით. ფაქტორთა დასახელებული ორი ჯგუფი უდევს საფუძვლად შინამეურნეობათა სუბიექტურ აღქმას, რაც საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასების მნიშვნელოვანი წყაროა, თუმცა - არა გადამწყვეტი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ზემოთ დაჯგუფებული 9 ფაქტორიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესის - დასაქმების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მხოლოდ 2016 წლის ჩათვლით არსებობს. ამდენად, წინამდებარე კვლევაში განვიხილავთ მონაცემთა ორ მწკრივს - 2009-2016 წწ.-ის და 2009-2017 წწ.-ის. შესაბამისად, გთავაზობთ საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასების ორ ვერსიას: 9 კრიტერიუმით (დასაქმების ჩათვლით) - 2009-2016 წლების პერიოდში და 8 კრიტერიუმით (დასაქმების გარეშე) - 2009-2017 წლების პერიოდში.

ამის შემდეგ თითოეული შენამეურნეობის საშუალო კლასთან შესაბამისობა შეწონილ იქნა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით და გამოიყო შინამეურნეობის შემდეგი ჯგუფები:

1. შინამეურნეობები, რომლებიც 50 პროცენტზე ნაკლებად აკმაყოფილებენ საშუალო კლასის კრიტერიუმებს;



- შინამეურნეობები, რომლებიც 50-75 პროცენტით აკმაყოფილებენ საშუალო კლასის კრიტერიუმებს;
- შინამეურნეობები, რომლებიც 75-90 პროცენტით აკმაყოფილებენ საშუალო კლასის კრიტერიუმებს;
- შინამეურნეობები, რომლებიც 90-100 პროცენტით აკმაყოფილებენ საშუალო კლასის კრიტერიუმებს;
- საშუალო კლასს ზემოთ - შინამეურნეობები, რომელთა შემოსავლები ან მოხმარება განსაზღვრული ზედა ზღვრის ზემოთაა, ყველა სხვა პარამეტრის მიუხედავად.

საბოლოოჯამში, საშუალო კლასად მივიჩნით შინამეურნეობები, რომლებიც 75-100 პროცენტით აკმაყოფილებენ საშუალო კლასის კრიტერიუმებს. აქედან შინამეურნეობებს, რომლებიც 75-90 პროცენტით აკმაყოფილებენ აღნიშნულ კრიტერიუმებს, განვიხილავთ, როგორც **ქვედა საშუალო კლასს**, ვინც 90-100 პროცენტით აკმაყოფილებენ - როგორც **შუა საშუალო კლასს**, ხოლო ვინც 100 პროცენტით აკმაყოფილებენ - **ზედა საშუალო კლასს**.


#### 4.1. საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება 9 კრიტერიუმით

9 კრიტერიუმით, ანუ დასაქმების ფაქტორის ჩათვლით, იმ შინამეურნეობების ხვედრითი წონა, რომლებიც 75-100 პროცენტით აკმაყოფილებენ საშუალო კლასის კრიტერიუმებს 2016 წელს, როდესაც ამ პარამეტრის გამოყენება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, მხოლოდ 16 პროცენტს შეადგენდა. აქედან ქვედა საშუალო კლასს 7.3 პროცენტი განეკუთვნებოდა, შუა საშუალო კლასს - 5.4 პროცენტი, ხოლო ზედა საშუალო კლასს - მხოლოდ 3.3 პროცენტი.

მხოლოდ ერთი - დასაქმების ფაქტორის დამატებით მთლიანად საშუალო კლასის ხვედრითი წონა შინამეურნეობების განაწილებაში თითქმის 7 პროცენტული პუნქტით შემცირდა (იხ.: დიაგრამები # 41 და #43).

2009 წელს, ანუ საანალიზო პერიოდის დასაწყისში, საშუალო კლასს შინამეურნეობების 7.4 პროცენტი განეკუთვნებოდა, საიდანაც ქვედა საშუალო კლასს 4.6 პროცენტი, შუა საშუალო კლასს - 2.1 პროცენტი, ხოლო ზედა საშუალო კლასს - მხოლოდ 0.7 პროცენტი მიეკუთვნებოდა.

**დიაგრამა #40: შინამეურნეობების განაწილება საშუალო კლასის კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიხედვით, 9 კრიტერიუმით**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ


ამრიგად, ჩვენი გათვლებით, 2009-2016 წლებში 9 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასის ხვედრითი წონა საქართველოში 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, რაც უდავოდ დადებით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებით სწრაფად აღნიშნულ პერიოდში ზედა საშუალო კლასის ხვედრითი წონა იზრდებოდა - თითქმის 5-ჯერ. ერთობ მკვეთრი იყო შუა საშუალო კლასის მატების ტემპიც - თითქმის 3-ჯერ. რაც შეეხება ქვედა საშუალო კლასს, იგი დაახლოებით 60 პროცენტით გაიზარდა.

შინამეურნეობების ერთადერთი ჯგუფი, რომლის ხვედრითი წონაც შეუქცევადი კლების ტენდენციით ხასიათდება, ის ოჯახებია, რომლებიც საშუალო კლასის კრიტერიუმების 50 პროცენტზე ნაკლებს აკმაყოფილებენ, ანუ არ განეკუთვნებიან ამ სოციალურ ფენას. შინამეურნეობების ეს ჯგუფი მკაცრი კრიტერიუმებით არც ღარიბთა კატეგორიას განეკუთვნება. ეს არის ფართო და მოწყვლადი სოციალური ჯგუფი, რომელიც უფრო ახლოსაა ღარიბებთან, ვიდრე საშუალო კლასთან. სწორედ მათი შემცირების ხარჯზე იზრდება საშუალო კლასის შინამეურნეობათა პროცენტული წილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შინამეურნეობების ხვედრითი წონა 8 პარამეტრით, ანუ დასაქმების ფაქტორის გარეშე, 2016 წელს თითქმის 45 პროცენტი იყო, ხოლო 9 პარამეტრით - 54 პროცენტი. ამრიგად, დასაქმების პარამეტრის დამატება არსებით გავლენას ახდენს საშუალო კლასის რაოდენობრივ შეფასებაზე.

9 კრიტერიუმის მიხედვით, საშუალო კლასის ხვედრითი წონის მაჩვენებელი, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანობაში ზრდის ტენდენციას აჩვენებს. დაახლოებით მსგავსი დინამიკა იკვეთება ქალაქისა და სოფლის ჭრილებშიც. ქალაქში საშუალო კლასის ხვედრითი წონა 2009-2016 წლებში გაორმაგდა, სოფლად კი თითქმის გასამმაგდა. აღსანიშნავია, რომ ქალაქში საშუალო კლასის ზრდა 2016 წელს დამუხრუჭდა, რაც შეიძლება ეპიზოდური მოვლენა იყოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქში საშუალო კლასის ხვედრითი წონა, როგორც წესი, ბევრად მაღალია სოფელთან შედარებით, თუმცა ეს განსხვავება ბოლო წლებში შემცირდა. ნიშანდობლივია, რომ დასაქმების პარამეტრის დამატება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სოფლად საშუალო კლასის შინამეურნეობების ხვედრითი წონის მაჩვენებელზე.

**დიაგრამა #41: 9 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასის შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

რეგიონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 9 პარამეტრის მიხედვით საშუალო კლასის ხვედრითი წონა ყველაზე მაღალია დედაქალაქში (31.4 პროცენტი), სადაც ეს მაჩვენებელი 2009-2016 წლებში თითქმის ორჯერ გაიზარდა. მეორე ადგილზეა აჭარა (16.7 პროცენტი), მესამე ადგილი ქვემო ქართლმა დაიკავა (12 პროცენტი), თუმცა ამ რეგიონში აღნიშნული მაჩვენებელი სამჯერ და

მეტად გაიზარდა. მეოთხე ადგილზე შიდა ქართლია (10.5 პროცენტი), სადაც საშუალო კლასის ხვედრითი წონა საანალიზო პერიოდში ორჯერ და მეტად გაიზარდა.

**ცხრილი #28: 9 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასის შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
კახეთი	3.0	2.5	3.7	4.4	4.6	6.6	7.9	7.8
თბილისი	16.1	14.4	17.1	21.5	24.1	26.8	31.3	31.4
შიდა ქართლი	4.1	4.4	3.8	2.4	5.1	8.1	9.6	10.5
ქვემო ქართლი	3.6	4.1	5.7	8.2	8.3	7.6	8.7	12.0
სამცხე-ჯავახეთი	2.1	2.9	3.5	5.9	4.5	6.9	8.3	9.7
აჭარა	9.3	7.5	14.7	11.3	13.2	12.6	18.6	16.7
გურია	4.2	3.4	4.2	4.6	4.0	8.3	9.8	7.5
სამეგრელო	4.1	2.2	4.5	6.4	7.6	7.6	7.6	8.9
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	3.7	3.7	6.3	6.4	6.7	8.5	9.6	9.9
მცხეთა-მთიანეთი	1.8	2.3	4.7	6.2	6.3	7.4	9.4	8.2
ქვეყანაში, სულ	7.4	6.7	9.0	10.4	11.6	13.2	15.6	16.0

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

9 პარამეტრის მიხედვით, საშუალო კლასის ხვედრითი წონა ყველაზე დაბალი (7.5 პროცენტი) გურიაშია, სადაც 2009-2016 წლებში ეს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა. ასევე ერთობ დაბალია საშუალო კლასის ხვედრითი წონა კახეთში (7.8 პროცენტი), მაგრამ ამ რეგიონში იგი 2.6-ჯერ გაიზარდა. მცირეა აგრეთვე საშუალო კლასის ხვედრითი წონა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (8.2 პროცენტი), თუმცა აქ აღნიშნულმა მაჩვენებელმა საანალიზო პერიოდში საკმაოდ შთამბეჭდავი დინამიკა აჩვენა - 5-ჯერ გაიზარდა.

**4.2. საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასება 8 კრიტერიუმით**

8 კრიტერიუმით, ანუ დასაქმების ფაქტორის გარეშე, იმ შინამეურნეობების ხვედრითი წონა, რომლებიც 75-100 პროცენტით აკმაყოფილებენ საშუალო კლასის კრიტერიუმებს, 2017 წელს 24.6 პროცენტი იყო. აქედან ქვედა საშუალო კლასს დაახლოებით 11 პროცენტი განეკუთვნებოდა, შუა საშუალო კლასს - 8.3 პროცენტი, ხოლო ზედა საშუალო კლასს - მხოლოდ 5.4 პროცენტი.


2009 წელს, ანუ საანალიზო პერიოდის დასაწყისში, საშუალო კლასს შინამეურნეობების 10.2 პროცენტი განეკუთვნებოდა, საიდანაც ქვედა საშუალო კლასს 6.6 პროცენტი განეკუთვნებოდა, შუა საშუალო კლასს - 2.8 პროცენტი, ხოლო ზედა საშუალო კლასს - მხოლოდ 0.8 პროცენტი.

ამრიგად, 2009-2017 წლებში, 8 პარამეტრის მიხედვით, საშუალო კლასის ხვედრითი წონა 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, რაც უდავოდ დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით სწრაფად აღნიშნულ პერიოდში ზედა საშუალო კლასის ხვედრითი წონა გაიზარდა - თითქმის 7-ჯერ. ერთობ მკვეთრი იყო შუა საშუალო კლასის მატების ტემპიც - თითქმის 3-ჯერ. რაც შეეხება ქვედა საშუალო კლასს, იგი დაახლოებით 65 პროცენტით გაიზარდა.

სუსტად გამოხატული ზრდის ტენდენციას ავლენს საშუალო კლასს ზემოთ მყოფი შინამეურნეობების ხვედრითი წონის მაჩვენებელიც, რომლის მკვეთრი ზრდა საკმაოდ ძნელი მისაღწევია.

ისე, როგორც 9 კრიტერიუმით შეფასების დროს, შინამეურნეობების ერთადერთი ჯგუფი, რომლის ხვედრითი წონაც შეუქცევადი კლების ტენდენციით ხასიათდება, ის ოჯახებია, რომლებიც საშუალო კლასის კრიტერიუმების 50 პროცენტზე ნაკლებს აკმაყოფილებენ. ამ შემთხვევაშიც, საშუალო კლასის შინამეურნეობათა პროცენტული წილი მათი შემცირების ხარჯზე იზრდება.


**დიაგრამა #42: შინამეურნეობების განაწილება საშუალო კლასის კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიხედვით, 8 კრიტერიუმით**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ 8 კრიტერიუმის მიხედვითაც საშუალო კლასის ხვედრითი წონის მაჩვენებელი, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანობაში ზრდის ტენდენციას აჩვენებს. აქვს დაახლოებით მსგავსი დინამიკა იკვეთება ქალაქისა და სოფლის ჭრილებშიც. ქალაქში საშუალო კლასის ხვედრითი წონა 2009-2017 წლებში გაორმაგდა, სოფლად კი თითქმის გასამმაგდა. აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლებში ქალაქში საშუალო კლასის ზრდა დამუხრუჭდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქში საშუალო კლასის ხვედრითი წონა, როგორც წესი, ბევრად მაღალია სოფელთან შედარებით, თუმცა ბოლო წლებში ეს განსხვავება შემცირდა.

**დიაგრამა #43: 8 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასის შინამეურნეობების წილი**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

რეგიონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 8 კრიტერიუმით განსაზღვრული საშუალო კლასის ხვედრითი წონა ყველაზე მაღალი კვლავ დედაქალაქშია (38.6 პროცენტი), სადაც ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლებში თითქმის ორჯერ გაიზარდა. მეორე ადგილზეა აჭარა (25.1 პროცენტი), სადაც საშუალო კლასის ხვედრითი წონის მატების ტემპი დაახლოებით იგივეა, რაც თბილისში. მესამე ადგილი იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის გამსხვილებულმა რეგიონმა დაიკავა (18.5 პროცენტი), თუმცა ამ რეგიონში აღნიშნული მაჩვენებელი სამჯერ და მეტად გაიზარდა. მეოთხე ადგილზე სამეგრელო (18.3 პროცენტი) გავიდა, სადაც საშუალო კლასის ხვედრითი წონა საანალიზო პერიოდში თითქმის სამჯერ გაიზარდა.

**ცხრილი #29: 8 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასის შინამეურნეობების წილი, რეგიონების მიხედვით (%)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
კახეთი	5.1	4.3	4.6	5.7	7.2	10.3	11.5	12.7	13.4
თბილისი	21.1	19.5	22.3	27.2	32.4	35.4	40.5	41.3	38.6
შიდა ქართლი	4.9	5.3	5.8	4.9	7.5	11.8	12.9	15.6	17.4
ქვემო ქართლი	6.8	6.8	8.6	10.2	12.4	11.7	13.8	16.2	22.2
სამცხე-ჯავახეთი	3.4	4.8	4.6	7.8	6.4	9.8	14.3	15.6	17.6
აჭარა	12.2	12.4	17.6	15.6	20.0	18.4	24.9	24.2	25.1
გურია	6.2	4.8	6.8	7.9	8.7	10.8	14.7	14.1	13.3
სამეგრელო	6.4	3.7	7.0	8.9	12.1	13.9	13.3	14.3	18.3
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი	5.3	6.0	9.7	9.0	10.0	12.2	14.5	14.8	18.5
მცხეთა-მთიანეთი	2.7	2.4	7.6	6.8	6.4	9.9	11.6	12.8	13.4
ქვეყანაში, სულ	10.2	9.6	12.2	13.7	16.5	18.5	21.6	22.5	24.7

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

8 პარამეტრის მიხედვით საშუალო კლასის ხვედრითი წონა ყველაზე დაბალი (13.3 პროცენტი) გურიაშია, სადაც 2009-2017 წლებში ეს მაჩვენებელი გაორმაგდა. თითქმის იმავე დონეზეა საშუალო კლასის ხვედრითი წონა კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში (13.4-13.4 პროცენტი), თუმცა კახეთში ეს მაჩვენებელი 2.6-ჯერ გაიზარდა, ხოლო მცხეთა-მთიანეთში კი - თითქმის 5-ჯერ.

## 5. საშუალო კლასის შინამეურნეობების პროფილი

### 5.1. საშუალო კლასის შინამეურნეობის ზომა, საშუალო ასაკი და განსახლება


საშუალო კლასის შინამეურნეობათა პროფილზე მსჯელობისას დღის წესრიგში დგება ამგვარი შინამეურნეობების ზომის საკითხი. ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ 2017 წელს საშუალო კლასს მიკუთვნებული ოჯახი საშუალოდ 3.9 სულისგან შედგებოდა და მისი ზომა, 2009 წელთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა. ქვედა საშუალო კლასის შინამეურნეობების ზომა 2009-2017 წლებში გარკვეულ მერყეობას ავლენდა და პერიოდის ბოლოს 3.7 სული შეადგინა. შუა საშუალო კლასის ზომა, 2009 წელთან შედარებით, ფაქტობრივად უცვლელია. რაც შეეხება ზედა საშუალო კლასს, მისი ზომა 2009-2017 წლებში საგრძნობლად - 4.5-დან 4.1-მდე შემცირდა.

**ცხრილი #30: საშუალო კლასის შინამეურნეობათა\* ზომა (სული)**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50 პროცენტზე ნაკლებს	3.69	3.65	3.61	3.64	3.53	3.56	3.49	3.50	3.54
აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50-75 პროცენტს	3.78	3.64	3.65	3.60	3.70	3.66	3.57	3.54	3.43
ქვედა საშუალო კლასი	3.96	3.91	3.93	3.88	3.99	4.01	4.08	3.82	3.67
შუა საშუალო კლასი	4.10	4.38	4.20	4.12	4.30	4.10	4.17	4.00	4.12
ზედა საშუალო კლასი	4.46	4.50	4.37	4.04	4.14	4.23	4.26	4.45	4.06
საშუალო კლასი, სულ	4.04	4.11	4.06	3.98	4.12	4.07	4.14	4.00	3.91
საშუალო კლასის ზემოთ	2.63	2.69	2.59	2.41	2.49	2.54	2.64	2.43	2.21
საშუალოდ, ქვეყანაში	3.68	3.64	3.62	3.61	3.60	3.60	3.59	3.54	3.50

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ  
შენიშვნა: იგულისხმება 8 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასი.

**დიაგრამა #44: საშუალო კლასისა და საშუალო კლასის ზემოთ მყოფი მოსახლეობის საშუალო ასაკი**




წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

საშუალო კლასს მიკუთვნებული მოსახლეობის საშუალო ასაკი 2017 წელს თითქმის 37 წელი იყო, რაც ოდნავ ნაკლებია 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამასთან, ეს მაჩვენებელი არსებითად ჩამორჩებოდა ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკს (38.5 წელი) მაშინ, როდესაც საშუალოზე მაღალ კლასს მიკუთვნებული მოსახლეობის ანალოგიური მაჩვენებელი (41.4 წელი) ბევრად აღემატებოდა ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკს. საშუალო კლასსა და მასზე მაღალ

კლასს მიკუთვნებული მოსახლეობის ასაკობრივმა სხვაობამ 2017 წელს 4.5 წელი შეადგინა, რაც ოდნავ მეტია 2009 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ასეთი ტენდენციის ახსნა საკმაოდ რთულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საშუალო კლასს ზემოთ მოხვედრას გარკვეული წლები სჭირდება.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ 8 კრიტერიუმით საშუალო კლასს მიკუთვნებული შინამეურნეობების 81 პროცენტი ქალაქში ცხოვრობს. გარკვეული მერყეობის მიუხედავად, 2009-2017 წლებში ეს მაჩვენებელი 80 პროცენტზე მაღალი იყო. სოფელში მცხოვრები შინამეურნეობების რაოდენობა ოთხჯერ და მეტად ჩამორჩებოდა ქალაქის ანალოგიურ მაჩვენებელს და 14-18 პროცენტს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ სოფელში მცხოვრები ასეთი შინამეურნეობების ხვედრითი წონა 2009-2017 წლებში სუსტად ჩამოყალიბებული, მაგრამ შეუქცევადი ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა.

**დიაგრამა #45: საშუალო კლასის განაწილება ქალაქსა და სოფელში**




წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

საინტერესოა საშუალო კლასს მიკუთვნებული შინამეურნეობების რეგიონული განაწილება, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 2009-2015 წლების მონაცემები განსაკუთრებული საიმედოობით არ გამოირჩევა, ვინაიდან 10 პროცენტზე დაბალი ხდომილების რეგიონული განაწილება სტატისტიკურად ნაკლებად სანდოა. ამდენად, მიზანშეწონილად ჩაითვალა რეგიონების გამსხვილება.

საშუალო კლასის შინამეურნეობათა თითქმის ნახევარი თბილისში ცხოვრობს (47 პროცენტი). უფრო მეტიც, შუა და ზედა საშუალო კლასის შინამეურნეობების 75 პროცენტი დედაქალაქის მკვიდრია. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლებში საგრძობლად შემცირდა - 56 პროცენტიდან თითქმის 47 პროცენტამდე, რაც რეგიონებში საშუალო კლასის, განსაკუთრებით, ქვედა საშუალო კლასის შინამეურნეობების მატების შედეგია.

ბოლო წლებში ამკარაა რეგიონებში საშუალო კლასის ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით, 2016-2017 წლებში. საშუალო კლასის ხვედრითი წონის მაჩვენებლის შეუქცევადი ზრდით გამოირჩევა სამეგრელო და იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთის გამსხვილებული რეგიონი. მწელი სათქმელია ეს უკანასკნელი რამდენად ქმნის ამინდს ამ მაჩვენებლის ფორმირებაში, მაგრამ შინამეურნეობების გამოკვლევის შერჩევის დიზაინში, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთის რეგიონი ცალკე ვერ გამოიყო მოსახლეობის სიმცირის გამო.

## დიაგრამა #46: საშუალო კლასის განაწილება რეგიონულ ჭრილში



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

### 5.2. საშუალო კლასის კეთილდღეობა

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მრავალ შესაძლებლობათაგან ერთ-ერთია განსაკუთრებული კეთილდღეობის სუბიექტური ზღვრის განსაზღვრის შესაძლებლობა. შინამეურნეობები პასუხობენ კითხვაზე - თვეში ყველაზე ცოტა რამდენი ლარია საჭირო იმისათვის, რომ შინამეურნეობა მინიმალურად იყოს უზრუნველყოფილი? ბუნებრივია ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს შინამეურნეობა ასახელებს მისი ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო მინიმალურ თანხას. შესაბამისად, მოცემულ კითხვაზე პასუხი საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას იძლევა კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტზე, რომელიც საზოგადოებაში არსებობს.

მეორე მხრივ, შინამეურნეობების გამოკვლევის ფარგლებში გროვდება ობიექტური მაჩვენებლების მთელი რიგი, რომელთაგან გენერირდება შინამეურნეობის მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების, ანუ ფაქტობრივი მოხმარების მაჩვენებელი.

კეთილდღეობის სუბიექტურ ზღვართან შინამეურნეობის ფაქტობრივი მოხმარების შედარება ერთობ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მოსახლეობის კეთილდღეობის შესახებ. გარდა ამისა, თვით ზღვრის მნიშვნელობაც თავისთავად საკმაოდ ფასეულია, რადგან შეიცავს მოსახლეობის მიერ ინფლაციის სუბიექტურ აღქმას. კეთილდღეობის სუბიექტური ზღვარი, 2017 წლის მონაცემებით, ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით, თვეში 1265 ლარი იყო. ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლებში განუზრელი ზრდის ტენდენციას ავლენდა და ამ პერიოდში 1.5-ჯერ გაიზარდა.

ძალზე საინტერესოა კეთილდღეობის სუბიექტური ზღვრის მაჩვენებელი საშუალო კლასის კრიტერიუმებთან შინამეურნეობათა შესაბამისობის დონის ჭრილში.<sup>24</sup> საყურადღებოა, რომ ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით კეთილდღეობის სუბიექტური ზღვარი საშუალო კლასს ზემოთ მყოფი შინამეურნეობებისათვის, როგორც წესი, დაბალია საშუალო კლასის შინამეურნეობების კეთილდღეობის სუბიექტურ ზღვარზე. ეს, ერთი შეხედვით, აუხსნელი ფენომენია, თუ არ გავითვალისწინებთ შესაბამის ჯგუფებში მყოფი შინამეურნეობების საშუალო ზომის მაჩვენებელს. საშუალო კლასის შინამეურნეობები, როგორც წესი, არსებითად (საშუალოდ დაახლოებით 1.8-ჯერ) უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე საშუალოზე მაღალი კლასის შინამეურნეობები. თუ კეთილდღეობის სუბიექტურ ზღვარს საშუალოდ ერთ სულზე გადავიანგარიშებთ, შინამეურნეობის საშუალო ზომიდან გამომდინარე

<sup>24</sup> იგულისხმება 8 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასი.



აღმოჩნდება, რომ კეთილდღეობის ერთ სულზე გადაანგარიშებული სუბიექტური ზღვარი უკვე ცალსახად იმეორებს წინამდებარე ანალიზში განსაზღვრულ საშუალო კლასის შეფასების პარამეტრების გრადაციას. ანუ რაც უფრო მაღალია შინამეურნეობის შესაბამისობა საშუალო კლასის პარამეტრებთან, მით უფრო მაღალია კეთილდღეობის სუბიექტური ზღვარი. ეს დამოკიდებულია გამონაკლისის გარეშე უცვლელია 2009-2017 წლების განმავლობაში.

შინამეურნეობების საშუალო კლასის კრიტერიუმებთან შესაბამისობის ზრდის პარალელურად კეთილდღეობის სუბიექტური ზღვრის ზრდა სრულიად ბუნებრივია და მარტივად აიხსნება. საშუალო კლასის პარამეტრებთან შესაბამისობის ზრდა მატერიალური კეთილდღეობის დონის ზრდის აღმნიშვნელია, ხოლო რაც უფრო მაღალია შინამეურნეობის მიერ მიღწეული კეთილდღეობის დონე, მით უფრო მაღალია მის მიერ სუბიექტურად განსაზღვრული კეთილდღეობის მინიმალური სტანდარტი. საერთო ჯამში, ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ორი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

1. შერჩეული პარამეტრები ზუსტია, ვინაიდან ამ ჭრილში დანახული კეთილდღეობის სუბიექტური ზღვრის მაჩვენებლები ზუსტად იმეორებენ იმავე გრადაციას, ანუ საშუალო კლასის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დონე ზუსტად ემთხვევა შინამეურნეობების მიერ საკუთარი კეთილდღეობის შეფასების მინიმალურ სტანდარტს.
2. საქართველოს მოსახლეობა მთლიანობაში, თავის შეფასებებში, ძალზე ობიექტურია. ამის უტყუარი ნიშანია ის, რომ ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებული კეთილდღეობის მინიმალური სტანდარტი არსებითად აცილებულია ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ გრადაციას, მაგრამ შინამეურნეობის ზომის გათვალისწინებით უკვე ზუსტად იმეორებს მას. ეს ნიშნავს, რომ საკუთარი კეთილდღეობის ზღვრის სუბიექტური გაანგარიშების დროს რესპონდენტი შინამეურნეობები წევრების რაოდენობას ითვალისწინებდნენ. ანუ კითხვაზე გაცემულ პასუხს შეიძლება ვენდოთ, ვინაიდან ამ პასუხის მართებულობა გადამოწმებულია ობიექტური მონაცემებით.

**ცხრილი #31: კეთილდღეობის სუბიექტური ზღვარი შინამეურნეობათა საშუალო კლასის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დონის მიხედვით, 2009-2017 წლებში**

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
<b>კეთილდღეობის სუბიექტური ზღვარი (ლარი, საშუალოდ თვეში ერთ შინამეურნეობაზე)</b>									
აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50 პროცენტზე ნაკლებს	683	655	650	729	747	794	844	877	933
აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50-75 პროცენტს	964	924	940	1029	1091	1097	1188	1239	1264
ქვედა საშუალო კლასი	1154	1187	1164	1183	1314	1405	1508	1519	1530
შუა საშუალო კლასი	1445	1653	1589	1511	1666	1630	1841	1733	1781
ზედა საშუალო კლასი	1593	1622	1717	1758	1992	1962	2028	2047	1978
საშუალო კლასი, სულ	1267	1370	1346	1374	1526	1559	1716	1688	1713
საშუალო კლასს ზემოთ	1133	1101	1092	1211	1381	1502	1647	1624	1693
საშუალოდ, ქვეყანაში	835	807	826	914	1005	1062	1172	1208	1265
<b>კეთილდღეობის სუბიექტური ზღვარი (ლარი, საშუალოდ თვეში ერთ სულზე)</b>									
აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50 პროცენტზე ნაკლებს	185	179	180	200	212	223	242	251	264
აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50-75 პროცენტს	255	254	257	286	295	300	333	350	369
ქვედა საშუალო კლასი	291	304	296	305	329	351	369	398	417
შუა საშუალო კლასი	352	378	378	367	388	397	441	433	432
ზედა საშუალო კლასი	357	360	393	436	481	464	476	460	488
საშუალო კლასი, სულ	314	334	332	345	371	383	414	423	438
საშუალო კლასს ზემოთ	432	410	422	502	555	591	625	668	766
საშუალოდ, ქვეყანაში	227	222	229	253	279	295	326	341	361

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ შენიშვნა: იგულისხმება 8 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასი


სუბიექტური და ობიექტური მაჩვენებლების შეჯერება აჩვენებს, რომ შინამეურნეობების, მათ შორის, საშუალო კლასის ოჯახების, საშუალოდ 80 პროცენტი მათ მიერ ფულადი განზომილებით გამოხატულ კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტთან შედარებით ნაკლებს მოიხმარს. 2009-2017 წლებში ეს მაჩვენებელი არასტაბილურ ტენდენციას ავლენდა და საშუალოდ 78.3 პროცენტი იყო. საშუალო კლასის შინამეურნეობებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 77 პროცენტი იყო, ანუ საგრძნობლად ჩამორჩებოდა საშუალო მაჩვენებელს.

კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტთან შედარებით, ფაქტობრივი მოხმარების ნაკლებობა განსაკუთრებით ზედა საშუალო კლასის შინამეურნეობებში შეიმჩნეოდა - 74 პროცენტი, მაშინ, როდესაც შუა საშუალო კლასისთვის ეს მაჩვენებელი 78 პროცენტია, ხოლო ქვედა საშუალო კლასისთვის კი - 77.

მოსახლეობა საკმაოდ რეალისტურად აფასებს კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტს. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ კეთილდღეობის სუბიექტური დონის მაჩვენებელი გამორჩეულად დაბალია საშუალო კლასს ზემოთ მყოფ შინამეურნეობებში (2009-2017 წლებში საშუალოდ, 42.4 პროცენტი).

სუბიექტურ ზღვართან შედარებით, კეთილდღეობის 80-პროცენტი დონე სრულიად ნორმალურია, ვინაიდან თვითონ ზღვარი, რომელსაც ფაქტობრივ მოხმარებას ვადარებთ, უკვე მოიცავს კეთილდღეობის არსებულ დონეს და შინამეურნეობების სურვილებს, რომელსაც, როგორც ცნობილია, საზღვარი არ აქვს. აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი მაჩვენებლის გაანგარიშების პრაქტიკა სხვა ქვეყნებისთვის არ შეგვხვედრია.

**დიაგრამა #47: შინამეურნეობების წილი, რომელთა მთლიანი მოხმარება ნაკლებია მათ მიერვე დასახელებულ კეთილდღეობის ზღვარზე საშუალო კლასის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დონის მიხედვით**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია თვით შინამეურნეობის მიერ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შეფასება. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარები ამის შესაძლებლობას იძლევა.<sup>25</sup>

განაწილება აჩვენებს, რომ საქართველოს შინამეურნეობების საშუალო განწყობა მდგომარეობის გაუარესებისკენ არის წადრული. ძალიან ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია ეს განწყობა,

<sup>25</sup> შინამეურნეობები საწყის ინტერვიუში აფასებენ საკუთარის მდგომარეობის ცვლილებას გასული 12 თვის მანძილზე. პასუხების საიმედოობის გაზრდის მიზნით კითხვარზე მოსალოდნელი ხუთი პასუხი გავამსხვილეთ სამამდე:

1. გაუარესდა - არსებითად ან მცირედ;
2. უცვლელია;
3. გაუმჯობესდა - არსებითად ან მცირედ.

როდესაც ობიექტური მონაცემები საპირისპირო სურათს აჩვენებს, მაგრამ ეს შინამეურნეობის ხედვაა და ის ნაკლებად ითვალისწინებს ისეთ რთულ მჩვენებლებს, როგორცაა მასშტაბის ეკონომიის ეფექტი ან ეკვივალენტურობის სკალა.

**ცხრილი #32: შინამეურნეობების მიერ გასულ 12 თვეში საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შეფასება საშუალო კლასის კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიხედვით**

		გაუარესდა	უცვლელია	გაუმჯობესდა	სულ
შინამეურნეობები, რომლებიც აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50 პროცენტზე ნაკლებს	2009	50.7%	40.3%	9.0%	100.0%
	2010	49.4%	43.6%	7.0%	100.0%
	2011	51.7%	41.7%	6.6%	100.0%
	2012	46.3%	46.6%	7.1%	100.0%
	2013	35.1%	56.3%	8.6%	100.0%
	2014	28.6%	60.9%	10.5%	100.0%
	2015	41.6%	52.4%	6.0%	100.0%
	2016	49.6%	46.9%	3.5%	100.0%
	2017	50.7%	46.5%	2.7%	100.0%
შინამეურნეობები, რომლებიც აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50-75 პროცენტს	2009	40.9%	47.0%	12.1%	100.0%
	2010	42.2%	48.8%	9.0%	100.0%
	2011	43.1%	49.6%	7.3%	100.0%
	2012	38.7%	51.6%	9.7%	100.0%
	2013	30.0%	60.6%	9.4%	100.0%
	2014	26.4%	60.9%	12.6%	100.0%
	2015	34.9%	57.4%	7.8%	100.0%
	2016	40.6%	52.6%	6.7%	100.0%
	2017	38.7%	55.1%	6.2%	100.0%
ქვედა საშუალო კლასის შინამეურნეობები	2009	28.1%	52.8%	19.1%	100.0%
	2010	36.8%	50.5%	12.7%	100.0%
	2011	34.9%	51.2%	13.9%	100.0%
	2012	27.5%	60.6%	11.9%	100.0%
	2013	20.1%	68.0%	11.9%	100.0%
	2014	20.1%	67.5%	12.4%	100.0%
	2015	26.3%	65.2%	8.5%	100.0%
	2016	34.1%	59.8%	6.1%	100.0%
	2017	30.0%	62.1%	7.9%	100.0%
შუა საშუალო კლასის შინამეურნეობები	2009	24.5%	63.0%	12.5%	100.0%
	2010	35.4%	51.7%	12.9%	100.0%
	2011	44.0%	41.7%	14.4%	100.0%
	2012	25.3%	60.7%	14.0%	100.0%
	2013	18.7%	66.5%	14.8%	100.0%
	2014	21.7%	64.5%	13.7%	100.0%
	2015	30.9%	58.9%	10.2%	100.0%
	2016	26.9%	61.1%	12.0%	100.0%
	2017	29.6%	62.4%	8.0%	100.0%

		გაუარესდა	უცვლელია	გაუმჯობესდა	სულ
ზედა საშუალო კლასის შინამეურნეობები	2009	21.1%	65.1%	13.9%	100.0%
	2010	31.1%	58.1%	10.8%	100.0%
	2011	23.2%	66.2%	10.6%	100.0%
	2012	20.7%	67.5%	11.9%	100.0%
	2013	20.5%	67.8%	11.7%	100.0%
	2014	19.9%	70.5%	9.7%	100.0%
	2015	31.8%	58.1%	10.0%	100.0%
	2016	36.3%	57.6%	6.1%	100.0%
	2017	20.1%	69.6%	10.3%	100.0%
საშუალო კლასის შინამეურნეობები, სულ	2009	26.5%	56.5%	16.9%	100.0%
	2010	35.8%	51.7%	12.5%	100.0%
	2011	36.5%	49.8%	13.7%	100.0%
	2012	25.8%	61.6%	12.6%	100.0%
	2013	19.7%	67.5%	12.8%	100.0%
	2014	20.6%	67.0%	12.4%	100.0%
	2015	28.9%	61.8%	9.4%	100.0%
	2016	32.0%	59.8%	8.2%	100.0%
	2017	27.7%	63.9%	8.5%	100.0%
საშუალო კლასს ზემოთ	2009	31.5%	50.1%	18.4%	100.0%
	2010	34.3%	53.4%	12.3%	100.0%
	2011	33.5%	56.9%	9.6%	100.0%
	2012	25.7%	61.2%	13.2%	100.0%
	2013	19.0%	62.5%	18.6%	100.0%
	2014	19.1%	64.0%	16.9%	100.0%
	2015	29.6%	57.7%	12.6%	100.0%
	2016	26.7%	58.2%	15.2%	100.0%
	2017	26.1%	59.9%	14.0%	100.0%
ქვეყანაში, სულ	2009	44.9%	44.1%	11.0%	100.0%
	2010	45.7%	46.1%	8.3%	100.0%
	2011	46.9%	45.3%	7.8%	100.0%
	2012	40.6%	50.6%	8.8%	100.0%
	2013	30.2%	59.6%	10.2%	100.0%
	2014	25.9%	62.2%	11.9%	100.0%
	2015	36.4%	56.0%	7.6%	100.0%
	2016	41.7%	52.1%	6.2%	100.0%
	2017	40.2%	54.0%	5.9%	100.0%

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

2017 წელს გასული 12 თვის განმავლობაში სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების საერთო განგარიშებისთვის ზედა ცხრილში მოცემული განაწილება გადავიანგარიშეთ შემდეგი გზით:

1. მდგომარეობის გაუარესებას მიენიჭა რეიტინგი -1;
2. მდგომარეობის უცვლელობას მიენიჭა რეიტინგი 0;
3. მდგომარეობის გაუმჯობესებას მიენიჭა რეიტინგი +1.


შესაბამისი წილების ამ კოეფიციენტებზე გადამრავლებისა და შეჯამების გზით მივიღეთ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების სუბიექტური შეფასების საშუალო მაჩვენებელი, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს -1-დან +1-მდე: -1 მნიშვნელობა მიიღება მაშინ, თუ ყველა შინამეურნეობა აცხადებს მდგომარეობის გაუარესებას, +1 მნიშვნელობა მიიღება მაშინ, თუ ყველა შინამეურნეობა აცხადებს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ცვლილებების საშუალო შეფასების ტენდენცია ზუსტად ემთხვევა საშუალო კლასის პარამეტრებთან შესაბამისობის გრადაციას. რაც უფრო მაღალია შინამეურნეობის საშუალო კლასთან შესაბამისობა, მით უფრო საშუალოდ პოზიტიურია მდგომარეობის ცვლილების სუბიექტური შეფასება. ამ კონტექსტში ნიშანდობლივია თვით საშუალო კლასის სხვადასხვა ჯგუფის შეფასება.

მდგომარეობის ცვლილებას გასულ 12 თვეში 2017 წელს ყველაზე უარყოფითად ქვედა საშუალო კლასი აფასებს (-0.221). შუა და ზედა საშუალო კლასის განწყობა გაცილებით პოზიტიურია (-0.169), თუმცა უარყოფითია.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ცვლილებების მიმართ საშუალო კლასის განწყობები გაცილებით უფრო პოზიტიურია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში და ქალაქის/სოფლის მიხედვით.

**დიაგრამა #48: გასულ თორმეტ თვეში შინამეურნეობათა მიერ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შეფასების ვექტორი 2017 წელს**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ მოსახლეობის განწყობას, ანუ საზოგადოებრივ აზრს, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნეგატიური განწყობებით გაჯერებული საზოგადოება საშიშია: შესაბამისი უნარის, ავტორიტეტისა და ფინანსური რესურსების მქონე ინტერესთა ჯგუფებს ასეთ საზოგადოებაში სოციალური აფეთქების გამოწვევა შეუძლია.

ამ თვალსაზრისით, ერთობ საინტერესოა შინამეურნეობების შეფასებები ქალაქის/სოფლის და რეგიონების მიხედვით (იხ.: დანართი 1). ყველა ამ ჭრილში მდგომარეობის ცვლილების საშუალო შეფასება ყველგან უარყოფითია, მაგრამ სხვებთან შედარებით ვითარების ცვლილებას უფრო უარყოფითად კახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთში, შიდა ქართლში, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში აფასებენ. შედარებით ნაკლებად უარყოფითად - გურიაში, აჭარაში, თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში. ამ შემთხვევაში ძალიან რთულია და თითქმის შეუძლებელიც იმის გარკვევა, თუ რა ცვლილებებს გულისხმობენ რესპონდენტები, მაგრამ საერთო განწყობა ასეთია.

უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობის ცვლილების შეფასება მაინც შეიცავს ობიექტურობის ელემენტს - მასსა და ობიექტური მონაცემების დროით მწკრივებს შორის კავშირი მაინც არსებობს. მაგალითად, სოფლად მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ შინამეურნეობები ყველაზე ხშირად 2012, 2013 და 2014 წლებში აცხადებდნენ, შესაბამისად: 10, 12 და 16 პროცენტი. სწორედ ამ წლებში იყო სოფლად სიღარიბის შემცირების ტემპი ყველაზე მაღალი და სწორედ ეს წლები გამოირჩეოდა მთავრობის მიერ პროაქტუური სოციალური პოლიტიკით.

საშუალო კლასის რაოდენობრივი შეფასებისას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პარამეტრი თვითონ შინამეურნეობის მიერ საკუთარი მდგომარეობის ცვლილების მოლოდინია. შინამეურნეობების გამოკვლევის კითხვარები ამის შესაძლებლობასაც იძლევა.<sup>26</sup>

განაწილება აჩვენებს, რომ საქართველოს შინამეურნეობების საშუალო მოლოდინი მდგომარეობის გაუარესებისკენ არის წამრული, თუმცა რამდენადმე ნაკლებად, ვიდრე გასულ 12 თვეში მდგომარეობის ცვლილების საშუალო შეფასება აჩვენებდა (იხ.: დანართი 2).

**ცხრილი #33: მომავალ 12 თვეში საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მოლოდინი 2009-2017 წლებში საშუალო კლასის პარამეტრებთან შესაბამისობის მიხედვით (პროცენტი)**

		გაუარესდება	არ შეიცვლება	გაუმჯობესდება	არ ვიცი	სულ
შინამეურნეობები, რომლებიც აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50 პროცენტზე ნაკლებს	2009	15.5%	23.4%	11.1%	50.0%	100.0%
	2010	12.0%	24.3%	10.1%	53.6%	100.0%
	2011	15.3%	20.4%	7.2%	57.2%	100.0%
	2012	12.9%	18.2%	9.7%	59.2%	100.0%
	2013	5.8%	19.6%	16.3%	58.4%	100.0%
	2014	5.6%	22.0%	12.1%	60.4%	100.0%
	2015	10.3%	22.6%	7.3%	59.8%	100.0%
	2016	12.6%	23.8%	6.2%	57.3%	100.0%
	2017	19.2%	29.7%	6.7%	44.4%	100.0%
შინამეურნეობები, რომლებიც აკმაყოფილებენ საშუალო კლასის პარამეტრების 50-75 პროცენტს	2009	11.7%	22.5%	15.9%	49.9%	100.0%
	2010	11.3%	23.2%	14.9%	50.6%	100.0%
	2011	13.1%	20.6%	12.3%	54.0%	100.0%
	2012	10.9%	20.9%	14.1%	54.1%	100.0%
	2013	5.2%	21.1%	18.3%	55.4%	100.0%
	2014	5.6%	25.5%	13.1%	55.8%	100.0%
	2015	10.2%	28.2%	9.3%	52.3%	100.0%
	2016	10.2%	27.0%	9.1%	53.7%	100.0%
	2017	14.2%	33.9%	9.0%	42.9%	100.0%
ქვედა საშუალო კლასის შინამეურნეობები	2009	8.8%	20.6%	21.5%	49.1%	100.0%
	2010	10.9%	25.7%	17.2%	46.2%	100.0%
	2011	11.3%	24.8%	15.2%	48.7%	100.0%
	2012	6.6%	27.0%	16.7%	49.8%	100.0%
	2013	4.0%	23.4%	23.4%	49.2%	100.0%
	2014	3.1%	25.9%	20.8%	50.2%	100.0%
	2015	6.9%	31.6%	17.2%	44.3%	100.0%
	2016	8.1%	31.9%	10.6%	49.4%	100.0%
	2017	11.7%	35.1%	15.3%	37.9%	100.0%

<sup>26</sup> შინამეურნეობები საწყის ინტერვიუში აფასებენ მომავალი 12 თვის მანძილზე საკუთარსოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მოსალოდნელ ცვლილებას. პასუხების საიმედოობის გაზრდის მიზნით კითხვაზე მოსალოდნელი 6 პასუხი გაკამათებული 4-მდე:

1. გაუარესდება - არსებითად ან მცირედ;
2. უცვლელი დარჩება;
3. გაუმჯობესდება - არსებითად მცირედ;
4. მიმწელებდა პასუხის გაცემა.

		გაუარესდება	არ შეიცვლება	გაუმჯობესდება	არ ვიცი	სულ
შუა საშუალო კლასის შინამეურნეობები	2009	4.4%	22.9%	22.2%	50.5%	100.0%
	2010	7.8%	21.1%	17.0%	54.1%	100.0%
	2011	8.2%	20.8%	15.7%	55.3%	100.0%
	2012	3.5%	40.9%	19.0%	36.6%	100.0%
	2013	4.3%	29.1%	23.8%	42.8%	100.0%
	2014	6.1%	30.2%	20.5%	43.2%	100.0%
	2015	8.9%	31.1%	19.6%	40.4%	100.0%
	2016	8.7%	35.4%	16.4%	39.5%	100.0%
ზედა საშუალო კლასის შინამეურნეობები	2009	7.6%	26.9%	11.9%	53.5%	100.0%
	2010	6.3%	19.3%	16.9%	57.5%	100.0%
	2011	1.8%	36.3%	24.8%	37.1%	100.0%
	2012	2.9%	40.0%	30.1%	27.0%	100.0%
	2013	4.6%	30.3%	29.6%	35.5%	100.0%
	2014	3.3%	38.1%	30.7%	27.9%	100.0%
	2015	7.2%	27.9%	25.0%	39.9%	100.0%
	2016	4.2%	36.6%	13.5%	45.7%	100.0%
საშუალო კლასის შინამეურნეობები, სულ	2009	9.0%	24.6%	19.1%	47.2%	100.0%
	2010	9.0%	23.1%	17.6%	50.3%	100.0%
	2011	8.2%	23.7%	15.8%	52.4%	100.0%
	2012	8.0%	29.9%	15.4%	46.7%	100.0%
	2013	4.9%	19.4%	24.7%	51.0%	100.0%
	2014	2.3%	26.0%	20.2%	51.4%	100.0%
	2015	6.7%	29.4%	16.2%	47.7%	100.0%
	2016	6.3%	29.4%	16.4%	47.9%	100.0%
საშუალო კლასის ზემოთ	2009	13.4%	23.1%	13.7%	49.8%	100.0%
	2010	11.5%	24.0%	12.2%	52.4%	100.0%
	2011	13.7%	21.1%	9.9%	55.3%	100.0%
	2012	11.1%	21.6%	12.3%	55.0%	100.0%
	2013	5.3%	21.0%	18.7%	55.0%	100.0%
	2014	5.1%	24.4%	14.8%	55.7%	100.0%
	2015	9.4%	26.2%	11.0%	53.4%	100.0%
	2016	10.4%	27.3%	9.3%	53.0%	100.0%
ქვეყანაში, სულ	2009	15.5%	23.4%	11.1%	50.0%	100.0%
	2010	12.0%	24.3%	10.1%	53.6%	100.0%
	2011	15.3%	20.4%	7.2%	57.2%	100.0%
	2012	12.9%	18.2%	9.7%	59.2%	100.0%
	2013	5.8%	19.6%	16.3%	58.4%	100.0%
	2014	5.6%	22.0%	12.1%	60.4%	100.0%
	2015	10.3%	22.6%	7.3%	59.8%	100.0%
	2016	12.6%	23.8%	6.2%	57.3%	100.0%
2017	19.2%	29.7%	6.7%	44.4%	100.0%	

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ

მდგომარეობის ცვლილების საშუალო შეფასების გაანგარიშებისთვის ზემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემული განაწილება გადავიანგარიშეთ შემდეგი გზით:

1. მდგომარეობის გაუარესების შეფასებას მიენიჭა რეიტინგი -1;
2. მდგომარეობის უცვლელობას - 0;
3. მდგომარეობის გაუმჯობესებას - +1;
4. გაურკვეველი შეფასება, ანუ როდესაც რესპონდენტს გაუჭირდა კითხვაზე


პასუხის გაცემა ან შეფასებაში არ მონაწილეობდა. ანუ ასეთი რესპონდენტების წილი პროპორციულად გადავანაწილეთ იმ რესპონდენტებზე, რომლებმაც მოახერხეს მოლოდინის გამოხატვა. ამგვარი მიდგომა სრულიად მისაღებია საშუალო მოლოდინის ვექტორის გასანაგარიშებლად. თუმცა მსგავსი რესპონდენტების ხვედრითი წონა ცალკე ანალიზის საგანია. რაც უფრო მაღალია მათი წილი, მით უფრო დაბალია საზოგადოების ადეკვატური ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხი. ანუ ამ ტიპის რესპონდენტებს მომავლის მოდელი არ გააჩნიათ და, აქედან გამომდინარე, ცვლილების მოლოდინის შეფასებაც უჭირთ. ამგვარი შინამეურნეობების წილი კი ძალიან მაღალია. მართალია, 2017 წელს მათი წილის მინიმუმი, 42 პროცენტი, იყო, მაგრამ ეს მაინც ძალიან მაღალი მაჩვენებელია, რაც სტაბილურობის ძალიან დაბალი ხარისხის ნიშანია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წინა წლებში ასეთი შინამეურნეობების წილი 55 პროცენტსაც აღწევდა.

შესაბამისი წილების ამ კოეფიციენტებზე გადამრავლებისა და შეჯამების გზით მივიღეთ მდგომარეობის ცვლილების სუბიექტური შეფასების საშუალო მაჩვენებელი, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს -1-დან +1-მდე, "-1" მნიშვნელობა მიიღება მაშინ, თუ ყველა შინამეურნეობა აცხადებს მდგომარეობის გაუარესებას, "+1" მნიშვნელობა მიიღება მაშინ, თუ ყველა შინამეურნეობა აცხადებს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოლოდინის საშუალო შეფასების ტენდენცია ზუსტად ემთხვევა საშუალო კლასის პარამეტრებთან შესაბამისობის გრადაციას: რაც უფრო მაღალია საშუალო კლასთან შესაბამისობა, მით უფრო საშუალოდ პოზიტიურია მდგომარეობის ცვლილების მოლოდინი.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ როგორც ქვედა, ისე შუა და ზედა საშუალო კლასის შინამეურნეობების საშუალო მოლოდინი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა წამრული. უფრო მეტად პოზიტიურია საშუალოზე მაღალი კლასის შინამეურნეობების მოლოდინი, ეს კიდევ ერთხელ და ზუსტად აჩვენებს იმას, რომ საშუალო კლასი არის საზოგადოების სოციალური სტაბილურობის გარანტი. ანუ საზოგადოების სტაბილურობაზე საუბარი შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ჩვენი გაანგარიშებული საშუალო კლასის შინამეურნეობათა ხვედრითი წონის მაჩვენებელი მინიმუმ 50 პროცენტს მიაღწევს.

**დიაგრამა #49: მომავალ 12 თვეში შინამეურნეობების მიერ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მოლოდინის ვექტორი 2017 წელს**



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, დამუშავებული ავტორთა მიერ  
 ამ გაანგარიშებებით მდგომარეობის ცვლილების მოლოდინის საშუალო შეფასება 2017 წელს ოდნავ უარყოფითსკენ არის წამრული - 0.088 (შეგახსენებთ მინიმალური მნიშვნელობა არის -1). რეგიონების და ქალაქისა და სოფლის მიხედვით მდგომარეობის ცვლილების საშუალო



შეფასება განსხვავებულია. მდგომარეობის ცვლილების უარყოფითი მოლოდინი სხვებთან შედარებით მაღალია კახეთში, თბილისში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. მდგომარეობის თითქმის უცვლელი მოლოდინი აქვთ ქვემო ქართლში, აჭარასა და სამეგრელოში. მომავალ წველაზე ოპტიმისტურად გურიაში უყურებენ, ხოლო თითქმის უცვლელი ან სულ ოდნავ გაუმჯობესების მოლოდინი აქვთ ქვემო ქართლში.

## ძირითადი მიგნებები

1. 9 კრიტერიუმით, ანუ დასაქმების ფაქტორის ჩათვლით, საშუალო კლასს მიკუთვნებული შინამეურნეობების ხვედრითი წონა 2016 წელს 16 პროცენტს შეადგენდა. აქედან ქვედა საშუალო კლასს 7.4 პროცენტი განეკუთვნებოდა, შუა საშუალო კლასს - 5.4 პროცენტი, ხოლო ზედა საშუალო კლასს - მხოლოდ 3.3 პროცენტი.
2. 2009-2016 წლებში 9 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასის ხვედრითი წონა საქართველოში 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, რაც უდავოდ დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.
3. განსაკუთრებით სწრაფად 2009-2016 წლებში ზედა საშუალო კლასის ხვედრითი წონა გაიზარდა - თითქმის 5-ჯერ. ერთობ მკვეთრი იყო შუა საშუალო კლასის მატების ტემპიც - თითქმის 3-ჯერ. ქვედა საშუალო კლასი დაახლოებით 60 პროცენტით გაიზარდა.
4. საშუალო კლასის შინამეურნეობათა პროცენტული წილი 2009-2016 წლებში იმ შინამეურნეობების შემცირების ხარჯზე იზრდებოდა, რომლებიც საშუალო კლასის კრიტერიუმების 75 პროცენტზე ნაკლებს აკმაყოფილებენ, ანუ მას არ განეკუთვნებიან. ეს არის ფართო და მოწყვეტილი სოციალური ჯგუფი, რომელიც უფრო ახლოსაა ღარიბებთან, ვიდრე საშუალო კლასთან, თუმცა მკაცრი კრიტერიუმებით არც ღარიბებს არ განეკუთვნება.
5. ქალაქში საშუალო კლასის ხვედრითი წონა 2009-2016 წლებში გაორმაგდა, სოფლად კი თითქმის გასამმაგდა. ქალაქში საშუალო კლასის ზრდა 2016 წელს დამუხრუჭდა, რაც შეიძლება ეპიზოდური მოვლენა იყოს.
6. ქალაქში 9 კრიტერიუმით შეფასებული საშუალო კლასის ხვედრითი წონა, როგორც წესი, ბევრად მაღალია სოფელთან შედარებით, თუმცა ეს განსხვავება ბოლო წლებში შემცირდა. დასაქმების პარამეტრის დამატება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სოფლად საშუალო კლასის შინამეურნეობების ხვედრითი წონის მაჩვენებელზე.
7. 9 პარამეტრის მიხედვით, საშუალო კლასის ხვედრითი წონა ყველაზე მაღალი დედაქალაქშია (31.4 პროცენტი), სადაც ეს მაჩვენებელი 2009-2016 წლებში თითქმის ორჯერ გაიზარდა. მეორე ადგილზეა აჭარა (16.7 პროცენტი), სადაც საშუალო კლასის ხვედრითი წონის მატების ტემპი დაახლოებით იგივეა, რაც თბილისში. მესამე ადგილი ქვემო ქართლმა დაიკავა (12 პროცენტი), თუმცა ამ რეგიონში აღნიშნული მაჩვენებელი სამჯერ და მეტად გაიზარდა.
8. 8 კრიტერიუმით, ანუ დასაქმების ფაქტორის გარეშე, საშუალო კლასს მიკუთვნებული შინამეურნეობების ხვედრითი წონა 2017 წელს 24.6 პროცენტი იყო. აქედან ქვედა საშუალო კლასს დაახლოებით 11 პროცენტი განეკუთვნებოდა, შუა საშუალო კლასს - 8.3 პროცენტი, ხოლო ზედა საშუალო კლასს - მხოლოდ 5.4 პროცენტი.
9. 2009-2017 წლებში, 8 პარამეტრის მიხედვით, საშუალო კლასის ხვედრითი წონა 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.
10. განსაკუთრებით სწრაფად 2009-2017 წლებშიც ზედა საშუალო კლასის ხვედრითი წონა გაიზარდა - თითქმის 7-ჯერ. ერთობ მკვეთრი იყო შუა საშუალო კლასის მატების ტემპიც - თითქმის 3-ჯერ. ქვედა საშუალო კლასი დაახლოებით 65 პროცენტით გაიზარდა.
11. საშუალო კლასის შინამეურნეობათა პროცენტული წილი 2009-2017 წლებშიც იმ შინამეურნეობების შემცირების ხარჯზე იზრდებოდა, რომლებიც საშუალო კლასის კრიტერიუმების 75 პროცენტზე ნაკლებს აკმაყოფილებენ ანუ მას არ განეკუთვნებიან.
12. 8 კრიტერიუმის მიხედვითაც, საშუალო კლასის ხვედრითი წონა ქალაქში 2009-2017 წლებში გაორმაგდა, სოფლად კი თითქმის გასამმაგდა. აღსანიშნავია, რომ სოფლად საშუალო კლასის ზრდა 2016-2017 წლებში დამუხრუჭდა.
13. ამ შემთხვევაშიც ქალაქში საშუალო კლასის ხვედრითი წონა, როგორც წესი, ბევრად მაღალია სოფელთან შედარებით, თუმცა ბოლო წლებში ეს განსხვავება შემცირდა.
14. 8 პარამეტრის მიხედვითაც, საშუალო კლასის ხვედრითი წონა ყველაზე მაღალი კვლავ დედაქალაქშია (38.6 პროცენტი), სადაც ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლებში თითქმის გაორმაგდა. მეორე ადგილზეა აჭარა (25.1 პროცენტი), სადაც საშუალო კლასის

ხვედრითი წონის მატების ტემპი დაახლოებით იგივეა, რაც თბილისში. მესამე ადგილი ქვემო ქართლის რეგიონმა დაიკავა (22.2 პროცენტი), თუმცა ამ რეგიონში აღნიშნული მაჩვენებელი სამჯერ და მეტად გაიზარდა.

15. 2017 წელს, 8 კრიტერიუმის მიხედვით, საშუალო კლასს მიკუთვნებული ოჯახი 3.9 სულისგან შედგებოდა და მისი ზომა, 2009 წელთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა. ქვედა საშუალო კლასის შინამეურნეობების ზომა 2009-2017 წლებში გარკვეულ მერყეობას ავლენდა და პერიოდის ბოლოს 3.7 სული შეადგინა. შუა საშუალო კლასის ზომა, 2009 წელთან შედარებით, ფაქტობრივად უცვლელია. რაც შეეხება ზედა საშუალო კლასს, მისი ზომა 2009-2017 წლებში საგრძნობლად - 4.5-დან 4.1-მდე შემცირდა.
16. 8 კრიტერიუმით, საშუალო კლასის შინამეურნეობები, როგორც წესი, არსებითად (საშუალოდ დაახლოებით 1.8-ჯერ) უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე საშუალოზე მაღალი კლასის შინამეურნეობები.
17. საშუალო კლასს მიკუთვნებული მოსახლეობის საშუალო ასაკი 2017 წელს თითქმის 37 წელს შეადგენდა, რაც ოდნავ ნაკლებია 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამასთან, საშუალო კლასს მიკუთვნებული მოსახლეობის საშუალო ასაკი არსებითად ჩამორჩებოდა ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკს (38.5 წელი), მაშინ, როდესაც საშუალოზე მაღალ კლასს მიკუთვნებული მოსახლეობის ანალოგიური მაჩვენებელი (41.4 წელი) ბევრად აღემატებოდა ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკს.
18. 8 პარამეტრის მიხედვითაც, საშუალო კლასსა და მასზე მაღალ კლასს მიკუთვნებული მოსახლეობის ასაკობრივმა სხვაობამ 2017 წელს 4.5 წელი შეადგინა, რაც ოდნავ მეტია 2009 წლის მონაცემზე.
19. კეთილდღეობის სუბიექტური ზღვარი, 2017 წლის მონაცემებით, ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით, თვეში 1265 ლარი იყო. ეს მაჩვენებელი 2009-2017 წლებში განუხრელი ზრდის ტენდენციას ავლენდა და ამ პერიოდში 1.5-ჯერ გაიზარდა.
20. რაც უფრო მაღალია შინამეურნეობის შესაბამისობა საშუალო კლასის პარამეტრებთან, მით უფრო მაღალია კეთილდღეობის სუბიექტური ზღვარი.
21. 8 კრიტერიუმით შინამეურნეობების, მათ შორის, საშუალო კლასის ოჯახების საშუალოდ 80 პროცენტი მათ მიერ ფულადი განზომილებით გამოხატულ კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტთან შედარებით ნაკლებს მოიხმას. 2009-2017 წლებში ეს მაჩვენებელი არასტაბილურ ტენდენციას ავლენდა და საშუალოდ 78.3 პროცენტი იყო. უშუალოდ საშუალო კლასის შინამეურნეობებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 77 პროცენტი იყო, ანუ საგრძნობლად ჩამორჩებოდა საშუალო მაჩვენებელს.
22. კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტთან შედარებით, ფაქტობრივი მოხმარების ნაკლებობა განსაკუთრებით ზედა საშუალო კლასის შინამეურნეობებში შეიმჩნეოდა - 74 პროცენტი, მაშინ, როდესაც შუა საშუალო კლასისთვის ეს მაჩვენებელი 78 პროცენტია, ხოლო ქვედა საშუალო კლასისთვის კი - 77.
23. რაც უფრო მაღალია შინამეურნეობის საშუალო კლასთან შესაბამისობა, მით უფრო საშუალოდ პოზიტიურია სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების სუბიექტური შეფასება. მდგომარეობის ცვლილებას გასულ 12 თვეში 2017 წელს ყველაზე უარყოფითად 8 კრიტერიუმით განსაზღვრული ქვედა საშუალო კლასი აფასებს. შუა და ზედა საშუალო კლასის განწყობა გაცილებით პოზიტიურია, თუმცა უარყოფითი.
24. სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების მიმართ საშუალო კლასის განწყობები გაცილებით უფრო პოზიტიურია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში და ქალაქის/სოფლის მიხედვით.
25. რაც უფრო მაღალია შინამეურნეობის საშუალო კლასთან შესაბამისობა, მით უფრო საშუალოდ პოზიტიურია სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მოლოდინი.
26. 8 კრიტერიუმით შეფასებული როგორც ქვედა, ისე შუა და ზედა საშუალო კლასის შინამეურნეობების საშუალო მოლოდინი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა წაძრული. უფრო მეტად პოზიტიურია საშუალოზე მაღალი კლასის შინამეურნეობების მოლოდინი.

## დასკვნა

საშუალო კლასის ხვედრითი წონის ზრდა ქვეყნის სტაბილური განვითარების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. საზოგადოება სოციალურად სტაბილურად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მასში საშუალო კლასის ხვედრითი წონა მინიმუმ 50 პროცენტზე მეტია. სხვა შემთხვევაში საქმე პოლარიზებულ საზოგადოებასთან გვექნება, რომელიც სოციალური რყევებისკენაა მიდრეკილი და დესტრუქციულ მუხტს ატარებს. ჩვენი შემოთავაზებული მიდგომით, საშუალო კლასის ხვედრითი წონა საქართველოში ცხრა კრიტერიუმით მხოლოდ 16 პროცენტს შეადგენდა (2016 წელი), ხოლო რვა კრიტერიუმით - 24.6 პროცენტს (2017 წელი). ანუ დასაქმების პროფილის გათვალისწინების გარეშეც კი, საქართველოში საშუალო კლასის შინამეურნეობათა ხვედრითი წონა გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის სტაბილურობისათვის აუცილებელი მინიმუმის დაახლოებით ნახევარს შეადგენს. ამასთან, მთლიანად საშუალო კლასის თითქმის 45 პროცენტი სოციო-ეკონომიკურად ნაკლებად მდგრადი - ქვედა საშუალო კლასია.

წინამდებარე კვლევამ ისიც აჩვენა, რომ როგორც 9, ისე 8 კრიტერიუმით იდენტიფიცირებული საშუალო კლასი საქართველოში 2009-2017 წლებში ორჯერ და მეტად გაიზარდა, რაც ორივე შემთხვევაში მეტწილად შედარებით მდგრადი - ზედა და შუა საშუალო კლასის მკვეთრი ზრდის ხარჯზე მოხდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, თუმცა მათ საზოგადოება ყოველთვის პრობლემატურად არ აღიქვამს, რაც ამ ცვლილებების ხშირად სპონტანური თუ არათანმიმდევრული ხასიათით შეიძლება აიხსნას. იმისათვის, რომ საშუალო კლასის ზრდის დადებითი ტენდენცია არ შეზღუდვას, საჭიროა დიდი პოლიტიკური ძალისხმევა, რომელიც ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ესენია:

- ეკონომიკური მდგენელი - ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა, შემოსავლების და დანაზოგების გენერირება;
- ინფრასტრუქტურული მდგენელი - საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, საბაზისო ინფრასტრუქტურის და ხანგრძლივი მოხმარების საგნების წვდომა;
- სოციალური მდგენელი - განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სოციალური მომსახურების წვდომა;
- ინფორმაციული მდგენელი - განწყობების მართვა და მოლოდინის ჩამოყალიბება.

შესაბამისად, აუცილებელია მიზანმიმართული და იმავდროულად სინქრონული ღონისძიებების განხორციელება ოთხივე მიმართულებით, რომლებიც იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთი მათგანის ჩავარდნა დომინოს პრინციპით გამოიწვევს დანარჩენების ჩავარდნას.

- ეკონომიკური მიმართულებით რეალურად უნდა ამოქმედდეს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის სტრატეგია, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ორიენტირებული იქნება სამუშაო ადგილების, შემოსავლების და დანაზოგების გენერირებაზე. არსებული ოფიციალური დაუკუმენტი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, ფაქტობრივად, არ მოქმედებს. მთავრობამ იგი ერთობ დეკლარაციული ოთხპუნქტიანი გეგმით ჩაანაცვლა. სტრატეგია უნდა იყოს გაწერილი დროსა და სივრცეში და უნდა მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების ზომვად მაჩვენებლებს;
- ინფრასტრუქტურული მიმართულებით - ხელისუფლებამ, პირველ რიგში, დეტალურად უნდა შეისწავლოს ბაზისურ ინფრასტრუქტურაზე შინამეურნეობათა მისაწვდომობა და მხოლოდ მასზე დაფუძნებით შემომუშაოს შესაბამისი სტრატეგია, რომლის შედეგადაც აუცილებელი წინაპირობა ამ შემთხვევაშიც ღრმა დეტალიზაცია და მონიტორინგისა და შეფასების ზომვადი მაჩვენებლებია;
- სოციალური მიმართულებით - პირველ რიგში აუცილებელია სოციალურ მომსახურებაზე მისაწვდომობის ქმედითი სისტემის შექმნა, რისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სასკოლო და სკოლის შემდგომი განათლების მისაწვდომობის უზრუნველყოფა; პრევენციული ჯანდაცვის ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამის განხორციელება; მისამართული სოციალური დახმარების არსებული ფორმატის რეორგანიზაცია;
- საინფორმაციო მიმართულებით - მიზანშეწონილია გაიზარდოს ხელისუფლების კომუნიკაციური სტრატეგიის ეფექტიანობა. წინამდებარე ანალიზმა აჩვენა, რომ ბოლო წლებში ჩამოყალიბებული არაერთი დადებითი ტენდენცია საერთოდ ამოვარდა

საინფორმაციო სივრციდან. მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მოსახლეობასთან და მასმედიასთან ურთიერთობის ქმედითი ფორმატი, რათა მოსახლეობას მიაწოდოს ობიექტური და არგუმენტირებული ინფორმაცია არსებული ტენდენციების შესახებ.

როგორც წინამდებარე ანალიზმა აჩვენა, საშუალო კლასის ხვედრითი წონის ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავება, რომელიც აქტუალურია თითქმის ყველა შერჩეული პარამეტრისათვის. ამდენად, ზემოხსენებული მიმართულებებით სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია ამ ფაქტორის გათვალისწინება. ქალაქ-სოფლის ნიშანი არის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების უპირველესი დისკრიმინანტი, რომელიც განაპირობებს სოფლების დეპოპულაციას და მაღალ ურბანიზაციას. ამდენად, ზემოხსენებული მიმართულებებიდან შესაძლებელი უნდა იყოს ცალკე სოფლის (და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის) განვითარების სტრატეგიის შემუშავება.


## გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე. 1995. პოლიტიკა. ნაწილი პირველი. თამარ კუკავას თარგმანი. თბილისი.
2. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). 2018. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017. თბილისი. <http://unicef.ge>
3. კაკულია მ., კაკანაძე ნ., ქურხული ლ., ლომჯარია ვ. 2016. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში. რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
4. კაკულია, მ., კაკანაძე ნ., ქურხული ლ. 2017. ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა. რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
5. პაპავა, ვ. 2017. საქართველოს ეკონომიკა - ოპტიმიზმიდან პრიმიტივიზმამდე. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფონდის ექსპერტის მოსაზრება. № 75. თბილისი. რონდელის ფონდი. <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/75-expert-opinion-geo.pdf>
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზები. <http://www.geostat.ge/?action=meurneoba&mpid=1&lang=geo>
7. Asian Development Bank (ADB). 2010. The rise of Asia's Middle Class. <https://www.adb.org/sites/default/files/publication/27726/special-chapter-02.pdf>
8. Banerjee, A., and E. Duflo. 2008. What is Middle-Class About the Middle-Classes Around the World? *Journal of Economic Perspectives* 22(2):3–28.
9. Birdsall, N. 2007. Reflections on the Macro Foundation of the Middle-Class in the Developing World. Center for Global Development Working Paper 130. Washington, DC.
10. Birdsall, N., C. Graham, and S. Pettinato. 2000. Stuck in a Tunnel: Is Globalization Muddling the Middle? Working Paper 14. Brookings Institution Center. Washington, DC.
11. Chen, S., and M. Ravallion. 2010. The Developing World is Poorer Than We Thought, But No Less Successful in the Fight Against Poverty. *Quarterly Journal of Economics* 125(4):1577–625.
12. Chun, N. 2010. Middle Class Size in the Past, Present, and Future: A Description of Trends in Asia. ADB Economics Working Paper Series No. 217. Economics and Research Department. Asian Development Bank. Manila.
13. Chun, Natalie, Rana Hasan, and Mehmet Ulubasoglu. 2011. The Role of the Middle Class in Economic Development. ADB Working Paper # 245. <https://www.adb.org/sites/default/files/publication/28751/economics-wp245.pdf>
14. De la Torre Augusto, Jamele Rigolini. 2010. MIC Forum: The Rise of the Middle Class. The World Bank. <http://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/document/MIC-Forum-Rise-of-the-Middle-Class-SM13.pdf>
15. Easterly, W. 2001. Middle-Class Consensus and Economic Development. *Journal of Economic Growth* 6(4):317–35.
16. International Monetary Fund. Implied PPP conversion rate. National Currency per international dollar. <http://www.imf.org/external/datamapper/PPPEX@WEO/OEMDC/ADVEC/WEOORLD>
17. Kharas, H. 2010. The Emerging Middle-Class in Developing Countries. OECD Development Centre Working Paper No. 285. Organisation for Economic Co-operation and Development. Paris.
18. Kharas, H. 2017. The Unpredicted Expansion of the Global Middle Class. An Update. *Global Economy & Development Working Paper 100*. Global Economy and development in Brookings.
19. Milanovic, B., and S. Yitzhaki. 2002. Decomposing World Income Distribution: Does the World Have a Middle-Class? *Review of Income and Wealth* 48(2):155–78.

20. Pressman, S. 2015. Defining and Measuring the Middle Class. Working Paper 007, American Institute for economic Research. <https://www.aier.org/sites/default/files/Files/Documents/Standard/WP007>
21. Ravallion, M. 2009. Why Don't We See Poverty Convergence? World Bank Policy Research Paper No. 4974. Washington, DC.
22. Ravallion, M. 2010. The Developing World's Bulging (but Vulnerable) Middle-Class. *World Development* 38(4):445-54.
23. The World Bank. PPP conversion factor, GDP (LCU per international \$). <https://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.PPP>
24. Wolff, Edward N. 2012. *The Asset Price Meltdown and the Wealth of the Middle Class*. New York University.

# დანართი 1

მსყიდველობითი უნარის პარიტეტით აშშ დოლარის მიმართ ლარის კონვერსიისა და აშშ დოლარი/ლარი ნომინალური გაცვლითი კურსების დინამიკა



წყარო: World Bank



## დანართი 2

### შინამეურნეობების მიერ გასულ 12 თვეში საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შეფასება, რეგიონებისა და ქალაქი/სოფლის მიხედვით

		გაუარესდა	უცვლელია	გაუმჯობესდა	სულ
კახეთი	2009	55.7%	36.2%	8.1%	100.0%
	2010	55.3%	37.2%	7.6%	100.0%
	2011	57.8%	36.4%	5.9%	100.0%
	2012	55.2%	37.3%	7.4%	100.0%
	2013	42.4%	44.1%	13.5%	100.0%
	2014	33.1%	50.7%	16.1%	100.0%
	2015	38.5%	50.3%	11.2%	100.0%
	2016	46.0%	47.7%	6.4%	100.0%
თბილისი	2009	45.0%	47.4%	7.6%	100.0%
	2010	47.1%	46.1%	6.9%	100.0%
	2011	49.0%	44.4%	6.6%	100.0%
	2012	43.9%	50.2%	6.0%	100.0%
	2013	31.2%	61.0%	7.8%	100.0%
	2014	29.6%	63.9%	6.5%	100.0%
	2015	35.7%	58.6%	5.7%	100.0%
	2016	35.8%	56.7%	7.5%	100.0%
შიდა ქართლი	2009	61.2%	30.8%	8.0%	100.0%
	2010	62.4%	30.9%	6.7%	100.0%
	2011	65.1%	29.4%	5.4%	100.0%
	2012	47.8%	41.2%	10.9%	100.0%
	2013	35.4%	56.8%	7.7%	100.0%
	2014	35.6%	55.6%	8.8%	100.0%
	2015	50.2%	46.1%	3.7%	100.0%
	2016	59.4%	35.1%	5.6%	100.0%
ქვემო ქართლი	2009	52.3%	44.7%	3.0%	100.0%
	2010	36.8%	44.1%	19.1%	100.0%
	2011	37.4%	52.0%	10.6%	100.0%
	2012	39.5%	49.4%	11.0%	100.0%
	2013	38.3%	51.2%	10.5%	100.0%
	2014	26.5%	61.7%	11.9%	100.0%
	2015	22.5%	63.6%	13.9%	100.0%
	2016	37.5%	57.5%	4.9%	100.0%
სამცხე-ჯავახეთი	2009	35.8%	60.0%	4.2%	100.0%
	2010	43.5%	51.7%	4.8%	100.0%
	2011	58.9%	33.8%	7.4%	100.0%
	2012	53.6%	38.1%	8.2%	100.0%
	2013	55.3%	37.4%	7.3%	100.0%
	2014	41.6%	45.9%	12.5%	100.0%
	2015	42.3%	46.5%	11.2%	100.0%
	2016	30.2%	50.2%	19.5%	100.0%
სამცხე-ჯავახეთი	2015	39.1%	47.1%	13.8%	100.0%
	2016	53.9%	42.1%	3.9%	100.0%
სამცხე-ჯავახეთი	2017	46.3%	49.0%	4.7%	100.0%

		გაუარესდა	უცვლელია	გაუმჯობესდა	სულ
აჭარა	2009	39.0%	43.2%	17.8%	100.0%
	2010	36.7%	54.0%	9.3%	100.0%
	2011	30.9%	61.0%	8.1%	100.0%
	2012	23.3%	66.9%	9.7%	100.0%
	2013	17.4%	71.9%	10.7%	100.0%
	2014	14.8%	71.7%	13.5%	100.0%
	2015	19.3%	70.7%	10.0%	100.0%
	2016	11.4%	83.5%	5.2%	100.0%
გურია	2009	38.3%	49.7%	12.0%	100.0%
	2010	41.5%	46.5%	12.0%	100.0%
	2011	43.4%	46.9%	9.7%	100.0%
	2012	42.1%	47.9%	10.0%	100.0%
	2013	27.7%	58.4%	13.9%	100.0%
	2014	23.2%	59.7%	17.0%	100.0%
	2015	31.1%	56.3%	12.6%	100.0%
	2016	36.0%	56.7%	7.4%	100.0%
სამეგრელო	2009	33.1%	57.8%	9.1%	100.0%
	2010	40.1%	43.7%	16.2%	100.0%
	2011	39.4%	51.3%	9.2%	100.0%
	2012	42.0%	49.3%	8.7%	100.0%
	2013	36.4%	52.5%	11.1%	100.0%
	2014	27.1%	60.3%	12.5%	100.0%
	2015	18.0%	70.5%	11.5%	100.0%
	2016	30.7%	58.2%	11.1%	100.0%
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	2009	51.2%	40.4%	8.4%	100.0%
	2010	49.4%	46.1%	4.5%	100.0%
	2009	39.6%	50.5%	9.9%	100.0%
	2010	41.4%	50.1%	8.5%	100.0%
	2011	41.5%	49.7%	8.8%	100.0%
	2012	34.8%	56.5%	8.7%	100.0%
	2013	26.4%	64.4%	9.2%	100.0%
	2014	24.1%	63.1%	12.8%	100.0%
მცხეთა-მთიანეთი	2015	41.7%	52.4%	5.8%	100.0%
	2016	50.3%	44.3%	5.4%	100.0%
	2017	51.2%	43.3%	5.5%	100.0%
	2009	45.3%	45.6%	9.1%	100.0%
	2010	50.3%	41.0%	8.7%	100.0%
	2011	53.3%	37.3%	9.4%	100.0%
	2012	48.5%	40.0%	11.4%	100.0%
	2013	34.7%	51.7%	13.7%	100.0%
2014	20.0%	57.5%	22.5%	100.0%	
2015	31.4%	57.4%	11.2%	100.0%	
2016	39.3%	55.1%	5.6%	100.0%	
2017	30.7%	61.2%	8.2%	100.0%	

		გაუარესდა	უცვლელია	გაუმჯობესდა	სულ
ქალაქში, სულ	2009	45.1%	45.1%	9.8%	100.0%
	2010	47.8%	44.5%	7.7%	100.0%
	2011	47.2%	45.5%	7.3%	100.0%
	2012	39.7%	52.8%	7.6%	100.0%
	2013	29.3%	61.8%	8.9%	100.0%
	2014	27.6%	64.4%	8.0%	100.0%
	2015	37.6%	56.3%	6.1%	100.0%
	2016	40.2%	53.7%	6.2%	100.0%
სოფლად, სულ	2009	44.6%	43.1%	12.3%	100.0%
	2010	43.5%	47.6%	8.8%	100.0%
	2011	46.5%	45.2%	8.3%	100.0%
	2012	41.5%	48.4%	10.0%	100.0%
	2013	31.0%	57.5%	11.5%	100.0%
	2014	24.1%	60.1%	15.7%	100.0%
	2015	35.1%	55.7%	9.2%	100.0%
	2016	43.2%	50.5%	6.3%	100.0%
ქვეყანაში, სულ	2009	44.9%	44.1%	11.0%	100.0%
	2010	45.7%	46.1%	8.3%	100.0%
	2011	46.9%	45.3%	7.8%	100.0%
	2012	40.6%	50.6%	8.8%	100.0%
	2013	30.2%	59.6%	10.2%	100.0%
	2014	25.9%	62.2%	11.9%	100.0%
	2015	36.4%	56.0%	7.6%	100.0%
	2016	41.7%	52.1%	6.2%	100.0%
2017	40.2%	54.0%	5.9%	100.0%	

## დანართი 3

### მომავალ 12 თვეში საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მოლოდინი 2009-2017 წლებში, რეგიონებისა და ქალაქ/სოფლის მიხედვით

		გაუარესდება	არ შეიცვლება	გაუმჯობესდება	არ ვიცი	სულ
კახეთი	2009	17.1%	24.1%	7.6%	51.2%	100.0%
	2010	14.1%	23.6%	6.1%	56.1%	100.0%
	2011	12.8%	15.0%	7.1%	65.1%	100.0%
	2012	14.9%	14.7%	9.4%	61.0%	100.0%
	2013	5.5%	15.0%	18.9%	60.6%	100.0%
	2014	2.7%	18.9%	15.3%	63.0%	100.0%
	2015	5.2%	20.0%	11.2%	63.5%	100.0%
	2016	10.2%	21.5%	6.5%	61.9%	100.0%
	2017	15.9%	31.7%	5.6%	46.8%	100.0%
თბილისი	2009	12.0%	24.3%	10.8%	53.0%	100.0%
	2010	11.4%	24.9%	13.9%	49.7%	100.0%
	2011	15.5%	28.1%	9.8%	46.6%	100.0%
	2012	14.5%	34.1%	12.1%	39.2%	100.0%
	2013	7.8%	31.1%	19.1%	42.0%	100.0%
	2014	8.3%	39.1%	15.7%	36.9%	100.0%
	2015	12.8%	36.3%	14.7%	36.2%	100.0%
	2016	14.2%	43.0%	10.1%	32.7%	100.0%
	2017	17.2%	41.4%	7.8%	33.6%	100.0%
შიდა ქართლი	2009	19.1%	17.9%	11.0%	52.0%	100.0%
	2010	13.9%	15.9%	12.1%	58.2%	100.0%
	2011	16.4%	13.7%	6.8%	63.1%	100.0%
	2012	10.1%	10.4%	9.4%	70.0%	100.0%
	2013	4.1%	14.4%	8.5%	73.1%	100.0%
	2014	4.1%	11.8%	7.6%	76.4%	100.0%
	2015	9.6%	19.9%	5.1%	65.3%	100.0%
	2016	7.8%	10.0%	6.5%	75.7%	100.0%
	2017	16.4%	35.6%	6.2%	41.9%	100.0%
ქვემო ქართლი	2009	8.9%	19.2%	14.0%	57.9%	100.0%
	2010	10.2%	24.2%	11.9%	53.7%	100.0%
	2011	15.9%	17.9%	13.5%	52.7%	100.0%
	2012	16.4%	26.3%	9.2%	48.1%	100.0%
	2013	8.6%	26.5%	14.6%	50.3%	100.0%
	2014	7.4%	22.4%	12.3%	57.9%	100.0%
	2015	16.1%	24.3%	7.7%	51.9%	100.0%
	2016	11.5%	31.8%	7.1%	49.6%	100.0%
	2017	16.2%	35.4%	16.6%	31.8%	100.0%
სამცხე-ჯავახეთი	2009	20.7%	22.8%	11.9%	44.6%	100.0%
	2010	10.0%	17.0%	12.3%	60.6%	100.0%
	2011	5.4%	15.7%	11.6%	67.4%	100.0%
	2012	5.8%	19.6%	20.8%	53.7%	100.0%
	2013	3.7%	6.6%	27.4%	62.3%	100.0%
	2014	2.4%	9.3%	30.8%	57.5%	100.0%
	2015	6.7%	22.9%	16.8%	53.6%	100.0%
	2016	10.9%	24.7%	5.5%	59.0%	100.0%
	2017	11.8%	31.3%	6.1%	50.8%	100.0%

		გუარესდება	არ შეიცვლება	გაუმჯობესდება	არ ვიცი	სულ
აჭარა	2009	12.2%	26.8%	28.2%	32.9%	100.0%
	2010	10.9%	32.7%	14.5%	41.9%	100.0%
	2011	7.1%	19.2%	7.6%	66.2%	100.0%
	2012	2.6%	16.7%	8.6%	72.0%	100.0%
	2013	0.9%	16.5%	10.7%	71.9%	100.0%
	2014	2.2%	26.7%	7.6%	63.5%	100.0%
	2015	4.5%	27.4%	8.3%	59.8%	100.0%
	2016	1.0%	37.6%	4.2%	57.2%	100.0%
	2017	8.0%	30.8%	7.3%	53.8%	100.0%
გურია	2009	26.1%	34.7%	16.7%	22.5%	100.0%
	2010	28.5%	37.5%	18.1%	15.9%	100.0%
	2011	22.2%	43.9%	13.5%	20.4%	100.0%
	2012	12.4%	27.6%	24.6%	35.4%	100.0%
	2013	5.3%	24.5%	40.8%	29.4%	100.0%
	2014	7.8%	29.3%	27.7%	35.2%	100.0%
	2015	12.5%	28.8%	21.5%	37.2%	100.0%
	2016	6.8%	29.8%	20.0%	43.4%	100.0%
	2017	7.4%	27.3%	16.5%	48.7%	100.0%
სამეგრელო	2009	12.2%	27.1%	22.7%	37.9%	100.0%
	2010	9.1%	26.7%	15.3%	48.9%	100.0%
	2011	16.5%	28.5%	12.7%	42.2%	100.0%
	2012	8.9%	15.5%	19.6%	56.0%	100.0%
	2013	2.5%	19.5%	22.8%	55.2%	100.0%
	2014	2.2%	25.1%	14.9%	57.8%	100.0%
	2015	8.4%	27.2%	12.3%	52.0%	100.0%
	2016	15.3%	24.7%	14.7%	45.3%	100.0%
	2017	13.4%	30.9%	12.0%	43.7%	100.0%
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი	2009	10.3%	18.7%	11.9%	59.0%	100.0%
	2010	8.3%	19.5%	9.2%	62.9%	100.0%
	2011	9.8%	13.6%	9.0%	67.6%	100.0%
	2012	7.6%	13.8%	9.9%	68.8%	100.0%
	2013	4.4%	15.4%	17.6%	62.5%	100.0%
	2014	4.0%	15.8%	13.7%	66.6%	100.0%
	2015	6.7%	18.9%	7.2%	67.2%	100.0%
	2016	7.8%	11.2%	10.1%	71.0%	100.0%
	2017	15.9%	18.3%	13.3%	52.5%	100.0%
მცხეთა-მთიანეთი	2009	17.8%	26.5%	7.8%	48.0%	100.0%
	2010	14.5%	27.4%	12.9%	45.2%	100.0%
	2011	21.8%	17.2%	14.1%	46.9%	100.0%
	2012	10.7%	21.1%	16.2%	52.0%	100.0%
	2013	3.5%	16.8%	30.4%	49.2%	100.0%
	2014	2.6%	10.3%	18.1%	69.0%	100.0%
	2015	3.6%	16.0%	8.3%	72.0%	100.0%
	2016	7.6%	13.7%	8.0%	70.6%	100.0%
	2017	11.7%	30.6%	8.4%	49.3%	100.0%

		გაუარესდება	არ შეიცვლება	გაუმჯობესდება	არ ვიცი	სულ
ქალაქში, სულ	2009	11.9%	20.9%	14.5%	52.8%	100.0%
	2010	10.6%	23.2%	13.5%	52.8%	100.0%
	2011	13.8%	23.5%	10.4%	52.4%	100.0%
	2012	11.9%	25.7%	11.2%	51.1%	100.0%
	2013	6.0%	24.2%	18.1%	51.7%	100.0%
	2014	5.6%	30.0%	13.1%	51.3%	100.0%
	2015	9.7%	31.0%	11.6%	47.7%	100.0%
	2016	10.2%	32.8%	9.0%	48.0%	100.0%
	2017	15.3%	35.4%	9.8%	39.5%	100.0%
სოფლად, სულ	2009	15.0%	25.3%	12.9%	46.8%	100.0%
	2010	12.4%	24.7%	10.9%	52.0%	100.0%
	2011	13.6%	18.8%	9.5%	58.1%	100.0%
	2012	10.2%	17.5%	13.5%	58.8%	100.0%
	2013	4.7%	17.8%	19.2%	58.2%	100.0%
	2014	4.5%	19.0%	16.4%	60.1%	100.0%
	2015	9.2%	21.4%	10.4%	59.0%	100.0%
	2016	10.6%	21.8%	9.6%	57.9%	100.0%
	2017	14.4%	29.3%	10.0%	46.3%	100.0%
ქვეყანაში, სულ	2009	13.4%	23.1%	13.7%	49.8%	100.0%
	2010	11.5%	24.0%	12.2%	52.4%	100.0%
	2011	13.7%	21.1%	9.9%	55.3%	100.0%
	2012	11.1%	21.6%	12.3%	55.0%	100.0%
	2013	5.3%	21.0%	18.7%	55.0%	100.0%
	2014	5.1%	24.4%	14.8%	55.7%	100.0%
	2015	9.4%	26.2%	11.0%	53.4%	100.0%
	2016	10.4%	27.3%	9.3%	53.0%	100.0%
	2017	15.0%	32.9%	9.9%	42.3%	100.0%